

# ქართული თეატრი



საქართველოს  
მხარეთა  
კავშირის  
გაზეთი  
№1 (256)  
1-30 იანვარი  
2017  
ფასი 1 ლარი

გამოცემის  
თავმჯდომარე

## მოვლენა ქართულ თეატრში

### „ვეფხისტყაოსანი“ პანტომიმის თეატრის სკენაზე

26 ნოემბერს პანტომიმის სახელმწიფო თეატრმა წარმოადგინა „ვეფხისტყაოსნის“ პრემიერა (სცენარის ავტორი რევაზ მიშველაძე, რეჟისორი ამირან შალიკაშვილი). სპექტაკლი მიეძღვნა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილეს. პრემიერამ დამსწრეთა დიდი მონონება დაიმსახურა. გათავაზობთ მაყურებელთა შთაბეჭდილებებს.



#### დიდი ნაბიჯი სიყვარულისკენ

თქვენ იცით, რომ მე ძალიან ხშირად დავდივარ პანტომიმის თეატრში, ეს თეატრი მსოფლიოში ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებული თეატრია, ოღონდ ჩვენი ხელისუფლება ისე განუდგა, რომ სახლიც არ მისცა. მე ამას ძალიან განვიცდი, იმიტომ, რომ ამირან შალიკაშვილი ძალიან გამორჩეული პიროვნებაა თავისი თეატრით.

ერთი საოცარი რაღაც მინდა გითხრათ, თავიდან გამიკვირდა, რა შუაშია პანტომიმა და „ვეფხისტყაოსანი“-მეთქი. ჰოდა, როდესაც მივედი და ვნახე, გაცხებული დავრჩი, „ვეფხისტყაოსანი“ გაკეთებული აქვს პანტომიმის მიხედვით და გამორჩეულია ყველაფერი, თავად ამირანი რუსთაველს თამაშობს. მე ძალიან გამიხარდა, ეს კიდევ ერთი ახალი სიყვარულია საქართველოში, კიდევ ერთი გადადგმული ნაბიჯი სიყვარულისკენ. სცენარს ხომ უნდოდა გაკეთება, თავის დადგმა და ეს შეძლო რევაზ მიშველაძემ, მისგან არ გამკვირვებია. ერთიცაა, ძალიან ძნელია და რუსთაველის დადგმა, ეს ვერავინ შეძლო მსოფლიოში, მხოლოდ ამირან შალიკაშვილმა და ღმერთმა ხელი მოუმართოს.

#### ჯანსუღ ჩარკვიანი

#### ერთადერთი ნათელი სხივი

„ბოროტსა სძლია კეთილმან არსება მისი გრძელია“ ამ რწმენამ, რუსთაველის ამ ნათელმა შეგონებამ მოიყვანა ჩვენი ერი 21-ე საუკუნემდე.

2016 წლის მოსვლას განსაკუთრებული მონივნებით ელოდა ჩვენი ქვეყანა, რუსთაველის 850 წლისთავის


ღირსეულად აღნიშვნას. მოლოდინი კი მოლოდინად დარჩა.

ქვეყანამ თავისი ყველაზე დიდი შვილის, ქართული ერის ბიბლიის ავტორის, ჩვენი სულიერი კონსტიტუციის შემქმნელის იუბილე ვერ იზეიმა, ხელისუფლებამ ვერ მოიცალა, ხელოვანები ხელმოკლედ ბრძანდებოდნენ. ქართული ანდაზისა არ იყოს - ცუდი არ მაკადრიანო, კარგი არ მალირსიანო. ცუდად აღნიშვნას მოერიდნენ, კარგად ზეიმისთვის დრო ვერ გამოიხატეს.

ერთადერთი ნათელი სხივი ამ უმნიშვნელოვანესი თარიღის აღნიშვნისა პანტომიმის თეატრში დადგმული სპექტაკლი იყო. ისევე ღირსეულად დაშვრა ორი დიდი ხელოვანი - ამირან შალიკაშვილი და რევაზ მიშველაძე და რუსთაველის უკვდავი პოემა სცენაზე გაგვიცოცხლა. კითხულობდა ამირან შალიკაშვილი „ვეფხისტყაოსანს“ და დარბაზს ღვთაებრივი ქართული ეფინებოდა, უნიჭიერესი მსახიობები პლასტიკის ენით გვიცოცხლებდნენ საოცარ სცენებს.

დიდი მადლობა ბატონ რევაზ მიშველაძეს და ბატონ ამირან შალიკაშვილს ქართული გენიის ასე ამეტყველებისთვის, ქართული გენიის საოცარი დღესასწაულისთვის.

#### მაყვალა გონაშვილი



#### დიდებული სპექტაკლი

ამირან შალიკაშვილს რევაზ მიშველაძის სცენარის მიხედვით არაერთი სპექტაკლი დაუდგამს. ისინი დღესაც ცოცხლობენ და ისევ იზიდავენ მაყურებელს. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

ეს არის დიდებული სპექტაკლი, დიდებული თავისი რეჟისურით, ტექსტის ინსცენირებით, მსახიობთა თამაშით, მუსიკალური გაფორმებით. ყველაფერ ამას განსაკუთრებით მოუხდა ამირან შალიკაშვილის მიერ წაკითხული რუსთაველის სტროფები.

პანტომიმის თეატრმა მართლაც რომ ღირსეული პატივი მიაგო დიდი რუსთაველის სახელს.

სოსო სიგუა

#### ფრესკიდან გადმოსული სახეობა

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა სცენიურ ინტერპრეტაციაზე არა ერთი და ორი რეჟისორი დაფიქრებულა, როგორც ქართულ თეატრში, ისე კინემატოგრაფში. იყო მცდელობა მულტიპლიკაციისა, თუმცა მცდელობათა დონეზე, ან მხატვრული კითხვის საღამოდ ჩამოყალიბებული წარმოდგენები ახსოვს ქართული თეატრის ისტორიას. იმდენად დიდი და ერთგვარად ხელშეუხებელიც კია ეს შესანიშნავი პოემა, რომ მისი სრული ვერსიის შექმნა ალბათ წარმოდგენელია, განსაკუთრებით სცენაზე განსახორციელებლად. როგორი ფორმა უნდა მოეძებნოს, როგორი ატმოსფერო უნდა შეიქმნას, გმირთა ხასიათები როგორ უნდა გაიხსნას, რომელი მარადიული თემა უნდა წამოიწიოს წინ...

... და აი, შოთა რუსთაველის წლად აღიარებული 2016 წლის მიწურულს, დიდმა მაცეტრომ ამირან შალიკაშვილმა მისივე დაარსებულ პანტომიმის თეატრში „ვეფხისტყაოსნის“ ვერსია შემოგვთავაზა. მიმეზის მიერ მაყურებლის წინაშე გაცოცხლდა პოემის რამოდენიმე თავი. პიესა, რომლის მიხედვითაც დაიდგა სპექტაკლი, გამოჩენილმა მწერალმა რევაზ მიშველაძემ შექმნა. ბატონი რევაზისა და ბატონი ამირანის შემოქმედებითი ტანდემი პრაქტიკულად ასულდგმულებს დღევანდელ პანტომიმის თეატრს. „ტერენტი გრანელი“, „წმინდა გიორგი“, „ქრისტე“, ახლა უკვე „ვეფხისტყაოსანი“... ასეთი რეპერტუარი ნებისმიერ თეატრალურ დასს დაამშვენებდა. ამირან შალიკაშვილის შემოქმედებას „დუმილის პოეზია“ უწოდეს და სწორედ პოეტური ქმნილებების სცენიური ინტერპრეტაციისას კიდევ უფრო შთაბეჭდავი ხდება ამ დუმილის პოეტურობა.

სპექტაკლმა „ვეფხისტყაოსანი“ ასოციაციურად გააცოცხლა ამ უნიკალური თეატრის მთელი ისტორია. ნახევარსაუკუნოვან ძიებათა ლოგიკური გაგრძელება იყო ჩემთვის ეს წარმოდგენა შესანიშნავად მოფიქრებული ეპიზოდებითა და ახალგაზრდა მსახიობთა ბრწყინვალე შესრულებით, რომლებიც არა მხოლოდ იხარჯებიან სცენაზე, არამედ საკუთარი გენის საუკეთესო საუნჯეს წარმოგვიდგენენ როგორც ხატს, საფიცარს, ყველაზე წმიდასა და



► 183.

ამაღლებულს... და ბოლოს თავად დიდი მანქანით ამირან შალიკაშვილი გამოჩნდება სცენაზე, ვით იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკიდან გადმოსული ხატება...

გულწრფელად ვულოცავ ქართულ საზოგადოებრიობას ასეთი წარმოდგენის დაბადებას. ვულოცავ ბატონ ამირან შალიკაშვილს, ბატონ რევაზ მიშველაძეს, პანტომიმის თეატრის მთელ შემოქმედებით კოლექტივს.

დიმიტრი ხვთისიაშვილი  
რეჟისორი

### ვეფხისტყაოსანი სცენაზე

ზოგი მხატვრული ტექსტის სასცენო დამუშავებას არ ექვემდებარება. ამის კარგი მაგალითია პულიცერის პრემიის ლაურეატი რობერტ პენ უორენი. მისი პოლიტიკური რომანი „მეფის მთელი მხედრონი“ დასტურ საუკეთესო რომანია იმათ შორის, რაც კი დღემდე კაცობრიობას შეუქმნია. მხოლოდ ამერიკაში სამჯერ სცადეს მისი კინოფილმად ქცევა, ოღონდ ყველა ცდა ამოუგამოდგა. სცენამ ეგ შედეგები ვერ იგუა.

იგივე მოხდა ქართულ სინამდვილეში: „ვეფხისტყაოსნის“ აჟღერება სცადეს სცენაზე, ოღონდ დიდი წარმატება ვერ პოვეს. საჩინო კრახის შემდეგ ამ საქმეს თავი შეუხვიეს.

და, აი, მოხდა საოცრება – ერთგვარი გარღვევა: პანტომიმის თეატრმა 2016 წელს მოამზადა და წარმოადგინა „ვეფხისტყაოსანი“.

სიტყვის ოსტატის რევაზ მიშველაძისა და პანტომიმის ოსტატის ამირან შალიკაშვილის (უფროსის) ერთობლივი ძალისხმევით მსახურებელმა მიიღო უნო ენაზე ამეტიველებული პოემა.


ვინც სპექტაკლი ნახა, დარწმუნდა: სცენაზეც შენარჩუნებულია ის დაძაბულობა, რაც პოემის კონფლიქტებს თან ახლავს; შენარჩუნებულია ის ესთეტიზმი და მხატვრული ეფექტი, რაც ტექსტს ახასიათებს; მიგნებულია ის მუსიკალური ფონდი, რომელიც ამბავს კიდევაც ამძაფრებს და კიდევაც ამშვენებს.

სასცენო დადგმის ერთი თავისებურება ესაა: ზოგი სცენა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო დაიხვეწება; ზოგი უზუსტო რეპლიკა გასწორდება ანდა მთლიანად ამოვარდება.

ერთი სიტყვით, პირველი ხნული გავლებულია. ამ ხნულის გალამაზება და დახვეწა კი დროის ამბავია და არცთუ საძნელოა.

პანტომიმის თეატრმა თავისი ამ ძალისხმევით ნამუსი მოსწმინდა ჩვენს მთავრობას, რომელმაც 2016 წელი, რუსთველის საიუბილეო წელიწადი, ისე გაატარა, თითქოსდა გენიოს მოაზროვნესთან დაუბრებელი ყოფილიყო.

### მურმან თავდობილი



### წარმატებით ბანაირობებული სინარული

საუკუნეზე მეტია, რაც ქართულ დრამატულ თეატრში „ვეფხისტყაოსანი“ არ დადგმულა. ფაქტობრივად, შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავის აღსანიშნავადაც ვერაფერი ღირებული ვერ შევმატეთ ქართულ სცენას. და ამ ფონზე, სასინარულოა, რომ ამირან შალიკაშვილმა XXI საუკუნეში გააცოცხლა ეს უკვდავი ნაწარმოები. ამ სპექტაკლზე ბატონი ამირანი ორი წლის განმავლობაში მუშაობდა. ლიბრეტოს ავტორთან, ბატონ რეზო მიშველაძესთან ერთად, განახორციელა არაჩვეულებრივი დადგმა „ვეფხისტყაოსნისა“. „ვეფხისტყაოსანი“ ერთსაათიან სანახაობად აქციეს. ცალკეული თავებიდან ამონარიდი სტროფები ერთ სიუჟეტად შეკრეს და სცენების ლოგიკური მონაცვლეობით საოცარი სანახაობა შემოგვთავაზეს.

სიუჟეტისთვის გაერთიანდა 13პეზიზოდი: „თინათინის გამეფება“, „ნადირობა“, „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“, „ქედსა გარდავდეგ“, „თინათინის მწუხარება“, „მინურვილ იყო ზაფხული“, „ანდერძი“, „სჯობს სიცოცხლესა ნადრახსა“, „ჭიდაობას რა უნდა“, „რა ესმოდის მღერა ყმისა“, „ფატმანისა და ავთანდილის „სიყვარული“, „ქაჯეთის ციხის აღება“ და „გამარჯვების აპოთეოზი“. მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოა ნადირობის, ტარიელის ვეფხვებთან ბრძოლის, ავთანდილის ნასვლა ტარიელის საძებნელად, (ეს სცენა გადანწყვეტილია „ვარდისფურცლობის“ ნიშნის ფორმით, სადაც განზოგადებული მშვენიერება ვარდების თაიგულებში წარმოგვიდგება). განსაკუთრებით გამოსაყოფია ქაჯეთის ციხის აღება, რომელიც ყვავ-ყორნებთან ბრძოლის ალეგორიული სახით წარმოგვიდგინა დიდმა მანქანამ.

სპექტაკლის მსვლელობისას სრულიად გასაგებია სიუჟეტი, რომელსაც მსახიობები დახვეწილი პლასტიკითა და დიდი ემოციური მუხტით წარმოგვიდგენენ. ამას ემატება ამირან შალიკაშვილის მიერ ტექსტის მხატვრულად კითხვა, რაც, პოემის ვიზუალურ სახესთან ერთად, მაყურებელს საშუალებას აძლევს მთლიანობაში აღიქვას ეს უკვდავი პოემა. აღსანიშნავია მსახიობების ა. შალიკაშვილ-უმცროსის (ტარიელი), ვ. კიპაროიძის (ავთანდილი), ი. ბიბილურის (ფრიდონი), ს. ფილოშვილის (თინათინი), თ. გვასალიას (ნესტან-დარეჯანი), ნ. ლორთქიფანიძის (ფატმანი), გ. გურგენიძის (როსტევეან მეფე) მიერ შექმნილი პლასტიკურ-მხატვრული სახეები.

ვულოცავ თეატრს რთული მუშაობით მიღწეულ დიდ წარმატებას.

გუბაზ მებრელიძე  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

### არაჩვეულებრივი სპექტაკლი

საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი, გამორჩეული თეატრია, არა მარტო ევრაზიულ სივრცეში, არამედ ალბათ, მსოფლიოს მასშტაბითაც კი. მისი სულისჩამდგმელი, მთავარი რეჟისორი გახლავთ ყველასათვის ცნობილი ამირან შალიკაშვილი, რომელმაც ამ სფეროში მართლაც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია. ამაზე ლაპარაკობენ, არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ, სახელმწიფომ და რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, როდესაც თეატრი თავისი შემოქმედების პიკშია და ქმნის მართლაც, გამორჩეულ სპექტაკლებს, მას ფიქრი უხდება საკუთარი თეატრის ყოფნა-არყოფნაზე, საკუთარი თეატრის არსებობაზე, რადგან ის შეკედლებულია სხვის ფართში და დღედღეზე ელოდება იქიდან გამოსახლებას. ვფიქრობთ, რომ თბილისის მერია, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ თეატრი გადავარჩინოთ.

ახლა რაც შეეხება სპექტაკლ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც შოთა რუსთაველის 850 წლისთავს მიეძღვნა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ამირან შალიკაშვილის სპექტაკლებში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი სპექტაკლი, რომლის სცენარის ავტორიც რევაზ მიშველაძე გახლავთ.



დადგმა, მუსიკალური გაფორმება, მხატვრობა და რეჟისურა ამირან შალიკაშვილს ეკუთვნის, რომელიც ასევე თვითონ კითხულობს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სპექტაკლით და პანტომიმის ენით საუკეთესოდ წარმოჩინდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ის პლასტიკა, ფესტიკულაცია, რომელიც მსახიობებმა ამ სპექტაკლში გვიჩვენეს, კარგად ასახავს „ვეფხისტყაოსნის“ იმ მორალურ, ზნეობრივ, სარწმუნოებრივ სიღრმეებს და იმ ფილოსოფიურ პლასტებს, რომლითაც „ვეფხისტყაოსანი“ არის გამორჩეული.

ამირან შალიკაშვილის მიერ წაკითხული ტექსტი, რომელიც ადევს სპექტაკლს, გასაგებს ხდის რუსთაველის მთელ ფილოსოფიურ-მხატვრულ ღირებულებებს და ეს სპექტაკლი სავიზიტო ბარათად უნდა იქცეს უცხოეთში ჩვენი კულტურის წარმომჩენისათვის, რადგან ძალიან ადვილია ამ სპექტაკლის უცხოელთათვის მიწოდება: „ვეფხისტყაოსანი“ ხომ მრავალ ენაზეა თარგმნილი და ის ყველასათვის გასაგები იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ამირან შალიკაშვილის სპექტაკლის მოგზაურობა მსოფლიოს გზებზე წარმატებით დაინწყება.

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ექსპრომტი, მიძღვნილი ამირან შალიკაშვილისათვის, რომელიც სპექტაკლის ნახვის შემდეგ დაწერე:

ვუმზერ დიდ სპექტაკლს, -  
ლექსად შენს ნაწერს,  
ზეშთაგონების სხივებით მოსილს;  
შენ პანტომიმის მეფედ შეგრაცხეს,  
შენ პანტომიმის ხარ გენიოსი...  
დიდ წინაპართა ნაკვალევს მისდევ,  
გზად უფლის მადლის ნათელი გმოსავს  
და მე ვუჩოქებ შენს უკვდავ „ქრისტეს“,  
შენს გაცოცხლებულ „ვეფხისტყაოსანს“.

ბალათიარ არაბული

### მადლობა

სპექტაკლზე შვილიშვილთან ერთად ვიყავი. იმდენად მაღალპროფესიონალურად არის დადგმული, რომ 8 წლის ლუკამ, რომელსაც ჯერ „ვეფხისტყაოსანი“ არ ნაუკითხავს, გმირები იცნო. ბავშვმა უცებ ჩამოთვალა ეს უხმო შემსრულებლები ვინ-ვინ იყო. ახლა თავად განსაზღვრეთ, სპექტაკლის ღირსება. მადლობა პანტომიმის თეატრს და მის სწორუპოვარ რეჟისორს.

თიან რალაბაშვილი

# იმის მოხრობები

## მურმან თავდიშვილი

ხშირად მეკითხებიან: ყირიმი ვის ეკუთვნისო?

ჩემი პასუხი მუდამ ერთია: ლევ ტოლსტოის „სევასტოპოლური მოთხრობები“ ნაიკითხე და მაშინვე ყველაფერი ნათელი გახდება—მეთქი!

დასტურ ასეა, ვინაიდან ის ქმნილებები არა ოდენ მხატვრულ, არამედ ისტორიულ საბუთებადაც უნდა წარმოვიდგინოთ.

ყოველ ომს თავისი ისტორიულ-მხატვრული ასახვა-დასაბუთება მოჰყვება ხოლმე და ამ მხრივ გამონაკლისი არც 2008 წლის ტრაგედიაა.

ახლა იმის ძიებას ნუ დავინწყებთ, თუ ვისი ბრალია ეს სისხლისმღვრელი შეტაკება.

ჩვენი საქმე გაცილებით მოკრძალებულია: მხატვრულად ავსახოთ ის მწარე დღეები და ეგ მხატვრული ნაწარები შევავსოთ.

თუმცა საკითხი ახალი და აქტუალურია, „მაგრამ თემა თავისთავად ვერ იგულისხმებს მხატვრულ ხარისხს, ურომლისოდაც მწერლობაში ყველაფერი არაფერია“ (იოსებ ჭუმბურიძე).

ომის ამსახველი წიგნი, რომელიც „უნივერსალს“ 2016 წელს გამოუცია და რომელსაც მშვენიერ წინასიტყვაობას ურთავს იოსებ ჭუმბურიძე, ან უკვე საკმაოდ ცნობილ მწერალს გიორგი სოსიშვილს დაუწერია. კიდევაც ხამდა, რამდენადაც იგი ამ ათასგზის ნაწარმები მხარის შვილი და მკვიდრია, ვისაც ეს ტკივილი გულთან პერანგზედ უფრო ახლოს მიუტანია. მიუხედავად აქა-იქ გამოვლენილი პესიმისტური ჰანგებისა, ავტორი მაინც იმედიან განწყობილებას უდებს სათავეს და მუქ ფონზე ობოლ სინათლესავით გვანვდის ამ ოპტიმისტურ სიუჟეტებს, რომლებიც ფაქტობრივად ძალიან ხშირად მოთხრობის ჟანრს ტოვებენ და ნოველებად ყალიბდებიან.

თუმც კი ყველა ჟანრი კარგია, გარდა მოსაწყენისა, ოღონდ ამ მოუწყენარ მოთხრობებში ნოველას მაინც საგანგებოდ ამალგებული ადგილი დაუჭერია.

ზოგად ფრაზას – „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო“, ავტორი კონკრეტული და ახალი მხატვრული სინამდვილის შექმნით გვიდასტურებს: ერთ იქეთელ გოგონას აქეთელი ბიჭი შეუყვარდება. თუმც კარგად დარწმუნულია რუსული მავთულხლართები ქართულ-ოსურ სამყაროებს შორის, მაგრამ გოგო ისე მარჯვედ და გერგილიანად გამოძვრება მათში, როგორც „ალადასტურით სავსე ჭიქაში – მზის სხივი“.

კიდევ უფრო თვალსასერიო და გულგასახარია „გამორთული მთვარის“ მეორე სიუჟეტი: მავთულხლართმა ოსი გლეხის ვამლნარი ქართველ მეზობელს მიაკუთვნა. ეს უკანასკნელი მას თვალის ჩინივით უვლის, ელოლიავენა, გამორჩენილ ფულს კი ჩუმად აწვდის პატრონს. მერმე მავთულხლართი აქეთ, საქართველოს სიღრმეში, გადმოიჩინდა. ახლა

ქართველის ბალი დარჩა იქითა მხარეს. ამჟამად ოსი გლეხი უვლის და ელოლიავენა ყოფილი მეზობლის ხეხილს; შემოსავალს კი ამ უკანასკნელს მალულად აწვდის. მაშასადამე, ესთეტიკური ფორმული, მწერლის მიერ ბედნიერად მიგნებული, აქაც მოქმედებს: ძმობისა და ადამიანურობის სხივი ალადასტურირით ბუნდოვან მავთულხლართებში ისე გაძვრება და გამოძვრება, რომ მას სიძულვილის მანქანები ხელს ვერ შეუშლის.

ოღონდაც ომი ომია და მას თავისი სიმკაცრე მუდამ ახლავს. ეგ სისასტიკე კი უნდა აისახოს, ოღონდ არის საცთური – აისახოს მარტივად, ნატურალისტურად, ფანტაზიის დაუძაბველად. ეს საფრთხე თავიდან არის არიდებული და მე დიდი სიამოვნებით მომყავს ამგვარი პასაჟი. ქართველთაგან მიტოვებულ სახლს ძალი მურია ყარაულობს. მოფრინდნენ მერცხლები. „გენახათ მურას სინარული: ისეთი ყეფა ატეხა; მერცხლების დანახვამ სულ სხვა ძალა მისცა, სულ სხვა სული ჩაუდგა“, მაგრამ რად გინდა მერე! „დიდხანს არ გაგრძელებულა მურას ალტაცება, იტრიალეს, იტრიალეს მერცხლებმა გადაბუგული სახლების თავზე, ეგონათ, რომ გზა შეეშალათ, სხვაგან მოხვდნენ“ და მეორე მხარეს გაფრინდნენ, უკაცრიელ ადგილს განერიდნენ (66 გვ.).

რა საჭიროა ვრცელი ნატურალისტური აღწერა?

გაუბედურებულ-გაუკაცრიელებული მიდამოების „ჩვენება“ ასეც შეიძლება.

ეგების, შორეული ასოციაციაც იყოს, მაინც მენანება არგასახსენებლად.

ბერიკაცები კამათობენ, ყაყანებენ: ეს რასა ჰგავს, ერთი სადავო დედაკაცი-სათვის ომი რატომ უნდა გავაჩალოთ, ვაჟკაცთა სისხლი რად დავღვაროთ, ქალების მეტი დედამინის ზურგზე რა არისო?! უცებ მათ წინაშე ჩამოიარა მშვენიერმა ელენემ. ჯერ პირი დააღეს, მერმედ დაბუნეს, იფიქრეს, ამისთვის ომის გადახდა დიახაც ღირსო.

მაშ, ჰომეროსმა ელენეს სილამაზის აღსაწერად უფრო მოკლე გზა აირჩია, ვიდრე გრძელი და მოსაწყენი დეტალების ჩამოთვლა, სილამაზის დამადასტურებელი ვრცელი ტირადების შედგენა!

კარგი მაგალითი უკვდავი და გადამდებია.

დიახ, უკვდავი და მისაბაძია 2800 წლის წინანდელი ნიმუში.

სწავლა კი არასოდესაა დაგვიანებული.

მართალია, ეს მოთხრობები ერთმანეთს წყლის წვეთებივითა ჰგავს, მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ომი ყველგან ომია – უფერული და ალაგ-ალაგ ნაცრისფერი. სამუქფოდ, მწერალი ცდილა, ცალკეული პოეტური სახეებით გაეფერადებინა იგი. თუმცა კი პოეტური სახეები საქმიანი პროზის მთავარი ძარღვი ვერ იქნება, ცალკეული პასაჟების მესხიერებაში დამაგრების ამოცანას დიახაც ემსახურება. ამ ვითარებაში უფრო მეტად მეტაფორულ გამოთქმებს

ენდობა ავტორი. „გავცქეროდით მარი-ამობისთვის ღამეს, რომლისათვისაც ომს სიმშვიდე წაერთმია“ (11); „მზეს სისხლი სდიოდა“ (161); „ეს აპრილის ქარის ცრემლია“ (278); „გალეულ ხელებზე სთვლემდნენ ლურჯი ძარღვები“ (280).

მწერალმა იცის, რომ რეალისტურ თხზულებას ბუნდოვან მოდერნისტულ მეტაფორაზე მეტად მაინც ნათელი შედარება შეეფერება. ამ თვალთახედვით შედარების გურმანს ნამდვილად მოეწონება რეალისტური ნაწარმოების ეს „დამრტყმელი ძალა“.

აი, მხოლოდ რამდენიმე საამრიგო ნიმუში: „გაზაფხულის მინასავით ახალგაღვიძებული ჭაბუკი...“ „დედაბრის წუთისოფელივით დამოკლებულიყო გიოგობისთვის დღე“ (215); „გარბის ეს ოხერი კალამი. განუწყვებელი მეძებარი რო განზე დარბის და უყვირის, აგინებს ხელმოცარული მონადირე, აგრეა“ (217). თვალი მომტაცა აფორიზმის დონეზე ასულმა ამ შედარებამაც: „ცარიელი კაცი ქვაზე მაგარიაო“ (247).

სამწუხაროდ, მოგვიმრავლდნენ მწერლები, რომელთაც ქართული უჭირთ. მათი კოჭლი სინტაქსი გაუმართავი ურემივით ჭრიალებს. ომის მოთხრობების ენა და სტილი ამ მხრივ საყვედურს არ იმსახურებს. გვხვდება ღრმა ენობრივ ძიებათა კვალი, რაც მკითხველის თვალს ასვენებს, გულსა და გონებას კი სიამესა ჰგვრის: „წავიდა, გაიწურა ზამთარი. გაზაფხულის მზე დაეკიდა ცაზე“ (65); ცალკეული და საგულისყურებელი სინტაგმები ხომ უფრო მეტია: „და ის ღამის ბინდიო“, „გუბებიან გზაზე დატოპაობდნენო“ (75); „მზეს უკვე თავი ჩაეყო მთის უბეში. შორეული ყანიდან მწყრის ქვითქვითი მოისმოდაო“ (106).

ჩვენს ავტორს არ ახასიათებს ყალბი, უსაგნო პატრიოტიზმი. მწერალი ეძებს დრამატულ მოვლენებს, თუმცა დიდი ძებნა რა საჭიროა, როცა ამოებით სავსეა 2008 წლის აგვისტო; მაგრამ ხომ უნდა შეირჩეს მათ შორის მხატვრულად უფრო დამაგულისყურებელი? და, აი, ავერ ამ მხრივ ტიპური და მნიშვნელოვანი. „ელიზბარი“ სწორედ ამ დრამატიზმით არის აღსავსე. ამბავი დიახაც ტიპური და დამახასიათებელია – მამა მკვდრებშიცა და ცოცხლებშიცა დაეძებს პირმშოს, უგზოუკვლოდ დაკარგულ მებრძოლს. „უკვალოდ გამქრალიყო მისი ერთადერთი ვაჟი. ისღა დარჩენოდა, რო ეგებ შვილის ცხედარი მაინც ეპოვნა და ომში დაღუპული სისხლიერი ღირსეულად გაეპატიოსნებინა“ (142). ვერა და ვერა! ვერაფერს გახდა. ამ ძიებაში სულიერადაც შეირყა. ბოლოს ჯარისკაცის მამას ვხედავთ უპატრონო მეომრების ცხედართა შორის ნაქცეულს. აქ წარმოსახული დიალოგი დრამატიზმს ამძაფრებს:

– მოხვედი?  
– მოვედი, მამა გენაცვალოს.  
– გაგახაროს ღმერთმა, რახან მიწის მიყრას ველირსები!

– სად აღარ გეძებ, შვილო, მთელი



ქვეყანა შეეძარი, მაგრამ... თურმე სად ყოფილხარ, მამა მოგიკვდეს... შენ უნდა მოგეყარა ჩემთვის მიწა.

– მთავარია, რომ მიპოვე.  
– ვიცოდი, რო გიპოვიდი, გული მიგებდა.

მათეს არ ესმოდა ეს საუბარი, ცრემლმორეული იდგა და დასცქეროდა ელიზბარს, რომელიც ეკალ-ბარდებით დასისხლიანებული ხელებით მზეზე გამომშრალ უცნობი ჯარისკაცის ძვლებს ეფერებოდა (148).

აქ მკითხველი, თუ თვალში ცრემლი არ გაებლანდა, უსათუოდ უფრო მეტს ამოიკითხავს, ვიდრე წერია.

მწერლის მოვალეობაც სწორედ ეს არის – სიტყვებს იმაზე მეტი ათქმევინოს, ვიდრე ერთი შეხედვით ძალუძთ.

და ამგვარი ადგილი კრებულში არაერთია, თუნდაც ის ნაწყვეტი გავსინჯოთ, სადაც მშობლიური სანახებიდან იძულებით გამოყრილი, საკუთარ მამულშივე დევნილი ხალხის ყოფას აღწერს ავტორი: „ნაიქეფებენ, ნაიმხიარულებენ. სინამდვილეში იქ არავინ არის – ყველა გასულია ამ დროს სხეულიდან და თავიანთ გადამწვარ, ნახევრად დანგრეულ სახლებს საიქიოდან გამოპარული სულებივით დასტრიალებენ“.

აქ დიახაც გვეძლევა საშუალება, რეალურისა და მიღმურის ერთგვარ შეზავებაზე ვისაუბროთ და ისიც გავიხსენოთ, რომ ძირძველ ქართულ ლიტერატურას პარადიგმული მაგალითი ჯერ კიდევ მერვე საუკუნეში მოუცია. ბოლოს და ბოლოს, 1500 წლოვანი ლიტერატურის მქონენი ვართ, წერა გუშინ ხომ არ დაგვიწყია?! მხედველობაში მაქვს „ჰაბოს წამება“, სადაც სხეულიდან ამგვარი ამოხტომა და განსვლა ჩვენს მწერლობაში პირველად დაფიქსირდა, როცა სასისკვდილოდ მიმავალი პერსონაჟი თითქოსდა გვამიდან ამოძვრა და თავისსავე დასამარხავად მომავალ სხეულს გვერდით მიჰყვება და სამარემდე მიაცილებს: „ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკვდარსა, ეგრე ხედვიდა თვისსა მას გვამსა; და სულითა თვისითა მოგზაურ ქმნული თვით იტყოდა ფსალმუნსა “...

ომის თემაზე დაწერილი მოთხრობების ეს ჩინებული კრებული ავტორის შემოქმედებითი წინსვლის გზაზე გადადგმული ერთი ღონიერი ნაბიჯია.

# ისააკ მოლოდინის რეჟისორი

რეჟისორი მიხეილ აბო - დეკანოზი იონა ჩიბრაძე, ტელეარხი „ახალი საქართველო“, 1.XII-2016წ.

მამა იონა - მოგესალმებით, ბატონო რეზო, დიდი სიყვარულით, ჩემთვის ეს ძალიან დიდი პატივია, რომ მიუხედავად ამ ურთულესი მდგომარეობისა, თქვენი დროის სიმცირისა მაინც დამთანხმდით და მობრძანდით ჩვენს გადაცემაში, რისთვისაც მადლობას გიხდით ჩვენი მსმენელის სახელით. ბატონო რეზო, თქვენ წარდგენილი ბრძანდებით ნობელის პრემიაზე და გთხოვთ, ჩვენს მსმენელს გააცნოთ, რას შეეხება ეს რომანი, რა პრობლემები დგას მასში.

რეჟისორი მიხეილ აბო - დიდი მადლობა მოწვევისათვის, მამაო იონა, ჩემთვის დიდი პატივია ამ თქვენს მშვენიერ ტელევიზიაში „ახალ საქართველოში“ მოწვევა და შეხვედრა ჩვენს ძვირფას ტელემსმენელთან. პირველად ვარ თქვენს სტუდიაში და უნდა გამოვთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ მშვენივრად არის ტექნიკურად მოწყობილი ეს ტელევიზია. მე ვიცი ბატონი ჰამლეტის ენთუზიაზმი, ჩვენ ძალიან დიდი ხნის ნაცნობები ვართ, ძალიან ნიჭიერი კაცია და ორგანიზატორიც ასევე და საქართველოს უფროსი სტუდია კავშირისა, ასეთი მჭიდრო და მონივრული დამოკიდებულება რომ აქვს ჩვენს უფალთან და ჩვენს სამღვდლოებსა, რომ თქვენ ბრძანდებით ერთ-ერთი წამყვანი, აი, აქ, ტელევიზიაში და მე რამდენჯერმე მოგისმინეთ და უნდა გითხრათ, რომ აღფრთოვანებული დავარჩი. ჩამთვალეთ თქვენს მსმენელს მადლობა და როგორც კი დროს და საშუალებას გამოვხატავ, თუ რომელიმე არსს ჩავრთავ, უპირველეს ყოვლისა რომ თვალი შევავლო, ეს იქნება თქვენი არხი. ახლა რაც შეეხება თქვენს მოლოცვას. მე დიდი მადლობელი ვარ, უნდა გითხრათ, რომ ჩემთვისაც მოულოდნელია გახლდათ ამ მსოფლიოს მაღალ პრემიაზე წარდგენა. გეტყვით მოკლე ისტორიას თუ ვინმეს აინტერესებს. ნობელის პრემიაზე წარდგენილი გახლდათ გრიგოლ რობაქიძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ოთარ ჭილაძე და მეოთხე გახლავართ მე. აი, ამ რომანისთვის ვარ წარდგენილი. ეს გამოვიდა მიმდინარე წლის დასაწყისში. ჰქვია „ციყვი ბორბალში“. სავალალო საქართველოსთვის და ამ ჩემს მიერ ჩამოთვლილი ძვირფასი ქართველი მწერლებისთვის ბედი ნობელის პრემიის მონიჭებისა. დღემდე არც ერთ მათგანს არ მიუღია და შეიძლება მეც იგივე შანსს მივადგინო, რომ ამ ჩემი უსაყვარლესი ნინაბების ბედი გავიზიარო.

- თუქცალა, მამაო, ბატონო რეზო, ჩაგვტყობთ, ბოდიში, ეს უკვე წარდგენა დიდ რამეს ნიშნავს და ეს ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან დიდი აღიარებაა დღესდღეობით, ეს უკვე მოსალოცია ფაქტობრივად.

- დიდი მადლობა, დიდი მადლობა, მართლაც არის ერთგვარი აღიარება. რომანი დაწერილია 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის საქართველოს ცხოვრებაზე. მოგხსენებთ, რა ცხოვრება გამოვიარეთ, რა პერიპეტეები, რა დამცირება მოქალაქისა, როგორ კამათლებით ათამაშებდა საქართველოს ხელისუფალი უბრალო მოქალაქეთა ბედს და მერე საქართველომ როგორ დაიქუხა ერთი დიდი საარჩევნო დაქუხებით და მადლობა ღმერთს ოთხი წლის წინათაც და აი, ახლაც საბოლოოდ დაუქნია ხელი იმ იგნორირებას პიროვნებისას, შეურაცხყოფას ქართველი კაცის ღირსებისას, შეურაცხყოფას ქართული ენისას, თუ ვინმე, ქართული სახელმწიფოებრიობისას, თქვენ ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით, მაგრამ არც ისე ახალგაზრდა, რომ არ გახსოვდეთ, იგნორირებული იყო ყოველგვარი ეროვნული ფენომენი, იქამდეც კი, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს ყველა პატრიოტული ნაწარმოები, ცხრა წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფალი თეატრში არ შესულა, მწერალთა კავშირში არ მოსულა. შეიძლება იკითხოს კაცმა, ალბათ რაღაც დიდი ისტორიული საქმეები ჰქონდა და იმას აკეთებდა და ქართული ეროვნულობისთვის, ქართული ეკლესიისთვის ვერ იცლიდა, მაგრამ ასე სრულებითაც არ იყო და თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რა დღეში იყო ქართული ეკლესია, როგორ მოდიოდა თვით პრეზიდენტის ნახალისებით ხანდახან ისრები დამცირებისა, რაღაცა იმ გაკეთებული დიდი ეროვნული სინამდვილის მიჩქმალვისა და ფარდის მიღმა დატოვებისა, რასაც სათავეში ედგა ის წყველი იდეოლოგიური სამსახური, რომელსაც ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ ხელი დავეუქნეთ.

- ბატონო რეზო, მე მაინტერესებს და ალბათ მასურებლისთვისაც არ იქნება უინტერესო, თქვენ ახლახანს დაამთავრეთ თქვენი ოცდახუთწლიანი გამოცემა და ჩვენს ტელეარხს იგი ჯერჯერობით არ გაუტყვია ფართო მსმენელისთვის და გთხოვთ, გვიამბოთ, რა უნდა ნაწარმოებებია ამ ოცდახუთწლიან კალანდარში, ძალიან საინტერესო იქნება. მე ვერ ვიტყვი, რომ მე მიშველავ ნაკითხული მამა, მიშველავ მე ნაკითხული მექნება, როდესაც მისი ოცდახუთწლიანი მემკვიდრე ნაკითხული. და მე უნდა ნავითხოვო ეს ყველაფერი. ჯერ, თუ შეიძლება, „ციყვი ბორბალში“ გავაცანი.

- ჩემი ძვირფასო, მამაო იონა, დიდი მადლობა თქვენი ასეთი კეთილი სიტყვებისთვის და ავასადა მადალი შეფასებისთვის. ჯერ კიდევ სიტყვით ვეტყვით, რომ ეს რომანი გამოსვლისთანავე გახმაურდა და, რაც იშვიათად ხდება ჩვენს სინამდვილეში, ელვის სისწრაფით გაიყიდა, როგორც მთხრანე გამომცემელმა. ახლა რაზეა ამ რომანში ლაპარაკი, ორიოდე სიტყვით ვეტყვით სიუჟეტს. იყო ერთი ფოტოგრაფი, თქვენ ისეთი სახარტი გონების კაცი ხართ და მიმხვედრიანი, რომ არ გაგიჭირდებოთ ვისზე და რაზეა ლაპარაკი, რომელიც ემსახურებოდა პრეზიდენტს და სურათებს უღებდა, მაგრამ გარდა ამ ფოტოგრაფისა, რომლის სახელი და გვარი პირობითად, რა თქმა უნდა, რომანში არის აღწერილი მიქაეა, პრეზიდენტს სხვა ფოტოგრაფებიც უღებდნენ და იყო გაკვეთილი გაზეთები პრეზიდენტის მაკომპრომეტირებული ფოტოებით. ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ, ცოტა ჩქარი კაცია ეს პრეზიდენტი, ძალიან რბილად რომ ვთქვათ...  
- რომანში ხომ?

- დიახ, რომანში ხდება ეს ამბავი. დაიბარა ფოტოგრაფი და უთხრა, რა ხდება, ლაგრენტი, რატომ იბეჭდება ეს ჩემი ფოტოები, მე რომ ქალს ხანდახან უხერხულად შევაგლეპ ხელს ან რაღაც სისულელეს ვიტყვი, რატომ გაქვთ ეს ყველაფერი გადაღებული. ჩემს გარდა, ბატონო პრეზიდენტი, ლაგრენტი ეუბნება, თქვენ სხვა ფოტოგრაფებიც გაიღებენ და მე და თქვენ ხომ ერთად ვვადებთ და თქვენ მუხუბებით, ეს ფოტო გაუშვით, ეს არ გაუშვით. ერთი სიტყვით, კიდევ რომ განმეორდა და განმეორდა, ეს ლაგრენტი არაფერ შუაში არ არის, იმიტომ, რომ ის ემსახურება პრეზიდენტს. პრეზიდენტმა დაიბარა ლაგრენტი და ეუბნება, ლაგრენტი მე შენ ხვალ უნდა დაგაპატიმრო. რისთვის, ბატონო პრეზიდენტი, ეკითხება ეს უდაგაპატიმრო ფოტოგრაფი. უფრო მეტად იმისთვის, ჩემო ლაგრენტი, რომ სხვებს შეეძინებოთ. ბოლოს და ბოლოს რა არის, რა მოხდა

ასეთი, რა გადასაღებია, მე რომ გორში მინახე ვხოხავ, შემეშინდა კაცს, ხომ შეიძლება შემშინებოდაო. ასე შემდეგ და ასე შემდეგ და სხვები უფრო შეშინებულად და მომჭირნედ მოეკიდებინა ჩემი ფოტოგრაფიების საქმესო. რეჟისორი ნუ ჩამსვამთ, 70 წლის კაცი ვარ, ჩემი ციხეში ჩაჯდომა როგორ შეიძლება, ეს ფოტოგრაფი, აი, ეს ამბავია მოთხრობილი ამ რომანში და მერე მინც თავისი გაიტანა სრულიად ბუნებრივად პრეზიდენტმა, დაიჭირეს ეს კაცი და რა ხდება მისი საქმის გამოძიებაში, მისი გასამართლების დროს, ციხეში როგორ ექცევიან, რა ხდება, თანაც მოგონებები ამ ბატონი ლაგრენტისა, ახალგაზრდობის წლებში, სულ ფიქრობს, ციხეში ზის და ფიქრობს, რა შემეშალა მე, რისთვის გამწირა ასე პრეზიდენტმა და აგონდება ერთი, როდესაც ის სახლში მიყვანა და დედამისს შეახვედრა პრეზიდენტმა და დედისა და პრეზიდენტის საუბარია. ერთი სიტყვით სხვა უამრავი პასაჟი, მკითხველმა, თუ დაინტერესდება, ნაკითხოს, მაგრამ ერთი ვიტყვი მხოლოდ, მოსამართლემაც, გამომძიებელმაც და პროკურორმაც იციან, რომ ეს კაცი არ არის დამნაშავე, მაგრამ პრეზიდენტმა მას ნაუყენა, თქვენ როგორ ფიქრობთ, მუხლი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ჰაიპარად დამოკიდებულების კი არა, არც მეტი, არც ნაკლები, სამშობლოს გამყიდველის მუხლი და არის თუ არა ლაგრენტი მიქაეა სამშობლოს გამყიდველი, აი, ამას გვიამბობს ეს ნიგნი და არის მხილება შიგ, არის ოუმორი, რამდენადაც შემეძლო მე ავსახე ჩვენი ეპოქა. ახლა ორიოდე სიტყვით იმ ოცდახუთწლიანზე, თქვენ რომ ბრძანეთ. ოცდახუთწლიანზე იდეა, გითხრათ სიმართლე, მე თავიდან არ მქონია. როდესაც ერთ გამომცემლობაში, ძალიან კარგი გამომცემლობაა, „საქართველოს მაცნე“ ჰქვია, ამ „მაცნეში“ გამოვიდა ეს რომანიც. დირექტორმა შემომთავაზა, ბატონო რეზო, თქვენი ნაწერების მრავალტომიანი ხომ არ გამოვიტოვო. არც იმ გამომცემლობას და არც მე, ჩემო ძვირფასო ტელემსმენელებო და ბატონო იონა, ამის საშუალება არ გავაჩნედა, მაგრამ მოხდა ერთი ჩემთვის მეტად სასიამოვნო რამ - ჩემმა მეგობარმა ჩემმა მეგობარმა, ჩემმა ნაცნობებმა გადაწყვიტეს, მოდი ხელმოწერები გავაკეთოთ. ხელმოწერისთვის საქმარის იყო შეეტანა მსურველს ამ ოცდახუთწლიან გამომცემის პირველი-მეორე ტომის ლირებულება, 15-15 ლარი ღირდა თითო ტომი და მერე შემდეგი ტომები რომ გამოვიდოდა იმის კვალობაზე შესყიდვდნენ ეს ხელისმომწერები. ამან ისე გაამართლა, რომ მე თვითონაც ორ უნივერსიტეტში ვმუშაობ, უამრავი სტუდენტი მყავს, უამრავი მე-



გობარი მყავს, ასევე ჩემი კოლეგა მწერლებიც, ბევრმა მოინდომა, მე ვიცი, ყველას უჭირს დღეს, მაგრამ აი, პირველად ერქვა ათტომეული. მერე გაირკვა, რომ ათტომეული ვერ იტყვდა ერთ მესამედსაც კი, რაც მე დამინერა, რაც მიცოდებოდა უბრეტუნოდ ჩემი ცხოვრების განმავლობაში და მოხდა ისე, რომ ოცდახუთი ტომი შედგა, ოცდახუთე ტომი გამოვიდა, მიიღო იგი მკითხველმა. ერთი ნაწილი გაიყიდა კიდევ. პირველ თხუთმეტ ტომში არის პროზა, ხუთ ტომში არის პუბლიცისტიკა და არის, თქვენ წარმოიდგინეთ, დრამატული ნაწარმოებები და ბოლო ხუთ ტომში არის მეცნიერული შემოქმედება ჩემი. აი, ეს არის ამ ოცდახუთე ტომში.

- თითქმის მთელი ცხოვრების ნაჯავი და ნამოღვაწი...  
- ბატონო იონა, რომ დამეწყოს და ოცდახუთი ტომი მომეტანა აქ თქვენთვის, ვერც მე შეეძლებდი მოტანას, ძალიან ძვირად და ვერც თქვენ ნაღებდით სახლში. ამიტომ მოკრძალებით აი, ეს ჩემი „ციყვი ბორბალში“ მოგართვით იმ წარწერით, რასაც მე ვფიქრობ თქვენზე - „ბატონო ავთანდილ ჩიგოძე, მამაო იონა, სინამდვილი, ნიჭით, ინტელექტით, რწმენით განთქმული, მართლა ღვთიური კაცო, მოკრძალებით გიძღვნი ამ წიგნს. რეჟისორი მიხეილ აბო“.

- დიდი მადლობა.  
- საქმე რაშია, იცი, მე თქვენ გიცნობთ, თქვენს მეცნიერულ საქმიანობასაც ვიცნობ, თქვენს დამოკიდებულებას უწინდესთან, ჩვენს სალოცავ ხატთან, რომელიც საქართველოს სულიერი მამა და მოძღვარი გახლავთ, მერე გიცნობთ თქვენ, როგორც პიროვნებას, ასე სუფთა და ხალას კაცს და თორემ ასეთი წარწერას, მე ჯერ ერთი ვინ ოხერი ვარ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ გაგიკეთებდით, რომ თქვენ ამის ღირსი არ ბრძანდებოდით.

- ძალიან დიდი მადლობა. ეს ჩემთვის დიდი პატივია, ბატონო რეზო, ძალიან დიდი პატივია ის, რომ მე ვარ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვარი, ერთ-ერთი პატარა ჯარისკაცი, რომელიც ვეძვასურები ჩემს დედა ეკლესიას და ჩემს საქართველოს, რადგან საქართველო ჩემთვის დედა ეკლესიაა და საქართველო გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე რუკაზე. ასე რომ, თქვენ ამასთან დაკავშირებით ბრძანდებით ქართული სიტყვის ერთ-ერთი ქომაგი და ამასთან ერთად ბრძანდებით, რა თქმა უნდა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი და გთხოვთ გვიამბოთ, რა მდგომარეობაშია დღეს დღეობით მწერალთა კავშირის შენობა, მისი დაბრუნება. რა იყო, ძალიან კარგად იცის ქართველმა მსმენელმა და ჩვენმა საზოგადოებამ იმ ურთულეს წლებში, მოდი სიმართლე ვთქვათ, იმიტომ, რომ ჩემთვის მართლაც ეკლესია არაფერია, თუკი იგი ქართული სიტყვითა და ქართული მწერლობით არ იქნება გაჯერებული. ჩვენ გვაქვს სამი ანბანი და გუშინ, სხვათა შორის, კულტურის მინისტრ-

რი გამოვიდა და მეტად სასიხარულო ინფორმაცია ამცნო ჩვენს საზოგადოებას, რისთვისაც მადლობა უფალს ყველაფრისათვის და მართლაც მადლობა იმ ადამიანს, ვინც ეს გაახმაურა და ამცნო, რომ იუნესკომ მიიღო სამი ანბანი ჩვენი, ქართული დამწერლობა და ალბათ მავანი და მავანი, ჩვენი მეგობრები და მეზობლები ვეღარ შევუვადებთ იმას, რომ მესრობ მამოტოვდა შეუქმნა საქართველოს და ქართველებს ანბანი. თუქცალა ყველას მოკრძალებით მივმართავ და მოვიხსენიებ, რა თქმა უნდა, ქართული ანბანი შექმნილია ქართველის მიერ. აი, დღესდღეობით რა მდგომარეობაა, ბატონო რეზო, მწერალთა კავშირთან დაკავშირებით. მე ისეთი ადამიანის ნაკურთხი ვარ, რომელსაც ვარედან ანაფორა ეცვა, ცოცხალი და შიგნიდან პოეზიის ჯაჭვის პურანგით იყო შემოსილი. ეს გახლდათ მიტროპოლიტი, ან განსვენებული, ჩემი ხელდამსხმელი მეუფე თადეოზი. მას ხშირად მოვყავდი, როგორც პატარა ბავშვი, მე თქვენს მრავალ ღონისძიებაზე, ქალბატონი მაცნის შემოქმედებით სადამოუზღვეო ვიყავ და ძალიან მიყვარდა და მიყვარს კიდევ. რა თქმა უნდა, იქ მოსვლა, როგორც საკუთარ სახლს ისე აღვიქვამდი ბაღს, ის ჩვენი, ის ყველასია, იქ რომ შემოვედი სარაჯიშვილის სურათი და ვინახებ, მე შეამაყებოდა და იცით, რა ვუთხარი, მე რეზო მოვიყვანე, მიშველავ-მეთოქი. ეს გულში ვთქვი და ვახმაურებ ამას. ჩემთვის ეს სახლი ცოდნის ტაძარია. ქართული პოეზია და მწერლობა თქვენს და თქვენისთანების კისერზე დგას დღესდღეობით. აი, რა ხდება, რას გვეტყობთ ამის შესახებ. მამაბები, რომ სიტყვა გამიგრძობდა.

- დიდი მადლობა, მამაო იონა, მოგახსენებთ, ჩემთვის ძალიან ძვირად მამაო ლაპარაკი, მე გაფუჭებული გრამაფონივით ხშირად ვიმეორებ ამას და სანამ პირში სული მიდგას არ დავიღებ ბრძოლით იმისათვის, რომ საქართველოს მწერალთა კავშირს თავისი სასახლე, თავისი ღირსება დავუბრუნო და უნდა გითხრათ, რომ უთანასწორო და ძვირად ბრძოლაში ვართ ჩართული. აი, გეტყვით ორიოდე სიტყვით. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია 600 მწერალი და მათ შორის ნეტარხსენებული, ჩემი უძვირფასესი მეგობარი, მეუფე თადეოზი ჩვენი მწერალთა კავშირის წევრი გახლდათ. მისი ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ჩვენს ლიტერატურულ პერიოდიკაში და საქართველო ცხოვრობდა დიდი ლიტერატურული ცხოვრებით, ხომ საკუთარ თავს განმავლობაში და განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში. მოხდა ჩვენთვის სრულიად წარმოუდგენელი რამე, რომ ცა მიხვილ სააკაშვილმა ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, ეს არავითარი არჩევნები არ ყოფილა, ეს იყო პირდაპირ რევოლუციით, ეს იყო სასხლის კარის შეთქმულებით, თქვენ ძალიან კარგად იცით, როგორ გააგდეს, როგორ ჩამოაშორეს მუშტებით და მკვლევით ხელისუფლებას ეღუარდა შევარდნაქ და მოვიდა მიხვილ სააკაშვილი და 2007 წელს, 21 აგვისტოს მწერალთა კავშირს ღამის 3 საათზე მოადგა ზონდერ პრიგადა...  
- მახსოვს ის ავადსახსენებელი ღამე...  
- დიახ, ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციელები თავს დაესხნენ მწერალთა კავშირს და მემორიალური ნივთები გალაკტიონ ტაბიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, ვლად ასათიანის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, იოსებ ნონეშვილის, თვით ვაჟა-ფშაველას ნივთებიც გვექონდა ჩვენ მწერალთა კავშირში, მათი პირადი საქმეები, ამ 500 კაცისა ტუჩაში გადაყარეს, ტუჩაში გადაყარეს გალაკტიონ ტაბიძის მიერ მხრით მოტანილი კარადა. გალაკტიონ ტაბიძე იყო, სხვათა შორის, პოეზიის სექციის თავმჯდომარე ერთი პერიოდი და მას ძალიან მოსწონდა ეს თავისი მდგომარეობა და თვითონ მოიტანა კარადა და თავისი ხელით გააქრა წარწერა - პოეზიის სექციის თავმჯდომარე გალაკტიონ ტაბიძე. კონსტანტინე გამსახურდიას საგარეო, რომელიც თვითონ მხოლოდ ბატონი კონსტანტინე ჯდებოდა. აი, ეს ძვირფასი ნივთები ტუჩაში გადაიყარეს. რა თქმა უნდა, მე დამირეკეს, მაცალა, ყველა, ვინც ვიყავით მწერალთა კავშირის თანამშრომლები მოვედით, შუალაშე. რას ვერბობთ, რას სწავლიხართ, ქართველები არა ხართ, შეიღებო? - ვუბნებთ პოლიციელებს. ჩვენი გვითხრესო, მწერალთა კავშირში შევიდნენ ლტოლვილები, ვიღაც უცნობი პირები, შედით ახლა თქვენ და გადმოყარეთ ყველაფერი გარეთ, რაც მწერალთა კავშირშია. ერთი მოვიდა და მეუბნება, ბატონო რეზო, რომ ვნახე კარებზე წარწერა - რეჟისორ მიხეილ აბო, მაცალა გონაშვილი, სოსო იგუა, მაშინ მიხვდით, ჩვენ რა გავაკეთებდით, მაგრამ ჩვენ პატარა ხალხი ვართ, ჩვენ რა შეგვეძლო და ერთი მეუბნება, ბატონო რეზო, შეიძლება თქვენთან სურათი გადავიღო. დამსჯელი ექსპედიციის წევრი, იმას რას ვერჩი, ახალგაზრდა, პირველად ბიჭი იყო, თქვენთან სურათი მინდა გადავიღო, რომ ჩემს შთამომავლობას დაეუტოვო. ამ დროიდან, 2007 წლის 21 აგვისტოდან მწერალთა კავშირში არ გვიშვებდნენ, ხუთი პოლიციელი დარაჯობდა მწერალთა კავშირს და იქ სასწაულებრივად გადარჩენილი პირადი საქმეები რომ იყო, ზოგი ტუჩაში აკრიფეთ, ზოგი გაიფანტა, დაიკარგა და შესვლა რომ გვინდოდა, ვუბნებოდი კარებში, კაცო, გარდაიცვალა მწერალი აკაკი გენაძე, მისი პირადი საქმე გვინდა ვნახოთ, რომ ნეკროლოგი დავწეროთ, შეგვიძინო. არ გვიშვებდნენ. სააკაშვილის ბრძანება იყო, მწერალი ამ შენობაში არ შევიდეს. გაგივით ასეთი რამ? პიტლერს არ მოსვლია აზრად მწერალთა კავშირი დაერბია და მწერლების პირადი საქმეები, მათი ნაწიქარი ნივთები, მათი ავტოკალმები ტუჩაში გადაიყარა.

- თუ იპოვებს ის რელიქვია, რაც იყო, კონსტანტინე გასახურდიასი და სხვების?

- 95 პროცენტით დაკარგულია, 95 პროცენტით განიავდა.

- ეს არის ბარბაროსობა, რა ქვია ამას?

- ახლა ველოდებოდით, რასაკვირველია, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას და მთელი მწერალთა კავშირი, შეიძლება ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, მხარს უჭერდით და ახლაც ვუჭერთ, სრულიად ბუნებრივია რომ კაცი, რომელიც დაარბია მწერალთა კავშირი და გამოგყვარა მწერალთა კავშირიდან გვქუდღეს...  
- ეს შენობა ხომ თქვენ გაქუდღეს?

- დიახ, სარაჯიშვილმა დავგიტოვა მე მკვიდრეობა და მერე ხომ ტარიამ, იყო ასეთი ბიზნესმენი, გვარჩუა ჩვენ. ხოლო 1921 წელს ელიავამ, სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ პირდაპირი ბრძანებით აი, ასე გააფორმა: გადაეცეს ხომტარას და სარაჯიშვილის შენობა საქართველოს მწერალთა კავშირს. ასე წლის განმავლობაში იყო საქართველოს მწერალთა კავშირი ამ შენობაში. მოვიდა ბატონი ბიძინა, რა თქმა უნდა, ბატონ ბიძინას მე თვითონაც დიდ პატივს

ვცემ და ხმაც მივეცი მაშინაც და ახლაც, სრულიად ბუნებრივია და გვეუბნებოდა, როდესაც ვკითხავდით - რაზეა ლაპარაკი, ბატონო რეზო, თქვენი ეს შენობა და აბა, სხვისია? ისე გავიდა ოთხი წელი „ქართული ოცნების“ მმართველობისა, რომ ჩვენ შენობა არ დაგვიბრუნეს, მაგრამ იმედს კი გვაძლევდნენ, დღეს, ხვალ, დღეს, ხვალ. ბიძინა, ვერ დაუკარგავ, ის გააკეთა, რომ ნება მოგვცა შევსულიყავით კვირამი 1-2 დღე მწერალთა კავშირში ქართველი მწერლები და თუ გვინდოდა რაიმე ღონისძიების ჩატარება, ჩაგვეტარებინა. მეტი არა. მეორე დღესვე, რომ დამთავრდებოდა ჩვენი ღონისძიება, უნდა გამოგვეკეტა კარი და ერთი მაგიდა, ვეხვებები, მწერლის სახლი დაარქვეს და დირექტორად დანიშნეს ვინმე ნატო ლომოური, რომელსაც ლიტერატურასთან, მწერლობასთან არაფერი საქმე არ ჰქონდა, არც „ნაციონალიზმის წევრი“ და დაახლოებული ქალბატონი მხიბლავი სააკაშვილის მიერ არის და გადაქცეული ნატო ლომოური, ჩემო საყვარელო ნატა, უფლება მომეცა ჩავატარო წიგნის პრეზენტაცია, იუბილე. ახლა გარდაიცვალა შესანიშნავი პოეტი ქალი, ლიდა სტივლია და ვთხოვეთ, რომ იქნებ გამოვასვენოთ ჩვენ მწერლებმა ამ შენობიდან ლიდა სტივლია. ვაკტეგორიული უარი გვითხრა, ვინ გითხრათ, რომ ეს შენობა თქვენ გეკუთვნითო. იქამდე მივიდა დაცინვა ჩვენი, რომ დღეს იმ ბაღში, სადაც თქვენც ყოფილხართ, მეუფე თადეოზი და ყველანი ერთად ვისხედით, სადაც მე, 16 წლის ბიჭმა პირველად ვნახე, მწერალთა კავშირში მისვლის დროს, ერთად მსხდომი კონსტანტინე გამსახურდია და გალაკტიონ ტაბიძე. თქვენ მართალი თქვით, აკადემია იყო მწერალთა ბაღი. სამი წლის წინ, სამი წლის წინ ხომ ისევ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იყო, წართქველი შენობა სააკაშვილის მიერ არის და გადაქცეული ის ნატო ლომოურის გამგებლობაში მყოფ ციხესიმაგრედ. ხომ გვინდოდა ხანდახან შესვლა, საუბარი, რომ ცხელია, ამ ბაღში. დავჯექით მე, სოსო სიგუა, მაყვალა, თემურ ჩალაბაშვილი და ბალათერ არაბული და ოფიციალტი მოგვადგა. რას შეუკვეთავით, გვითხრა. ჩვენ მწერალთა კავშირის ბაღში ვზივართ, რას შევუკვეთავთ, ბატონო, მე ვუთხარი. ბატონო, მწერალთა კავშირის ბაღი ეს არ არის, აქ რესტორანი გაიხსნა. ვინ გახსნა ეს რესტორანი, რატომ გაიხსნა, რაშია საქმე, ამაზე პასუხი არ მოგვცეს. დღეს მწერალთა კავშირის ბაღში მწერლებს უბრალოდ შესვლა და დაჯდომა აკრძალული აქვთ. თუ შეხვალ და მოითხოვ, ყავა დამალევენ ერთი ჭიქაო, ყავა ოთუზბირი ღირს და ჩვენი შესაძლებლობა, ქართველი მწერლებისა, მოგვსენებდა. ამ შესაძლებლობაზეც გეტყვით ორიოდ სიტყვას. არსად არ არის ისე დამცირებული ქართველი მწერალი და ქართველი ჟურნალისტი, როგორც თანამედროვე საქართველოში. წართვეს შენობა, თავისი ბინა ქართველ ჟურნალისტებს. ახლა ბატონმა ჰამლეტმა ეს რაღაც სასწაულბერივად ნასესხები ფულით, გაჭირვებით, რაღაცა სესხის ალებით მოიპოვა და ეს ბუდე გაგვიჩნათ თქვენ ჟურნალისტებს და მე ბედნიერი ვარ, მამაო, რომ თქვენ წარმართავთ აი, ამ მშვენიერ გადაცემას, მაგრამ მწერალთა კავშირის წევრს აზერბაიჯანში აქვს სახელმწიფოსგან 500 დოლარი, სომხეთში, აგერ მეზობელ სომხეთში მწერალთა კავშირის თითოეული წევრი ღებულობს 300 დოლარს. საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი შევარდნაძის დროს იღებდა 50 ლარს, ახლა არც ერთ ლარს არ იღებს. სააკაშვილმა ხომ მოგვიხსნა, მერე ბატონმა ბიძინამ არ აღგვიდგინა მწერალთა კავშირის წევრის ეს სიმბოლური სტატუსი, თუნდაც 50 ლარი.

- ჩვენ ვიცით, რომ ბატონი ბიძინა ბევრს ეხმარება, მსახიობებს, მოძღვრებს, კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა მოღვაწეებს.

- რასაკვირველია, იმ დამხმარება შორის ჩვენცა ვართ, რუსთაველის პრემიის ლაურეატები, კიდევ რამდენიმე მწერალი, მაგრამ მე ჩემზე კი არაფერს ვამბობ. ბიძინას სიკეთე რომ უნაპიროა და ბიძინამ არ სამების ტაძარი ააშენა და ბიძინა რომ თავისი განსაკვირვებელი ქველმოქმედებით უნივერსიტეტს, თეატრებს, ქართულ ხელოვნებას, საორტს ეხმარება, ამაზე მე დღე და ღამე ვამბობ და ჩემს წინგებშიც არის ეს ყველაფერი, მაგრამ მე ვერ ამხსნია და ბიძინას რომ შეხვდები მინდა ვკითხო, ობამამ ვთხოვა, რომ ქართველ მწერლებს არ დაუბრუნო თავისი შენობა?

- არა, არა...

- მწერალთა კავშირის შენობა დღემდე ბიძინასაირ კეთილ ქველმოქმედ კაცს რომ ჯიუტად არ დაებრუნებინოს, როგორ დავიჯერო. გუშინწინ გაზეთი გამოვიდა, ჯანსუღ ჩარკვიანი მშვენიერ გაზეთს ცემს, „ქართულ სიტყვას“ და იქ ჯანსუღ ჩარკვიანი წერს - რამდენიმე თხოვნა ხელისუფლებას და რამდენიმე თხოვნაში არის ერთი თხოვნა - მომასწარი იმას, ჩემო ბიძინა, მე 85 წლის კაცი ვარ, ისე ნუ მომკლავ, რომ ქართველ მწერლებს თავისი შენობა არ დაუბრუნდესო.

- და მე იმედი მაქვს, რომ აქედან, ჩვენი პატარა ეთერიდან აუცილებლად სიტყვას მიანვდის ვინმე მაინც ბატონ ბიძინას და იმედია, რომ ქართველ მწერლებს აუცილებლად ექნებათ თავიანთი ნახაყუფელი იმიტომ, რომ ახლა ვფიქრობ, ნეტა მართლაც არ დამსკვა ეს შეთხზვა, იმდენად გულსაკლავი პასუხი მივიღე, მაგრამ იმედს მაინც ვამოვივებ...

- ჩვენ როცა მივედით უწინდესთან და უნეტარესთან და ვუთხარი თბ, ასე გამოგვყარეს, ასე დავგარბივს ქუჩაში და ავგვირბაღეს მწერალთა კავშირში შეკრება-მთქვა, როგორი იქნებოდა პასუხი? უწინდესს თვალზე ცრემლი მოედა, როგორ შეიძლება ქართული მწერლობის ასე დარბევა, შვილებო. მე წინ ვედექი და ასე რამდენიმე მწერალი. მოდი, ჩაატარეთ სამების ტაძარში თქვენი ყველა ღონისძიება, ყველა იუბილე, ყველა პრეზენტაცია, შეგიფარათ თქვენ სამების ტაძარმა და ქართულმა სამედიცინოლოგებამო. ხუთი წელი ვატარებდით სამების ტაძარში, ახალგაზრდულ ცენტრში ყველა ღონისძიება. მერე, როცა ბიძინამ ნება დავვართ კვირამი ორჯერ მოვიხდით, მეტყვერ არა, კაცო, იქ მოდიან ჩემთან ავტორები, მასალები მოაქვთ, ხომ შეიძლება პატარა მაგიდა სადმე კუთხეში, თუ ასეთი სამარცხვინოა მწერალთა კავშირში მწერლის ყოფნა, პატარა მაგიდა დავგიდგან, რომ უჯრაში შევიწახო ლიტერატურული გაზეთის ნივთები. რაშია საქმე, რატომბა ასე დამცრობილი ქართველი მწერალი საქართველოში? მე თვითონ ხომ არ წარმიდგენია ჩემი თავი ნობელის პრემიაზე, ეს ხომ იმის დასტურია, რომ ქართველი მწერალი არსებობს, ქართული ლექსი იწერება, ქართული რომანი იწერება. ვერაფრით ვერ ამხსნია ეს დამოკიდებულება. ჩვენ უწინდესმა საოცარი პატივი გვცა, მე ვლოცულობ უწინდესზე და სხვას არც ველოდი მისგან.

- მაღლობა, დიდება და მაღლობა, სხვანაირად არც შეიძლება, უწინდესი თქვენ კარგად მოგესწებათ როგორი ტოლერანტია და უწინდესზე დიდი ქართველი მე არც მიმარჩია დღესდღეისობით საქართველოში. და მიუხედავად ასეთი რთული მდგომარეობისა, ქართული მწერლობა თავის საქმეს ღვთის წყალობით და ვფიქრობ შეცდომად მყოფი ისეთი ადამიანების ლოცვით, როგორიც არის შოთა რუსთაველი, მაინც განაგრძობს თავის კეთილ მოღვაწეობას. მე მინდა შეგახსენოთ და გითხრათ, რომ როგორც ვიცით, 2016 წელი გამოცხადდა რუსთაველის წლად, ეს იუნესკომ გამოაცხადა და ჩვენ

ამას წინათ გავაშუქეთ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია - „ვეფხისტყაოსანი-850 წლისა“ და აქედან გამომდინარე, ამ კონფერენციასთან დაკავშირებით მაშინ ბატონი რეზო ვერ მობრძანდა მაშინ გარკვეული მიზეზებისა გამო და დღეს კიდევ დავგდო პატივი, რომ მობრძანდა და დღეს მინდა, რომ ამასთან დაკავშირებით ვისაუბრობოთ, რა კეთილბოდა, ვინ იყო ამის თანამონაწილე, რა თქმა უნდა, თქვენ ლომის წილი გაქვთ და ამავედროულად თქვენ მხარში გეგდათ, რამდენადც მე ვიცი, ჩვენი რექტორი ფრანგიშვილი და მართლაც არჩილი დიდი დაამიანია და კეთილშობილი პიროვნება, რისთვისაც მე პირადად, როგორც ერთი ქართველი, დიდ მადლობას ვუხდით აი, ამ კეთილშობილური საქმის წამოწყებაში და იდეის განხორციელებაში ზოგადად. აი, ამასთან დაკავშირებით, მე ვიცი, რომ უამრავი ხალხი ესწრებოდა, მე თვითონაც ვესწრებოდა, რა თქმა უნდა, და უნდა აღინიშნოს, მე ვფიქრობ, რომ ადრე იყო ხოლმე, ძველი თაობის დროს მარკა გამოდიოდა ფილატელის საფოსტო მარკა, რაღაცა იბეჭდებოდა ახალი ნუმიზმატიკაში, ასანთებზეც კი გამოდიოდა და როგორ შეიძლება, რომ 850 წლისთავი არ აღინიშნოს ამ ზუმბოკაში, არა მარტო მწერლისა, დიდი მეცნიერისა, მე ასე ვიტყვი, გადაჭარბებად ნამდვილად არ ჩამეთვლება, იმიტომ რომ, აი, ამას წინათ ერთ-ერთ გადაცემაში მითხრეს, რომ რატომ არ ჰყავდა რუსთაველზე უფრო უძლიერესი და უკეთესი მწერლები და პოეტები საზღვარგარეთს. მე ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, მე მათ საფლავებზე ხშირად მივსულვარ და ყვავილიც კი დამიდგია და არა მარტო მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, ფართო სფეროა ხელოვნების ამ დარგში, მაგრამ რუსთაველი იყო გენია, ასე ვთქვათ, მაგრამ რუსთაველი იყო რუსთაველი და ინდივიდი არ განმეორდება, გამორიცხულია. აი, ამასთან დაკავშირებით მინდა ორიოდ სიტყვით მაყურებელს ვაწვყო.

- მოგახსენებთ, ბატონო იოანე, რუსთაველის პირველი იუბილე 1937 წელს ჩატარდა. ეს იყო 750 წლისთავი „ვეფხისტყაოსნის“. მეორე იუბილე ჩატარდა 1966 წელს. მე სიტყვას აღარ გაგიგრძელებთ და თქვენ მშვენივრად ბრძანეთ, დედამიწის ერთ-ერთი უპირველესი პოეტი ან თუ ყველაზე დიდი არა, მაგრამ პატარა ერის შვილია შოთა რუსთაველი და დღემდე მსოფლიო ლიტერატურაში იგი მაინც და მაინც ისე ვერ გახმაურდა, როგორც ეკუთვნის, მაგრამ საკმაოდ არის გახმაურებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მის სახელს იუნესკო და გავირო არ ახსენებდნენ და არ დაუსახავდნენ მიზნად მსოფლიოს, რომ ეს იუბილე ჩატარებულიყო. 1966 წელს ირაკლი აბაშიძის თაოსნობით კომუნისტურ ეპოქაში ჩატარდა იუბილე და მე ვნახე, სხვათა შორის, მწერალთა კავშირის არქივებში, 453 უცხოელი მწერალი ჩამოიყვანეს. ახლა, 2016 წელს არც ერთი, მაშინ იყო 800 წლისთავის იუბილე, ახლა 850 წლისთავის იუბილეა. მივწერე ხელისუფლებას მე თვითონ, როგორც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა, რომ ორ რამეს გთხოვთ ქართველი მწერლები: ერთი - რუსთაველზე გავხსნათ რუსთაველის სახლი, სადაც დაიდება ხელნაწერები „ვეფხისტყაოსნის“, სადაც გაიყიდება „ვეფხისტყაოსანი“ სხვადასხვა ენაზე.

- ეს ტურიზმისთვის ხელშეწყობის ერთ-ერთი ფორმაცაა.

- უცხოეთიდან ჩამოსული კაცი, მამა იოანე, თბილისში შეკერილი კვართის საყიდლად კი არ ჩამოვა, „ვეფხისტყაოსანს“ წაიღებს თავის ნაზე, ამაზე კარგი ვა იქნება. და მეორე - გამოვიცით ერთი დიდი საიუბილეო კარგი გამოცემა „ვეფხისტყაოსნის“. ვიცი, გიჭირთ ყველაფერი, მაგრამ ეს გააკეთეთ-მეთქი. ხომ შეიძლება, რომ ვინმეს სახელმწიფო კანცელარიიდან ან პრეზიდენტის კანცელარიიდან ან პარლამენტიდან, ამ სამ უწყებას მივწერე მე ეს წერილი, დაერევა და ეთქვა, ბატონო რეზო, ახლა ჩვენ არჩევნები გვაქვს, ჩვენ თონეში გვაქვს თავი ჩაყოფილი, ჩვენ რუსთაველისთვის არ გვცხელა. დუმილით უპასუხეს. ამ დუმილში გაიღია წელი და ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგა ხელისუფლებამ რუსთაველის 850 წლისთავის აღსანიშნავად. ჩვენ ავიღეთ, ისევე მწერალთა კავშირმა ჩვენს ხელში ეს საქმე, ჩავატარეთ მშვენიერი საიუბილეო საღამო ახალციხეში, ვარძიის სანახებში, ჩავატარეთ ქუთაისში. სამწუხაროდ, მაინცდამაინც წელს არ ჩაატარა თელავმა „შოთაობა“, რომელსაც ატარებდნენ მთელი 46 წლის განმავლობაში. ჩავატარეთ კიდევ რამდენიმე ადგილზე და წლის მინურულს, ოქტომბრის ბოლოს მივედი ბატონ არჩილ ფრანგიშვილთან, აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილთან. ასე და ასეა საქმე, ბატონო არჩილ, მომზადებული გვაქვს „ვეფხისტყაოსანი“, უნიკალური გამოცემა მუშრან თავდიშვილისა, რომელსაც ჩვენ უსახსრობის გამო ვერ ცვცემთ. უნდა გენახათ მისი პატრიოტული დამოკიდებულება ამ საქმისადმი. რუსთაველი, ბატონო რეზო, ჩვენი სალოცავი ხატიაო. მერე რა, რომ ჩვენ ტექნიკური უნივერსიტეტი ვართო. მოდი, ჩვენ ჩავატაროთ ეს იუბილე უნივერსიტეტში. მან გამოძებნა სახსრები, დღეს ქონი არავის არ გადასდის თავზე, გამოვიცით „ვეფხისტყაოსანი“, ბრწყინვალე გამოცემა და ჩავატარეთ აი, ეს საერთაშორისო კონფერენცია. საერთაშორისო კონფერენცია ძალიან გახმაურდა, მე ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მხოლოდ ერთს, ძვირფასო ხელისუფლებო, აი, აქედან მიმართავ ხელისუფლებას, ახლა ხომ დანყნარდა თქვენი ვნებები, ახლა ხომ არჩევნები დასრულებულია, ვერ კიდევ არის ერთი თვე დარჩენილი ამ სირცხვილის გამოსწორებისა, რომ რუსთაველის იუბილე, 850 წლისთავის აღნიშვნა საქართველოში არ ჩავატარეთ. ამაში თქვენი დანაშაულია, უკნიველეს ყოვლისა, რადგანაც ჩვენ მწერლებმა რაც შეგვეძლო ყველაფერი გავაკეთეთ.

-რას შერებოდა განათლების სამინისტრო? სკოლებში არ შეიძლება პატარა-პატარა საღამოები ჩატარებულიყო?

- იქაც დიდი რიარია იყო, გამოიცვალა მინისტრი, რაღაც იქითაქეთ და გითხრათ სიმართლე, მე დამნაშავედ არავის არ ვაცხადებ, მაგრამ მე მეგონა, „ვეფხისტყაოსნისადმი“ პატივისცემა ყველა ქართველმა უნდა ისწავლოს, ერმაც და ბერმაც.

-ნამდვილად, ბატონო რეზო, ამას წინათ გახლდით რომში და მითხრეს, რომ რომში, კოლინეუმის ზემოთ არის პატარა ბაღიო, პატარა კი არა, კარგა მოზრდილი ბაღი და იქ შოთა რუსთაველის ბიუსტი დგასო, ახლახანს დაიდგა. ფხვით, ფხვდაფხვ აუვდი და აი, ამ ზუმბოკაში მწერლებსა და პოეტებს გვურდობს გვარაძე შოთა რუსთაველის ძეგლი იყო და როგორ ჩავეუტე, იცით და, აი, ამ ქვას, ქვაში გაცოცხლებულ შოთას გეოცნიდი, ვეამბორებოდი, მოვედი-მეთქი, რომ პატივი გცემეთეი და ყველაზე დიდი ვიყავი, ყველაზე ბედნიერი ვიყავი ამ შემთხვევაში და არაფერი აღარ მანუბებს-მეთქი და სურათიც გადავიღე სამახსოვროდ.

- კიდევ არ შემიძლია არ აღვნიშნო, პანტომიმის თეატრმა, ამ უშუბონობ და უსახსრო თეატრმა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მოქმედი თეატრია საქართველოში, ჩემო ქვერფასებო, დადგა „ვეფხისტყაოსანი“. 26 ნოემბერს იყო, ჩემო ბატონო, პრემიერა, ბრწყინვალედ ჩატარდა, დიდებულად მიიღო მაყურებელმა, ერთ-ერთი პირველია ქართულ თეატრში. იყო მცდელობები წუწუნავას მიერ, თაყაიშვი-

ლის მიერ სხვადასხვა დროს 30-იან წლებში, მაგრამ ვერავინ ვერ შეძლო ვერც თეატრში და ვერც კინემატოგრაფში დაეგდა სრულფასოვანი სპექტაკლი „ვეფხისტყაოსანი“, ეს გააკეთა ამირან შალიკაშვილმა, პანტომიმის თატრში. ჩემს გასამტყუნებლად, მოდი და ნახეთ, ძვირფასებო, ნუ გაიმეორებთ იმ გზას, რაც სააკაშვილმა გაიარა, თეატრში რომ არ შესულა ცხრა წლის განმავლობაში. შედით მინისტრებო, მთავრობის თავმჯდომარეებო, პარლამენტის ხელმძღვანელებო, თეატრში, მოდი მწერალთა კავშირში, ესტუმრეთ ფილარმონიას, დაჯექით, დაესწართ იუბილეებს, ნუ გამოუცხადებთ ბოიკოტს ქართველ ერს, ამას ძალიან ცუდი სუნი ახდის, ამას გლოზალიზაციის სუნი ახდის და აი, 9-ში და 10-ში, დეკემბერს, კიდევ იქნება სპექტაკლი „ვეფხისტყაოსანი“ და თუ შეხვალთ და არ მოგეწონებათ, მე ჩემს სიტყვებს უკან ნაიღებ და რაც აქ ვილაპარაკე დღეს, ამისთვისაც პოდიმის მოგიხდით. აი, ასეთი ვითარებაა. ჩვენ არაფერი არ გვინდა თქვენგან, ერთი რამ, მოგვეცით ოპერის თეატრის შენობა 15-დან 25 დეკემბრამდე, რომელიმე დღე. ჩვენ ჩავატარებთ იქ რუსთაველის იუბილეს, ჩვენი ძალებით, გამოვა სამღვდელიოების წარმომადგენელიც, მეცნიერიც, მწერალიც და ბოლოს ჩატარდება აი, ეს სპექტაკლი, გაიმართება ოპერის თეატრში, მშვენიერი სპექტაკლი პანტომიმის თეატრისა...

- ბრწყინვალე იდეაა.

- ამით მოვიხდით ვალს ჩვენი დიდი პაპის წინაშე. სასაცილო არ არის, რომ მე, რეზო მისეველად ვეხვებოდე საქართველოს ხელი-სუფლებას, ნუ შეიძულეთ, ნუ დაგვანყდათ შოთა რუსთაველი-მეთქი. აი, ეს არის სასაცილო, მამაო. მე არ ვიცი, მე ბევრი რამ ვერ ამხსნია და მათ შორის ეს ჩვენს ცხოვრებაში.

- იმედს გამოვთქვამ, მე მაინც ოპტიმისტური ნოტი მინდა დავამთავრო ჩვენი გადაცემა და გადაცემის ბოლოს მინდა, გკითხოთ თქვენი სამომავლო გეგმები, ბატონო რეზო, თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით.

- არ დამაინყდეს: სხვათა შორის, შვედეთში ჩატარდა რუსთაველის იუბილე, პარიზში ჩატარდა რუსთაველის იუბილე, გერმანიაში, ფრანკფურტში ჩატარდა რუსთაველის იუბილე, მარტო საქართველოში არ ჩატარებულა, რუსთაველის სამშობლოში. სომხეთში ჩატარდა და აი, ეს რომანი, რომელიც თქვენ ბრძანეთ და წარდგინილა ნობელის პრემიაზე, ითარგმნება შვედურ ენაზე, ინგლისურ ენაზე, სომხურ ენაზე ახლახანს მომიტანა ანაიდა ბოსტანჯიანმა თარგმანი და მე შევეცადე რაღაც კითხვებზე შეპასუხა მისთვის. ვწერ ნოველებს, მწერალთა კავშირი თავისი სისხლსაც ცხოვრებით ცხოვრობს, მისჯილი გვაქვს მწერალთა კავშირში შესვლა მხოლოდ 2 დღე. იმ 2 დღეს მოახყდებიან მწერლები, რამდენს უნდა ვილაპარაკო, ანდა რა უნდა გავაკეთო, ზოგს განცხადება უნდა, ზოგს წერილი უნდა საავადმყოფოში მივუწერო, ზოგს რაღაცა... ოუპირებულ მდგომარეობაშია საქართველოს მწერალთა სასახლე და ჩვენთვის, ჩემო საყვარელო ტელემეყურებლებო, გაუბნებთან თავისუფალი არხიდან, ისევ სააკაშვილის დროა ქართველი მწერლებისთვის და ქართველი ხელოვნებისთვის, ყველასთვის ერთბაშად. ვაჟა აზარაშვილი, ნომერ პირველი კომპოზიტორი დღევანდელ საქართველოში, ყვირის, ვერ ახალ სიმფონიებს, ახალ კლასიკურ ნაწარმოებებს და არა მაქვს საშუალება მისი ჩანერისო.. ასევე ვერ ატარებს თავის კონცერტებს, ვერ გამოფენენ ხოლმე მხატვრული თავის ახალ ნამუშევრებს. უარეს დღეში არიან ქართველი ქორეოგრაფები და მოცეკვავეები...

- ბატონო რეზო, ეკა კვალაშვილი სახლში უნდა იჯდეს და ეკა კვალაშვილი საზღვარგარეთ უნდა მიდიოდეს და სხვები, ღმერთო, მამატიე, მაგრამ პედაგოგები დაიხოცნენ და ჯორებს დარჩა ქვეყანაო, არ მინდობდა ეს სიტყვა მეთქვა, მაგრამ სრული ამ სიტყვის მიმშენებლობით...

- რამდენიმე უნიჭო ხელოვანი ჰყავთ ჩახუტებული, მე ვენაცვალე იმ ახალგაზრდა ბავშვებს, ჩემი სტუდენტები იყვნენ, ჩემი გაზრდილები არიან, მაგრამ უკეთეს ქართველ მწერალს კი არ არჩევს კულტურის სამინისტრო წიგნის ბაზარზე გასაშვებად, არამედ ისეთს, მე არ ჩამოვთვლი გვარებს, სადაც ლაპარაკია პიროვნების დამცირებაზე, ცვედნობაზე, რაღაცა რომანი მომიტანეს, სირცხვილი დავინვი, რომ მომიტანეს და ნამაკითხეს. ეტყობა, ეს მიაჩნია ჭეშმარიტ ლიტერატურად, ჭეშმარიტ მხატვრობად, ჭეშმარიტ თეატრად კულტურის სამინისტროს და არა ის, რაც გერად არის გამოცხადებული დღეს საქართველოში.

- მართალი ბრძანებით, ბატონო რეზო, მე დავეთანხმებით...

- ასევე რამდენიმე ჟურნალისტი ამოჩემებული...

- სამწუხაროდ. იცით რა არის, ერთი და იგივე სახეები ცოტა არ იყოს ძალიან რთულია, ვარსკვლავებიც მავათ დარჩეთ, მინდა გითხრათ და ყველაფერიც მავათ დარჩეთ...

- პროგრესულ ჟურნალისტთა კავშირს მიეცი ფრთების გაშლის საშუალება, მიეცი დღე და ღამ რომ წვალობს ეს ჰამლეტ გვეია, რაღაცა შეუქმენი პირობები, რაშია საქმე, 25 მილიონად ჩამოიყვან უცხოელს, ეს გრძობდება სააკაშვილის ტრადიცია, ჯახმენს ვილაცა ჩამოწერილს უცხოეთიდან 29 მილიონს აძლევ...

- ამიტომ გარბის ახალგაზრდობა საქართველოდან.

- მესამედ მილიონს არ აძლევ მწერალთა კავშირს, ჟურნალისტთა კავშირს, ქართული თეატრს, უწინებოდ შეიძლება იყოს პანტომიმის თეატრი, რომ შეხვიდეთ, ნაომარი გვეკონებათ. ვეხუმრებოდი რეჟისორს, რად გინდა ქავერის ციხე, აი, შენი კედლები გადაიღე, დანგრეული, დაღლილი, როგორიც არის ახლა-მეთქი.

- აი, ეს სიტყვიც კი სიმწარეა, უღრმესი მადლობა, ბატონო რეზო, გადაცემაში მონაწილეობისათვის, რთული გადაცემა იყო, ასე ვთქვათ, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს სირთულაც აუცილებელია, ეს სიტყვა სიმართლისა უნდა ითქვას და ხმა არის და ხმა ღვთისა უნდა იყოს, მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლება აუცილებლად მიიღებს იმ ოპტიმალურ გადაწყვეტილებას, რასაც მამული, ენა და სარწმუნოება ჰქვია.

- ერის ჩავრთავ, ღმერთის იმედზე ვიყოთ, ღმერთს ვებარებოდეთ, ღმერთის იმედი მაქვს, როგორც რუსთაველი ბრძანებს: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნება“.

- დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად ღმერთს უნდა, რომ იმ დანუზებული ენით, დამარხული ენით, დაკნინებული ენით ისევე აღსადგეს ქრისტიანობა, აღსდგეს სამართლიანობა და მომავალი ჩვენი იყოს ნათელი და მშვიდობიანი.

- ამინ! ამინ!

- ამ ოპტიმალური სიყვარულითა და იმედით ვემშვიდობები მე ჩემს გადაცემის სტუმარს და გემშვიდობებით თქვენ მომავალ ხუთ-შაბათამდე. დღეს გადაცემის სტუმარი ბრძანდებოდა ბატონი რევაზ მიხეილაძე და მე, გადაცემის წამყვანი, თქვენი მონა-შორჩილი, დეკანოზი იოანე ჩიგოგიძე. ღმერთმა დაგვაცოცხლო და გავაძლიეროთ. ამინ!

- დიდი მადლობა.



### ნაწული გუნია

#### საქართველოს

სამშობლოვ, შენზე ფიქრებმა  
სად და სად აღარ მატარა,  
ეს თამარ მეფის სარკეა  
თუ საოცარი საფარა.

ამაყი კობტაგორა თუ  
ურყევი კავკასიონი,  
შმაგი თერგი თუ არაგვი  
თუ მონარნარე რიონი.

და კიდევ ვინ და რა მოთვლის  
სად და სად აღარ ვიარე,  
ღვთის კურთხეული სამშობლო  
თითქმის სულ შემოვიარე.

მე ჩემი ქვეყნის სადარი  
არსად მინახავს სხვა ერთი,  
ეს რაჭა-ლეჩხუმ, ქართლია,  
სამეგრელო თუ სვანეთი.

თუშ-ხევსურეთ-მთიანეთი  
და თუ აჭარის მთებია,  
საინგილო თუ ლაზეთი  
მე ყველა მომნატრებია.

რომელი ერთი აღვნიშნო  
იმერეთი თუ გურია,  
აფხაზეთ, ტაო-კლარჯეთი  
მე ყველას ნახვა მწყურია.

ამ საარაკო ჯავახეთს  
ან მესხეთს რა შეედრება,  
ან კახეთს... ღმერთს ვთხოვ  
სამშობლო  
გადამიქციოს ედემად.

მისი წყალობით გვიმრავლოს  
ღირსეულ ასულ-ძენია,  
მადლი მოგვფინოს, დალოცოს  
ზნეკეთილ ქართველთ გენია.

ბოროტ ეშმასგან დაიცვას  
ნიონწმინდა და ვარძია,  
გრემი, სიონი და ზარზმა,  
ნიკორწმინდა და ტანძია.

ქვათახევე, ოშკი, ხახული,  
ალავერდი და გელათი...  
ვინ მოთვლის კიდევ რამდენი  
მე ამაყი ვარ ყველათი.

უფალს ვთხოვ, გადაგვარჩინოს,  
სინწინდე რაც გვაბადია,  
ჩვენს სალოცავებს, მამულს, ერს  
მოჰმადლოს თვისი მადლია.

#### საქართველოს

არნახული სილამაზე  
შენი მთების, ველების,  
აქ შხუილი ბორჯომულას,  
იქ ღულუნის მტრედების.

მოხატული ველ-მინდორი  
ფერით ნაირ-ნაირით,  
აქ მოხუცთა სჯა-ბაასი,  
იქ ქალ-ვაჟთა შაირი.

აქ ჟივუივი ჩიტების და  
ჟრიაშული ბავშვების,  
ნაზი სტვენა ბულბულის და  
იქ გალობა შაშვების.

შენ ნამდვილი სამოთხე ხარ  
შენ, სადარო ედემის,  
შენს საოცარ სილამაზეს  
თავს უხრიან ქედებიც.

უფლის დიდი მოწყალებით  
და მადლით დანამულო,  
დედაღვთისამ დაგლოცოს და  
გაძლიეროს, მამულო.

სიხარულად შეგეცვალოს  
რაც ინვნი მანამდე,  
ღმერთს ვთხოვ, ნიკოფსიიდან გყოს  
მთლიან დარუბანდამდე.

#### უფალს

ეს შენითა ვარ, რაც ვარ  
შენი წყალობით, მადლით,  
ამ ქვეყანაზე შენა ხარ  
ყველაზე სანდო, კარგი.

შენს მოსაწონად ვიცხოვრო  
მე ხშირად ვფიქრობ ამას,  
ვცდილობ, რომ სათნო გეყო შენ,  
წმინდა ზეციურ მამას.

და ჩემდა უნებლიედ თუ  
არა ვარ შენთვის სათნო,  
გთხოვ, მაინც აღარ დამტოვო,  
დიდო უფალო, მარტო.

#### საქართველოს

თვალს როცა ვავლებ  
შენს წარსულს  
ჩუმად წამსკდება ტირილი,  
სამაჩაბლოს და აფხაზეთს  
ვერ მოვუშუშეთ ტკივილი.

რომ აღარ ძალმიძს მათი ხსნა  
და შველა, გული მიკვდება,  
ფიქრს ემატება დარდი და  
ორივ დღითიდლე იზრდება.

ჩემო სამშობლოვ, მწარე დღე  
შენ ბევრი გამოგივლია,  
არ ნაქცეულხარ არასდროს  
რადგან შენ გყავდა ილია.

რადგან შენ გყავდა ცოტნე და  
დემეტრე თავდადებული,  
სააკაძე და ერეკლე,  
თევდორე... შენთვის ვენბულნი.

რადგან შენ გყავდა გიორგი  
ბრწყინვალე, ვახტანგ, თამარი,  
შენს სიყვარულში ძლიერნი,  
ურყევი, მტკიცე, მაგარნი.

აღმაშენებელს თავს ვუხრი  
დიდი პატივით, კრძალვითა  
მან აღადგინა ქვეყანა  
უფლის მადლით და ძალითა.

შუშანიკსა და ქეთევანს  
წარდგენა აღარ სჭირდება,  
ასეთი თავდადებულნი  
სამშობლოვ, შენ დღეს გჭირდება.

ზეციერ მამის წყალობით  
ფეხზე კვლავ მყარად დადგები,  
რომ არ შეიძლო ადგომა  
შენ ისე არ დავარდები.

კვლავ ამწვანდება ჯეჯილი,  
მტევნებს მოისხამს ვენახიც,  
გამარჯვების ზარს ჩამოკრავს  
ალავერდი და გელათი.

ყოყინას დასცემს ზეციდან  
ჩვენი ზვიადი, მერაბი...  
ღვთის მოწყალებით, სამშობლოვ,  
ვერ დაგაჩოქებს ვერავინ.

გამარჯვების ხმა იქუხებს,  
ყველგან იმერ და ამიერ!  
ღვთისმშობლის წილხვედრ  
ჩემს მამულს  
გებრწყინოს მრავალუამიერ!

#### უფალი, დედა, სამშობლო

პირველად დედას შევხედე  
რომ ამეხილა თვალები,  
უფალს, დედას და სამშობლოს  
სამივეს ვენაცვალები.

ამ სამყაროში ღმერთია  
ყველაზე კარგი და სანდო,  
საწუთროში კი დედაა  
ერთგული, სანდო და სათნო,

უპირველესი უფალი  
არს, ღმერთმა მოგვცა სიცოცხლე,  
სამივე უნდა გვიყვარდეს  
სანამ ამქვეყნად ვიცოცხლებთ.

ჩვენთვის ჯვარცმული უფალი  
ჩვენი სულების მხსნელია,  
გადარჩენას და ხსნას, შველას,  
ყველანი მისგან ელიან.

ნუმც მოგვიშალოს უფალმა  
მისი წყალობა, იმედი,  
თუკი ვარსებობს აქამდე  
ვმადლობ, ეს მისით მოვედი.

ეს მისით გავხდი დედა და  
მან მომავალინა სამყაროს,  
უფალს ვთხოვ, შემადლებინოს  
სიკვილამდე მუდამ ვახარო.

ღმერთი სიცოცხლის წყაროა,  
დედა კი ნატვრისთვალა,  
უფლის, დედის და სამშობლოს  
სიყვარულით ვარ მთვრალა.

დედა შვილის არს იმედი,  
ნუგეში, ფარი, საყრდენი,  
ძალა, ფუძეა, ჭერი,ა,  
ვინ მოთვლის კიდევ რამდენი.

რამდენი რამ არს და ვინ არს  
დედას არა ჰყავს სადარი,  
სიკვილამდე თვისი შვილისთვის  
დედა ფესვია მაგარი.

დედამ მასწავლა ცხოვრების,  
მალაღზნეობის წესია,  
აუწონავი განძია,  
დედა ზნეობის მწყემსია.

სამშობლო ჩემთვის სულ სხვაა,  
ის დედასავით თბილია,  
ზოგჯერ ტრანსპორტით, ხან ფე-  
ხით,  
ხან ფიქრით შემომივლია.

ჩემი სამშობლოს მთა-ბარი  
და მისი ყველა კუნჭული,  
მე მისი მესმის ტკივილიც,  
სიხარულიც და ჩურჩულიც.

აღრეც ვთქვი უპირველესი  
სამყაროს მხოლოდ ღმერთია,  
შემდეგ დედა და სამშობლო  
ორივ საწუთროს ღმერთია.

#### საქართველოს

საოცარია სამყარო  
ნაირ-ნაირი ფერებით,  
ღვთის შექმნილ ამ სილამაზეს  
ვერასდროს ვერ შეველევი.

ეს სილამაზე ჩემსავით  
ალბათ ბევრ სხვასაც ამუწვებს,  
ეჰ, საქართველოვ ძვირფასო,  
შენა ხარ ჩემი საუწვე.

უშენოდ წუთსაც ვერ გავძლებ  
ჩემთვის ხარ ამონათება,  
ღმერთს შევთხოვ მალე მანახოს  
მე შენი გამონათება.

ღვთისმშობლის შემწეობით და  
ზეციურ მამის ძალითა,  
კვლავ გეკაშკაშოს ვით უწინ,  
თავს გიხრი დიდი კრძალვითა.

ღმერთმა მოგმადლოს,  
გიმრავლოს,  
ასულები და ძენია,  
ზნეკეთილ, ღირსეულები,  
სულით მტკიცე და ბრძენია.

მიყვარხარ, ძლიერ მიყვარხარ,  
ხარ ჩემი სულის ნათება,  
ღმერთს შევთხოვ მალე მანახოს  
მე შენი გამონათება.

#### შეგონება?

სამოთხის და სასუფევლის  
ტაძარი არს კარიბჭე,  
თუ გსურს ცხონდე ამ გზის იქით  
წულარ გადააბიჯებ.

ეს გზა ვინოდ იწოდება  
მაგრამ გადამრჩენია,  
ღვთისკენ მივალთ ვერ ერევა  
ჯოჯოხეთის ბჭენია.

რა აზრი აქვს საწუთროში  
ჩვენს ყოფნას და ცხოვრებას,  
თუ ვერ შევძლებთ ჩვენი სულის  
გადარჩენას, ცხოვრებას.

ჰოდა, სანამ საწუთროში,  
დღენი რაც დაგვრჩენია,  
სიყვარულში გავატაროთ  
ვახაროთ გამჩენია.

თუ გესურს გადარჩენა, ყველას  
მიმართ სითბო გავილოთ,  
რომ უფალთან მადლით სავსე  
დიდი ქვევრი წავილოთ.

#### უფალს

შენ, მეუფეო უკვდავო,  
მოხედე ჩემსა ვედრებას,  
გამიმთლიანე სამშობლო  
გადამიქციე ედემად.

ჭეშმარიტო და ნათელო  
წყაროვ ყოფისა ჩვენისა,  
მოგვამდე მადლი, წყალობა,  
მაგ წმინდა სულის შენისა.

ხელი ჩაგვჭიდე, უფალო,  
რომ არ ჩავვარდეთ წუმბეში,  
ღვიძლ მამასავით ჩაგვიკარ  
გულში და გყავი ნუგეში.

გთხოვ, მოგვცე სალი გონება,  
ეშმა განვადლო განზედა,  
რომ ღირსეულად ვიაროთ  
მაგ შენს ჭეშმარიტ გზაზედა.

ჭეშმარიტო და ნათელო,  
წყაროვ, ყოფისა ჩვენისა,  
მოგვამდე მადლი, წყალობა,  
მაგ წმინდა სულის შენისა.

# ჩა მოთხოვნებით მივაჩივ გვეყვართ საბჭოე თბილისის გვეს

## ია აბუაშვილი

„მერიის მრჩეველთა საბჭოს წევრები ქალაქის მერს, დავით ნარმანიას ამ ორი დღის წინ შევხვდით. ეს იყო ბოლო სხდომა ამ წელიწადში და მან მრჩეველთა საბჭოს ჩააბარა ანგარიში 2016 წლის განმავლობაში შესრულებულ სამუშაოთა შესახებ, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ ამ საბჭოს წინადადებების მიხედვით განხორციელდა.“ – განაცხადა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარემ რევაზ მიშველაძემ, რომელსაც „რეზონანსი“ მათი რჩევით მერიის შესრულებულ და შესრულებულ დაპირებებზე ესაუბრა.

**რევაზ მიშველაძე:** როგორც ყოველთვის, ეს სხდომაზე ძალიან კრიტიკული შენიშვნებით გამოირჩეოდა. სხდომას ესწრებოდა საბჭოს ყველა წევრი, რომლებმაც თავისი მოსაზრებები დააფიქსირეს და ახალი წინადადებებითაც მიმართეს ქალაქის მერს. თავის ანგარიშში ნარმანიამ ისაუბრა იმ სამუშაოებზე, რომელიც მერიის მიერ განხორციელდა ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ იმაზე, რომ ქალაქში უკვე დაიგო 2,87 მილიონი კვ. მეტრი გზა. აშენდა 7 ახალი საბავშვო ბაღი და დასრულების პროცესში კიდევ 10 ახალი საბავშვო ბაღი.

აშენდა ორი მიუსაფართა თავშესაფარი. მთლიანად დასრულდა მდინარე ვერეს ხეობის ალდგენა-რეკონსტრუქცია. ძველ თბილისში გამაგრებული სამუშაოები ჩაუტარდა 74 ავარიულ სახლს. თბილისის ზღვის შემოვლითი გზის მშენებლობა დასრულდა და რომ ქალაქში უკვე შემოყვანილია 20 ახალი ავტობუსი, საახალწლოდ კი დამატებით შემოვა კიდევ 25 ახალი ავტობუსი. გაჩერებაზე დამონტაჟდა 700-ზე მეტი ახალი მოსაცდელი. რეაბილიტაცია ჩაუტარდა კუსტბის საბავშვო და ბავშვი-წყნეთის 12 კმ-იან გზებს. მოეწყო 65 ახალი სკვერი და განახლდა 250-მდე. რაც შეეხება ჩვენს კატეგორიულ მოთხოვნას ქალაქში გამწვანების სამუშაოებთან დაკავშირებით, მერმა გვითხრა, რომ რობაქიძის გამზირზე უკვე დაიარა 1200-მდე ზეთისხილის ხე და გამწვანებით სამუშაოები კვლავ გაგრძელდება.

**„შესრულებულ დაპირებებზე რას გვეტყვი? რამდენადაც მახსოვს, საბჭოს შექმნის დღიდან ითხოვთ, ქალაქში მოწესრიგდეს ავტოტრანსპორტის მოძრაობა და აღარ იყოს ეს გაუთავებელი საცობები. პრეტენზიები გქონდათ „სითი-პარკის“ საქმიანობასთან და სხვა უმრავლესობასთან დაკავშირებითაც...“**

მერს არ სჭირდება იმის შესხენება, რომ ქალაქის აქტიურობის ქუსლად კვლავ რჩება ავტოტრანსპორტის მოძრაობა და ტრადიციული საცობები, თუმცა პირადად მე შევთავაზებ, რომ განტვირთვის მიზნით გვირთა მოედანზე გასასვლელი, სადაც ერთი მეორის მიყოლებით დგას ბენზინგასამართი სადგურები, ალბათ იქნეს და გაფართოვდეს გზა.

რაც შეეხება ქალაქში პარკირების პრობლემას, პირადად მე გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ უნდა აშენდეს რაც შეიძლება მეტი მრავალსართულიანი ავტოსადგომი. „სითი-პარკის“ საქმიანობასთან დაკავშირებით ვთქვი, რომ რაკი მერია ვერ ახერხებს მის აკრძალვას, ის მაინც შეძლოს, რომ აეკრძალოს ქუჩიდან მანქანების ევაკუაცია, რაც არაერთ უსიამოვნებას იწვევს. პარკირების თემას შეეხო საბჭოს წევრი **ჯემალ გახაკიძე**. მისი თქმით, საქმე გვაქვს სერიოზულ დარღვევებთან, ფეხით მოსიარულეთა სავალი ნაწილი მთლიანად ჩახერგულია და მავანთ კერძო სადგომები აქვთ გახსნილი.

რაც შეეხება რუსთაველის 850 წლისთავის საიუბილეო მზადებას, რომელიც სრულიად აუხსნელად ჩაიხურდა, ვთქვი, რომ ვერა და ვერ მოხერხდა რუსთაველის გამ-

ზირზე რუსთაველის სახლის გახსნა. შევეხე ასევე თბილისში რეკლამების განთავსების საკითხს, კერძოდ იმას, რომ ქალაქი შეჭამა უცხოურმა რეკლამებმა და თითქმის ვერსად ვერ შეხვდებით რეკლამას ქართული ნარწევებით.

მრჩეველთა საბჭოს წევრმა, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა, **იგორ კვესელაძემ** განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ სხდომებზე არაერთხელ დაისვა საკითხი, მერიასთან დაარსდეს გაზეთი „თბილისი“, რომელიც ჩვენს თანამოქალაქეებს მიანედის საჭირო ინფორმაციას ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების შესახებ, ეს საქმე ადგილიდან არ დაძრულა, ისევე როგორც რესპუბლიკის მოედანზე ველოსიპედის ძეგლის აღების საკითხი. რომ ქალაქში შემოსასვლელი ქუჩები კვლავ მოუწესრიგებელია და ნაგავსაყრელად არის ქცეული.

**მაყვალა გონაშვილი** მწერალთა სახლის პრობლემას შეეხო და თქვა, რომ დღემდე ვერ მოხერხდა მწერლებისათვის სააკაშვილის მიერ ყაჩაღურად წართმეული მწერალთა სახლის დაბრუნება. ასევე ეკონომიკურად შეჭირვებული მწერლებისათვის მიზერული თანხებიც კი არ არის გამოყოფილი, რომ დაეხმარონ წიგნების გამოცემაში. მან გამოთქვა სურვილი, რომ მიხეილ ჯავახიშვილის შვილთაშვილს, რომელიც ამჟამად ავადმყოფობს და ეკონომიურადაც ძალიან უჭირს, იქნება საახალწლოდ სიმბოლური თანხით მაინც დაეხმაროთ.

საბჭოს წევრმა **თამაზ შილაკაძემ** გამოთქვა მზადყოფნა სრულიად უსასყიდლოდ დააპროექტოს დიდუბის პანთეონის გაფართოების პროექტი. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა **ოთარ კვიციანიძემ** კი სხდომაზე ისაუბრა ქალაქის ბიბლიოთეკების სავალალო მდგომარეობაზე. იმაზე, რომ მეცნიერების სამეცნიერო მუშაობა, რადაც საქართველოში ბიბლიოთეკები აღარ არსებობს მისი წინადადებით, ქალაქში თუნდაც ერთი ტექნიკური წიგნის მალაზია მაინც უნდა იყოს გახსნილი.

**ვაჟა აზარაშვილი** თქვა, რომ ქალაქში ნოტების ერთი მალაზიაც კი აღარ არის. ლაღმდეგ გადაუჭრელია კომპოზიტორებისათვის კომპოზიტორთა სახლის დაბრუნების საკითხიც; რომ ქალაქში რეზო ლალიძის ერთი ბიუსტიც არ დგას; ომარ მხეიძე შეეხო ქორეოგრაფთა კავშირის პრობლემებს და ხაზი გაუსვა იმასაც, რომ კავშირი სრულიად უსახსროდ არის დარჩენილი; არქიტექტორმა **გიგა ბათიაშვილმა** სთხოვა ქალაქის მერს, დააჩქაროს თბილისის გეგმის დამტკიცება; **გივი თოიძემ** შემოთავაზა გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქში სრულიად გაქრა ორი უძლიერესი სამხატვრო სასწავლებელი – თოიძისა და ნიკო ნიკოლაძის, სადაც თაობები აღიზარდნენ. პროფესორი სოსო სიგუა ქუჩებისათვის სახელების თვითნებურად გადარქმევის საკითხს შეეხო და თქვა, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩას დღეს ისევ პეკინის ქუჩა ჰქვია, ზვიად გამსახურდიას ქუჩა კი საერთოდ არ გვაქვს, როცა უცხოელი პოლიტიკოსების სახელის უკვდავსაყოფად რამდენიმე ქუჩა არსებობს ქალაქში.

**ვახტანგ დავითაია** აღნიშნა, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლის ქალაქში დაბრუნების საკითხი როგორც იქნა გადაწყდა. ახლა მთავარია დიდუბის პანთეონი გაეფართოვოთ ლობის ალბის ან სკოლის გადატანის ხარჯზე.

სხდომის დასასრულს კი საბჭოს წევრებმა მიგმოთეთ ქალაქის მერს თხოვნით, გამოიძებნოს თანხები ცნობილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის საფლავის კეთილმოსაწყობად და ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მერაბ ბერძენიშვილის სახელი ეწოდოს.

ამსთან ერთად მრჩეველთა საბჭომ დაადგინა აიკრძალოს ნაძვის და ფიჭვის ტოტების გაყიდვა საახალწლოდ.

„რეზონანსი“, 16.12.2016 წ.

# სასაინფო გეოგრაფიის კვლევა

## ზინაიდა უბილაური

დღევანდელ საქართველოში კვლავ არსებობს ძაღლები, რომლებსაც შეუძლიათ პოლიტიკური დესტაბილიზაციის პროვოცირება. ეს მტკივნეული რეალობა დღითიდღე ძაღლებს იკრებს. თუმცა 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებით ქართველმა ერმა ნაცმოძრაობა საბოლოოდ დაამარცხა, ეს დანაშაუვ პარტია მაინც არ ისვენებს და რევეანშე ფიქრობს.

ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური დაძაბულობა იმის შედეგია, რომ ხელისუფლება საბოლოოდ უარს არ ამბობს კოპაბიტაციისაზე. სააკაშვილის დანაშაულთა ნეცება ჯერ კიდევ დაძლეული არ არის.

გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ ოცნების ხელისუფლება მწერლებს არ უბრუნებს კუთვნილ სასახლეს (მაჩაბლის 13).

ასევე ჯერ კიდევ, სერიოზული ხარვეზებია საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ისევ მოუგვარებელი რჩება, ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი – ამ ყველაფრის ფონზე, ჩვენ ილუზია გვაქვს გრანდიოზული სახელმწიფოებრივი პროგრესის! თავს ნუ მოვიტყუებთ, დასავლეთმა და ამერიკამ იცის, რაც ხდება საქართველოში.

დავინყოთ იქიდან, რომ საქართველოში პოლიტიკური კულტურის არარსებობა, რბილად რომ ვთქვათ, ბევრ გაუგებრობას იწვევს. ნაცებმა ერს დააკარგინეს თავმოყვარეობა. იქამდე დაუყვანეს აზროვნება, რომ უნდა შეეგუონ თურმე, გაჭირვებულ ქვეყანაში ცხოვრებას. მათი აზრით ეს ნორმალური პროცესია და საგანგაშო არაფერია... სამწუხაროდ, ვერც განვლილმა ოთხმა წელმა მიაღწია სამართლებრივ ეპოქას. რა თქმა უნდა, ნაცების ბატონობის დროს ხდებოდა ამ ერის ტვინის გამორეცხვის პროცესი, რაც კარგად აისახებოდა ზოგიერთ მედია საშუალებებში. ერის მენტალიტეტის წარმართვა ხდებოდა იმ მიმართულებით, რომელიც ჩვენს წმინდა ეროვნულ ფასეულობებს პატივს არ სცემდნენ. ამით ყველაფერი ნათქვამია, თუ როდენ დიდ და საშიშ განსაცდელში იყო ქართული სახელმწიფოებრიობის მომავალი.

ქვეყნის მართვის კურსი მიდიოდა გაურკვეველი მიმართულებით, პოლიტიკურ პროგნოზს არ ექვემდებარებოდა მომავალი.

როგორ გვგონია, მსოფლიოში რომ რაიმე სახის პოლიტიკური ქარიშხალი ამოვარდეს, ჩვენ თამაშვარე სიტუაციაში დავრჩებით?! თუ ლუზას ჩაუფლებთ და გამოვინებებს დაველოდებით?! – საერთოდ კი, ვინმე არ ჩევიანის საშუალებას მოგვცემს?... კვლავ ნატოსის საგანია ქვეყნის წინამძღოლი იყოს ბრძენი მმართველი, ეს სამწუხაროდ ბიძინა ივანიშვილის გადადგომის შემდეგ დღემდე მიუღწეველია, კვირიკაშვილს არაუშავს, მაგრამ რაციონალურად გააზრებულ პოლიტიკურ სვლებს ვერ აკეთებს.

ღირსეულ ხელისუფალთა ქვეყანაში გაჭირვებული და დანაგავალი მოქალაქენი არ უნდა ჰყავდეთ. ეს მათი სირცხვილია და კიდევ, პოლიტიკაში განძის მაძიებელთა ურდოები არ უნდა მოდიოდნენ, ეს კიდევ ცალკე თემაა.

რა დღეშია გაუბედურებული მოსახლეობა, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებთან ახლოს ცხოვრობენ? ისინი ყოველდღიურად ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ იმყოფებიან. ამ რეგიონში ვითარება თითქმის კონტროლს არ ექვემდებარება. ფორმალურად ვითომ ქართული მხარის მიერ არის კონტროლირებადი, ჩვენი იურისდიქციის განხორციელება ფაქტიურად ჩირს. წინა ხელისუფლებისდროინდელი ვითარება კვლავ უცვლელი რჩება. უფრო მეტიც, მიმდინარეობს დესტაბილიზაციის ლოკალური პროგრესი. იტაცებენ ადამიანებს და ცხინვალის იზოლაციაში მიჰყავთ.

მე არ მესმის იმ საქართველოს, სადაც კი, სადაც დღესაც კი, ქართველს თავისი მინა-წყლიდან იტაცებენ და აწიოკებენ! და-

ჩაგრული, გაჭირვებული გლეხი კაცი, თავისი საარსებო ყანას შიშით გათოხნის ან საერთოდ ამასაც ვერ შეძლებს... რატომ არ მიმართავს ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო მსოფლიოს? გაუმადლარი პოლიტიკის მსხვერპლი, როგორც ყოველთვის უბრალო ადამიანები ხდებიან. ვინ მიიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე?! რა თქმა უნდა, „ნაცებმა“, რომლებმაც დაუოკებელ ამბიციებს გადააყოლეს ქვეყანა. „ნაცების“ ხელისუფლებისთვის ნაკლებად საინტერესო იყო, თუ რა უნდოდა ქართველ ერს. ერის ინტერესების უგულვებლყოფამ დაქცევის პირას მიიყვანა ქვეყანა. ამის არაერთგზის პრეცედენტი არსებობს... მერე? რატომ არ აგებინა პასუხი „ნაცმოძრაობას“, როგორც პარტიას ახლანდელმა ხელისუფლებამ.

ქვეყნის ბედის უკუღმართობა, ოდითგანვე ქვეყნის შიგნიდან იღებს სათავეს ნათქვამია „ცხიხე შიგნიდან ტყდებო“ – „ნაცების“ არასწორად მართული პოლიტიკის გამო, ქვეყანამ დარტყმა მიიღო იმ სტრატეგიული მნიშვნელობის პოზიციებზე, რომელიც დღემდე ღრმა მოუშუშებელი ჭრილობად რჩება ჩვენი სამშობლოსთვის.

ოკუპაციის მძიმე და სუსხიანმა ხვედრმა გადაიარა ქართველი ერის მხრებზე. დღეს კი, ვიღაცებს უნდათ ისე შეეკრონ, ვითომ არაფერი არ იყო – უბრალოდ კომპარული სიზმარი იყო და მორჩა... არაფერი არ იყო პირებისთვისაც, ვინც დაწერეს და დადგეს ეს მძაფრსიუჟეტთან საშინელებათა სცენარი, რომელიც ხერხემალი მოუდრიკა და ბზარები გაუჩინა საქართველოს. რატომ არ აგებინა პასუხი საერთაშორისო სამართალმა სააკაშვილს ცხინვალში ომის გაჩაღებისთვის?

დიდი სირცხვილია ქვეყანაში ასეთი ვეგეტერიანული პოლიტიკური რეალობა. იმ ქვეყანაში, რომლისთვისაც დიდი მეფეები სიცოცხლეს წირავდნენ და შიშველ გულმკერდს აგებებდნენ სამშობლოსკენ ნასროლ ტყვიას. იმ საქართველოზე საუბარი, სადაც უკიდევანო სიმამაცის შარავანდედით შემკული მხედარმთავარნი ოჯახებიანად ეწირებოდნენ საერთო ინტერესებს. უანგაროდ დგომა სამშობლოს დაცვის სადარაჯოზე გასისხლხორცებული ჰქონდათ.

ჩვენ მსოფლიოს ვერანაირი სიმამაცით და დიდსულოვნებით ვეღარ განვააციფრებთ. პირდაპირ უნდა ვაჩვენოთ გულისმომკველი რეალობა, თუ როგორ უთხრიდა საძირკველს საკუთარ სამშობლოს, ზოგიერთი პოლიტიკოსის ნილაბს ამოფარებული ნაციფიზიზმი.

რა უნდა იქადაგონ ქვეყანაში ასეთმა ადამიანებმა?! – გარდა ქაოსისა, არასტაბილური პოლიტიკური ამინდი კი, მსუყე ლუკმა იმ გარე ძალებისთვის, რომლებიც შესაფერის მომენტს ელიან, რომ დარტყმა განახორციელონ იმ დედალებზე, რომელიც საქართველოსთვის იდეა ბოძივითაა. ისევ გაისმის ოდესელი „პოლიტიკოსის“ მონოდება: – არ შეეგუოთ დამარცხებას, არიეთ ქვეყანა.

საქართველო ის ქვეყანაა ბოლოს და ბოლოს, რომლის გეოპოლიტიკური მდებარეობა არაერთი ქვეყნის ინტერესის ობიექტად ქცეულა და ასევე იქნება ყოველთვის, სანამ მსოფლიოში, შეგემოინის დაუოკებელი სურვილი იარსებებს. საქართველო კი პატარა ჭანჭიკია იმ გლობალური პოლიტიკისა, რომლის ინტერესების განხორციელება მოითხოვს ჩვენი მხრიდან, გარკვეული მისიების შესრულებას. უნდა ვთქვა, რომ ქვეყნის პოლიტიკური პარტიოები ისეთ ნაბიჯებს დგამენ, რომლებიც საქართველოს საშველად კი არა, უფრო მათი სარგებლობისკენაა მიმართული.

ჯანსაღი პოლიტიკური თანამშრომლობა ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც მოიზარებიან დემოკრატიული ფასეულობების განმამტკიცებლად, საქართველოსთვის ძალიან ბევრი პოზიტივის მომტანია, მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო. არ უნდა დაუფუცოთ, რომ გლობალურმა პოლიტიკურმა ინტერესებმა, ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გადაგვარება გამოიწვიოს.

### დავით ჯანაშია

#### დედო ზარი

დროშას დაჰკრავს მენამულის ფერი,  
 მამულს ფერი გადაჰკვრია ბინდის,  
 მცხეთის კარზე გამოსული ერი,  
 საბრძოლველად დიდგორისკენ მიდის.  
 მეც აქ ვდგავარ, ჟრუანტიელი მივლის,  
 ხმლის ნაკვესი ლაჟვარდებში ელავს,  
 ტანს ბექთარი ჩაუცვია თბილისს,  
 ციხის კარი დაუგმანავს თელავს.  
 დროშის კალთებს აფრიალებს ქარი,  
 წინაპრებიც წამომდგარად მკვდრებით,  
 უსათუოდ მოვა ოვსთა ჯარი,  
 ველოდებით ჯარსაც აფხაზეთით.  
 შთაგონებას ქარი ჩამასესხებს,  
 ხატზე თრთოლვით დავასვენებ ხელებს,  
 თვალს მივავლებ იმერლებს და მესხებს,  
 თუშებს, სვანებს, კოლხებს, აჭარელებს.  
 მთიულელებიც დგანან მცხეთის კართან,  
 ადიდებენ ლომისსა და ლაშარს,  
 ღვთისმშობელო, მონყალების კალთა,  
 დააფარე ღვთისდალოცვილ ლაშქარს.  
 დიდგორისკენ საქართველოს მოვლით,  
 დიდგორისკენ, რეკავს დედო ზარი,  
 ღვთისმშობელს პირჯვარს იწერს თრთოლვით,  
 დროშის კალთებს აფრიალებს ქარი.  
 მეც აქ ვდგავარ, „აბა ულას“-ს\* ვმღერო,  
 მამულს ფერი გადაჰკვრია ბინდის,  
 მცხეთის კარზე გამოსული ერი,  
 საბრძოლველად დიდგორისკენ მიდის.  
 „აბა ულა“ კოლხური ლაშქრული

#### მელეპეთა ქორნილი

სისხლს რომ იშრობს ნაომარი ქარქაშია,  
 ვხედავ ქურდი მხნედ უკითხავს  
 წმინდანს მორალს,  
 ნაბრძოლ ველზე მელეპეთა ყარყაშია,  
 სვავთა ჯოგი ლაშქარს მისდევს  
 ნადიდგორალს.  
 ის სიზმარი ისევ მაკრთობს ნაზმანები,  
 ქარი მიბანს ნაიარევს სიტყვას მართალს,  
 ჯგროდ მისდევენ უშუბლძარღვო  
 ფარსმანები,  
 ნაიარევე, ძლევათსილ მთავარსარდალს.  
 სირცხვილისგან ნითლდებიან ახოები,  
 ტურებს ნერწყვს გვრით ნასუფლარი  
 ნაზუქები,  
 გიგოლები, წინოლები, ჯაყოები,  
 რაინდობენ ნახრავ ძვლებზე ნასუქები.  
 ტკივილები სანთლებისთვის გამინდვია,  
 სულს მიშფოთებს განცდილი და დანახული,  
 ღმერთო, ისევ უჟამური ამინდია,  
 უსაშველოდ იგვიანებს გაზაფხული.

#### დედა მღუმარი

ნუ შემობრალვით დღეებო გვედრით,  
 ჩამიდუღაბეთ ტკივილი ხმაში,  
 მიცურავს კუბო ძვირფასი ცხედრით,  
 მიცურავს კუბო ცრემლების ზღვაში.  
 მიკოცნის ტკივილს ფერმკრთალი მთვარე,  
 მიმძაფრებს განცდას ხეების ტაში,  
 კუბოში მიწვეს დედა მღუმარე,  
 მიცურავს კუბო ვარდების ზღვაში.  
 ელვა ჩემს ტკივილს სურათებს უღებს,  
 დაისმა წვიმით გაილო ხარჯი,  
 დედას ტკივილი არ შეანუხებს,  
 დამშვიდებია სახე ნატანჯი.  
 მე და დუმილი კაეშნით ვთვრებით,  
 უხმო ლოცვებით დაისს ვაოცებ,  
 და მიმაქვს კუბო ძვირფასი ცხედრით,  
 დინჯად მივდივარ სასაფლაოზე.

### ბამოთხოვა

ეკიდება ზეცას ბრაზი,  
 სინანული დამენანა,  
 დასველდება ცრემლით ვაზი,  
 დასველდება წვიმით ყანა.  
 ქარის კენესას ნაღველს ვახლი,  
 ვდუმვარ სამარესთან მდგარი,  
 სანყალობლად ყმუის ძაღლი,  
 მტკივა მოტეხილი მხარი.  
 ტკივილებით დაისს დაველი,  
 ცრემლმა ჩემი სევდა ნამა,  
 სანყალობლად ყმუის ძაღლი,  
 კუბოში წევს მშვიდად მამა.  
 ღრუბლის ჩადრში მთვარე კრთება,  
 მთვარე მდუმარე და ფრთხილი,  
 თვით სიკვდილი კი არ კვდება,  
 დღეგრძელია დალოცვილი.  
 საყვედურით წარსულს ვუვლი,  
 სამძიმრებსაც დავემალე,  
 რა საოცრად მტკივა გული,  
 რა მშვიდია მესაფლავე.

### გათელილი მიხაკი

საქართველოში დარდი იციან,  
 სევდა საკუთარ ცრემლში ჩავმალე,  
 ისევ ამტკივდი მწარედ ტიციან,  
 სტრიქონი მოვსვი, როგორც წამალი.  
 შენზე ფიქრები ტკივილს მიხარკებს,  
 განცდით ჩემივე თავი ვამხილე,  
 მე თანაუგრძნობ ნითელ მიხაკებს,  
 რომ არ ეღიროსათ შენი საღილე.  
 ეს ლექსიც შენი ლექსის სტილია,  
 წუნობდი სტრიქონს უშნოს და მოკლეს,  
 მამულის მტრებმა მოკლეს ილია,  
 ჯავახიშვილიც წამებით მოკლეს.  
 წევს პატრონტაჟზე ეპოქა ავი,  
 სისხლი აცხია ტკივილსაც, დროსაც,  
 მოაკვლევინეს პაოლოს თავი,  
 მოაკვლევინეს გალაქტიონსაც.  
 ვინატრე შენი სიზმრების ნახვა,  
 არ ამისრულდა ოცნება მაინც,  
 საუბედუროდ სხვა ბედი დაგყვა,  
 ორპირის ფშანის დარდიმანდ რაინდს.  
 ტკივილი გრიგალს სისინით მიაქვს,  
 ტკივილსაც უნდა განცდა და ცოდნა,  
 ჯალათის ნაცვლად რცხვენია ტყვიას,  
 ალალი გული რომ დაგიკორტნა.  
 შენს ლამაზ ბაღში დამჭკნარა პალმა,  
 ჩაბუდებულა მიხაკზე იჭვი,  
 იქ, ესენინი თუ მოგესალმა,  
 შენი ყოჩალი, ამრევი ბიჭი.  
 შენს ტანჯულ სიზმრებს სიზმრებში  
 დავსდევ,

სიზმარში მაინც მომხვიე ხელი,  
 შენ სადიდგორე და სამარაბდევე,  
 ჩოფურაშვილთან არღანით გელი.  
 გაუტეხელთა მოგდგამდა გენი,  
 ლალიძის წყლებში გიყვარდა გოგო,  
 სად ვპოვო ახლა საფლავი შენი,  
 შენს წამებულ სულს სად დავეჩოქო.  
 ხარ შთაგონება ნაზი, კეთილი,  
 ნაღდი და წმინდა, არა პიარი,  
 ქართული ლექსი ხარ დაფლეთილი,  
 შენ პოეზიის ხარ ნატყვიარი.  
 შენზე ოცნება ლოცვებს მივანდე,  
 შემოვუქნიე ბელზებელს სახრე,  
 შენ პოეზიის ხარ სიღაღდე,  
 შენ, საქართველოს ხარ სიამაყე.  
 როცა ჯალათი მოგდგა ახმახი,  
 სიმწრით გითრთოდა ალბათ ტუჩები,  
 „..შემართულია ფეხზე ჩახმახი,  
 და უსიკვდილოდ ვერ გადავურჩები“.  
 შენდობა შენს სულს, იყუჩე, კარგი,  
 აქ დავამთავროთ მძიმე წერილი,  
 შენ ხარ ღმირი, შენ ხარ მიხაკი,  
 ჯალათის ფეხით გადათელილი.

### ოთარ რურუა

#### თამარისა და ქეთევანისთვის

თამარისათვის ვიცეკვებ დავლურს,  
 ქეთევანისთვის ვიმღერებ ლალეს,  
 და თვით ზვარაკად შევსწირავ  
 ამ გულს  
 სიყვარულისთვის ანთებულ თვალებს.

თამარისათვის ვიცეკვებ ქართულს,  
 ქეთევანისთვის დავუკრავ ლალეს,  
 და ვანაცვალებ უთქმელად ამ გულს  
 საქართველოსთვის ანთებულ  
 თვალებს.

დამილოცნია ჯიხვის რქით  
 მტკვარზე...  
 შენ როცა თავი ქმრის მკერდზე  
 გიდევს,  
 ხარ მშვიდად... არ გაქვს  
 არაფრის შიში,  
 დამილოცნია ჯიხვის რქით კიდევ  
 შენი ამაყი ქართული ჯიში.

შენ მშვიდად წევხარ მეუღლის  
 მკლავზე,  
 სიყვარულისთვის ქართველად იშვი,  
 დამილოცნია ჯიხვის რქით მტკვარზე  
 შენი საოცრად ლამაზი ჯიში.

#### სამშობლო

დაჭრილი არის შიგ გულში,  
 არ დააყაროთ მარილი!  
 ზოგისთვის სიტყვა "სამშობლო"  
 გაუფასურდა ლარივით!

რეკენ განგაშის ზარები,  
 ჯერ კიდევ არ სჩანს გზა ხსნისა!  
 იმას დაუდგეს თვალები,  
 მინები ვინც გაასხვისა!

#### აკვანი

დეკემბრის მზემ სულში შემოაღწია,  
 ლექსებს ვწერ და მოყვრებს  
 ვეალერსები.

დედამ ჩემი აკვანი თუ არნია,  
 ისე ვწამდი - ვერ გადმოვცემ  
 ლექსებით.

დეკემბრის მზემ სულში შემოაღწია,  
 თქვენ კი გულში სიხარულად  
 მეცხებით.

ქართველის დედამ აკვანი თუ არნია,  
 ვწამდით... ღმერთმა დაულოცა  
 ფეხები.

#### დედის იაჰნანა

იაჰნანა, იაჰნანა,  
 იაჰნანა, შვილო,  
 დაიძინე, ანგელოზო,  
 ჩემო თვალისჩინო.

დედის ძუძუს ეფერები  
 შენ - თაფლივით ტკბილო,  
 იაჰნანა, გულის ვარდო,  
 ტკბილი ძილი შვილო.

#### მამის იაჰნანა

იაჰნანა, ჩემო შვილო,  
 გულს სწამხარ და გენდობა,  
 დაიძინე, დედისა და  
 მამის ერთადერთობავე.

თუ რამ წყენა მეც მიმიძღვის -  
 მეც გულით გთხოვ შენდობას,  
 იაჰნანა, ტკბილი ძილი  
 ძვირფას ერთადერთობას.

#### დედა

ისევ დაგიკრეფ ლურჯთვალა იებს,  
 თუმც ალარ მყავხარ გვერდით  
 კეთილ შვილს,

ისევ დაგიკრეფ ლურჯთვალა იებს  
 და ხელს ამაში დროც ვერ შემომიღის.

როს გვერდით მყავდი - გულშიც  
 თბილოდა,  
 დიდხანს მყოლოდი ამქვეყნად ნეტავ,  
 რომ უფრო ხშირად გეთქვა  
 "შვილო" და...  
 რომ უფრო ხშირად მეც მეთქვა  
 "დედა".

### ჩვენს გახარებას შევსთხოვ ღვთისმშობელს

შენ ალბათ ცხოვრობ სხვა პლანეტაზე  
 და არაფრის გაქვს დარდი...  
 სურვილი,  
 მე კი უფალთან ნასულ დედაზე  
 ლექსებს ვწერ... მაღრჩობს ერის  
 წყურვილი.

ისევ მანუხებს ბედი ქართველთა,  
 მოყვასის ცრემლი - ცრემლია ჩემი,  
 დაჭრილი გული თუ არ გამრთელდა,  
 სხვისი გახდება იყალთო... გრემი.

დაირეკება ზარი განგაშის  
 მიწაც თუ აღარ დაიკოცნება,  
 ან დაჟანგდება ხმალი ქარქაშში,  
 ან აღსრულდება მიწის ოცნება.

შენ ალბათ ცხოვრობ სხვა  
 პლანეტაზე,  
 მაინც მიყვარხარ  
 ცრემლმუშრობელს,  
 კვლავ მტკიცედ ვდგავარ მე ჩემს  
 რწმენაზე,  
 ჩვენს გახარებას შევსთხოვ  
 ღვთისმშობელს.

შენ მიუყვები გზას ჭუბერისკენ  
 შენ მიუყვები გზას ჭუბერისკენ,  
 არავინ იცის რა გელოდება,  
 ვდგავარ გმირების დიდ ობელისკთან,  
 გული იქამდე დაგელოდება,

ვიდრე არ მოვა აღსასრულის დღე,  
 ვიდრე სურნელიც მათრობს იების,  
 მაგრამ რომ წავალ დასასრულისკენ,  
 ატირდებიან მაგნოლიებიც.

შენ აფხაზეთში ისე მიდიხარ,  
 უკანასკნელად გხედავდე თითქოს,  
 რომც არ დაბრუნდე, გნახავ  
 სიზმარში,  
 კვლავ გინილადებ ჩემს  
 კუთვნილ სითბოს.

ღმერთმა დაგლოცოს ქალთამზევე  
 შვი, დალალებდნანულო -  
 შე თვალჭუჭუნა ქართველო,  
 სიყვარულისთვის შობილხარ,  
 შენია ეს საქართველო.  
 მეც სიყვარულის სავალ - გზებს  
 დღემდე ფეხდაფეხ მოვყვები,  
 ღმერთმა დაგლოცოს ქალთამზევე,  
 დიდხანს გიმყოფოს მოყვრები.  
 გულკეთილობას ვერასდროს  
 ჩვენში ვერავინ ვერ მოშლის,  
 მინდა ბედნიერს გხედავდე  
 ჩვენს ლამაზ საქართველოში.

ქართველებო! ჩემო ერო!  
 ქართველებო! ნუ დაგტოვებთ  
 საქართველოს,  
 სხვა ქვეყანას ნუ გავიხდით  
 საფიცრად,  
 იარები ერთად უნდა გავამრთელოთ,  
 ჩვენი რჯულიც ერთად უნდა  
 დავიცვათ.  
 ზურგს ნუ ვაქცევთ, მოვუაროთ  
 საქართველოს,  
 ორ ზღვას შუა მისთვის ლელო  
 გაჰქონდათ,  
 ჩემო ერო! ღმერთმა ისე  
 გაჯანმრთელოს  
 როგორც ერთდროს - დიდგორთან  
 და შამქორთან.





მოსე ბარაკი

ს.ჭ.

ექვსასი წლის წინ ესპანეთში, ქალაქ სარაგოსაში, ცხოვრობდა თორას დიდი მცოდნე რაბი ელეაზარი ბენ მოსე. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მან ქალაქის ებრაელობის საყოველთაო პატივი და ნდობა მოიპოვა მისი განსწავლულობისა და სამართლიანობის გრძნობისთვის. და როცა ელეაზარ ბენ მოსე რაბინი გახდა, ის მთავარ რაბინად და ებრაული თემის ხელმძღვანელად აირჩიეს.

გადიოდა დრო, და სულ უფრო მეტი კრძალვით და რიდით მიმართავდა მას ხალხი. დიდად აფასებდა რაბი ელეაზარის სიბრძნეს ქალაქის თავი, და სანამ ის ქალაქს მართავდა, ყვაოდა სარაგოსას ებრაელობა.

რაბი ელეაზარმა სამოცი წლის ასაკს მიაღწია, როდესაც ქალაქის თავი გარდაიცვალა. მალე ნათელი გახდა, რომ ახალი ქალაქის თავი ებრაელების მიმართ სულ სხვაგვარად იყო განწყობილი. ზოგიერთი იმასაც კი ამტკიცებდა, ის მართო საბაბს ეძებს, ებრაელების ქალაქიდან განდევნისთვის. მაგრამ გადიოდა დრო, თემის წინააღმდეგ ამა თუ იმ მცირე შეზღუდვების გარდა არაფერი ცუდი არ ხდებოდა, და სარაგოსას ებრაელობა თანდათან დამშვიდდა.

დეკემბრის ერთ დღეს, როცა რაბი ელეაზარი სალამოს წირვის შემდეგ სახლში დაბრუნდა და თავის სამუშაო ოთახში შევიდა, სახლის კარზე ბრაზუნის გასმა. რაბი ელეაზარი მიბრუნდა კართან. გაალო. მის წინაშე ქალაქის ახალი ალგვასილი<sup>1</sup> იდგა. უსიტყვოდ შეუშვა რაბი ელეაზარმა ალგვასილი სახლში.

- შენ ხარ ელეაზარ ბენ მოსე, ებრაელთა თემის მეთაური?  
- გახლავარ.

- ჩვენ ვეძებთ ერთ ებრაელს უტებოდან<sup>2</sup>, რომელიც ინკვიზიციის მოწვევას არ დაემორჩილა, ქალაქიდან გაიპარა და სარაგოსასკენ გაემართა. ეხლა მოისმინე ქალაქის თავის ბრძანება: სარაგოსელი ებრაელი, რომელსაც ძებნილი თავშესაფარს სთხოვს, ვალდებულია ის შენ მოგვყაროს. შენ კი ის დაუყოვნებლივ ჩემ სალდათებს უნდა ჩააბარო. თუ

ამ ბრძანებას არ დაემორჩილებით, მთელი შენი თემი ქალაქიდან განდევნილი იქნება.

- რა დააშავა ამ კაცმა?  
- ეს როდიდან გაკადნიერდა სარაგოსელი ებრაელობა ისე, რომ წმინდა ინკვიზიციის საქმეებში ჩარევას ბედავს? რაც ამ კაცმა გააკეთა, არც შენ გეხება და არც შენ თემს. რაც თქვენ გეხებათ, არის ქალაქის თავის ბრძანება, რომელიც მე გადმოგეცე.

ალგვასილი წავიდა. რაბი ელეაზარმა თავის მოსამსახურეს დაავალა, ქალაქის თავის ბრძანება ყველა სარაგოსელი ებრაელისათვის შეეტყობინებინა. მერე შევიდა თავის ოთახში, მაგიდას მიუჯდა და მიშნას წიგნი<sup>3</sup> გადაშალა.

პირველად მის ცხოვრებაში თემის გადარჩენა, ასეული ადამიანის ყოფნა-არყოფნა მის ხელში იყო. და ასევე პირველად ის იძულებული იყო განაჩენი გამოეტანა ადამიანის სიცოცხლეზე, რომლის შესახებ არაფერი იცოდა.

მთელ სახლში დუმილი სუფევდა, მარტო სანთლის ჩუმი ტკაცანი ისმოდა. ჩურჩულით კითხულობდა რაბი ელეაზარი კანონის განაწესებს. უცბად იგრძნო, რომ ვიღაცა ოთახის კართან დგას. შეკრთა. კარის ლიობში მისი ცოლი იდგა. თითქმის მთელი წუთი სრულ სიჩუმეში გავიდა.

- რატომ მოხვედით? რატომ მიყურებ ასე? შენი მზერა გულს მიხეთქავს!  
- აა! - წამოიძახა ქალმა გამწყრალი ხმით. - ჩემი მზერა გულს გიხეთქავს, არა? და შენი ბავშვების ბედი, შენი თემის ბედი გულს არ გიხეთქავს? რას ზიხარ აქ, რა რჩევას, რომელ პასუხს ეძებს? განა არა დგას სასწორის ერთ მხარეს ასობით ჩვენი ადამიანის ბედი, და მეორე მხარეს - ვიღაც უცნობი, რომლის შესახებ შენ არაფერი იცი! ჩემი მზერა გულს გიხეთქავს - და ის სურათი, როცა პატარა ბავშვები, ქალები, მოხუცები, ყინვისაგან გაფრთხილებულნი, ღრმა თოვლში მილასლასებენ - ეს სურათი გულს არ გიხეთქავს?

ქალის ხმა გაქრა და მის ადგილას უცნობი კაცი გაჩნდა, ფერმკრთალი სახით, ჩამოფლეთილ ტანისამოსში. კაცი მთელი ტანით კანკალებდა, რაბი ელეაზარს უცნაურად შეჰყურებდა და რაღაცას ჩურჩულებდა.

- ვინ ხარ? რა გინდა ჩემგან?  
კაცი იდგა და რაბი ელეაზარს ისე უცნაურად უცქერდა; მისი ჩურჩული თანდათან ქრებოდა. მერე კაცის სხეულიც გაქრა და ჩუმი, თითქმის გაუბედავი კაკუნი მოისმა.

რაბი ელეაზარმა მეყსეულად გაიღვიძა და თვალები გაახილა. მიხვდა, რომ მისი ცოლის სიტყვები, უცნობი კაცი, მისი ჩურჩული - რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო...

# პასუხი

ჩუმი კაკუნი განმეორდა. რაბი ელეაზარი ადგა, სახლის კართან მივიდა, გაალო... კართან იდგა კაცი, რომელიც მან რამდენიმე წუთის წინ სიზმარში ნახა. იგივე სახე. იგივე შეშინებული მზერა.

- შემოდი. - რაბი ელეაზარის ხმა მშვიდი იყო, თუმცა მას გული უფრიალებდა. - მომყევი... მშინი ხარ? - უცხომ თავი დაუქნია, თან ერთთავად კანკალებდა. - ვახშამს მოგიტან.

როცა რაბი ელეაზარმა ვახშამი მოიტანა, დაინახა, რომ უცხო ხელებდაკრეფილი, თავჩალუნული, დახუჭული თვალებით იჯდა; სიჩუმეში მისი მძიმე სუნთქვა ისმოდა. უცებ მან წამოიკვილა, თავი აწია და რაბი ელეაზარს ისე მიაცქერდა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა. ბოლოს ათროლებული ხმით წარმოთქვა: „უდანაშაულო ვარ! ჩემმა მტრებმა ინკვიზიციის წინაშე გამამავეს, და...“

- დანყნარდი. მიირთვი ვახშამი.  
- რატომ არა გჯერა, რომ უდანაშაულო ვარ?  
- მჯერა. ჭამე. დაისვენე. მერე ვილაპარაკოთ.  
- არ შემიძლია! არ შემიძლია ჭამა.  
- მაშინ ადექი. მომყევი.  
- სად მიგყევარ? სახლიდან მაგდებ? ჩემი გაცემა გინდა?  
- დანყნარდი. მომყევი.

რაბი ელეაზარი თავისი საწოლი ოთახისკენ გაემართა; ლტოლვილი ნელი, მერყევი ნაბიჯით გაჰყვა, თან გაფაციცებით აქეთ-იქით იცქირებოდა. „დანექი. დაისვენე“. ადამიანი უსიტყვოდ დანვა, კედლისკენ მიბრუნდა, ღრმად ამოისუნთქა და თითქოს იმნამსვე ჩაეძინა.

რაბი ელეაზარი ჩუმად გავიდა, თავის ოთახში დაბრუნდა, მიუჯდა მაგიდას და კანონის განაწესების კითხვა სცადა. ყურში გამოძახილივით ესმოდა ცოლის ხმა მისი სიზმრიდან და კაცის აკანკალებული: „უდანაშაულო ვარ!“

უეცრად მის შინაგან მზერას წარმოესახა აღმოდებული ასობით წარწერა: „როცა უცხოს გამო მთელ თემს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება, ამ კაცის გაცემა შესაძლებელია“. ასეთი იყო განაწესის სიტყვა: მოკლე, მკაცრი, უგანმარტებო. არა კანონი, არამედ რჩევა, არა „იძულებული ხარ“, არამედ „შეგიძლია“.

გათენებამდე იჯდა რაბი ელეაზარი მაგიდასთან და გამოსავალს ეძებდა. ბოლოს ადგა, მძინარე უცხოსთან მივიდა და მხარზე ხელი დაადო. ადამიანს ერთბაშად გაეღვიძა. ლოგინის

კიდზე ჩამოჯდა, თავი ჩალუნა, ხელები სახეზე აიფარა და რამდენიმე წუთი ასე იჯდა. მერე კი თავი აწია.

- ვიცი, რასაც აპირებ, რაც გადანყვიცი. გვედრები, ნუ ჩამაგდებ ჯალათების ხელში! საღამომდე შემოფარე; ღამით წავალ.  
- რატომ მოხვედით აქ, უბედურო ადამიანო, რა თავშესაფარს ეძებდი ჩვენთან? არ იცი, რა დემართება მთელ თემს, თუ რომელიმე ჩვენგანი ინკვიზიციას დაუპირისპირდება?

- ერთი დღე მაჩუქე. ერთი დღე!  
- განა მე გულზე ცეცხლი არ მეკიდება? არა მაქვს სხვა გამოსავალი. თუ შენ თავს სალდათებს ეხლა არ ჩავაბარებ, ყველა სარაგოსელი ებრაელი ქალაქიდან განდევნილი იქნება. პატარა ბავშვები. ქალები. მოხუცები. ასეული ადამიანის სიცოცხლე ამაზეა დამოკიდებული.

- ეს არის შენი სამართალი?  
- ადექი. არა მაქვს სხვა გამოსავალი.

უცხო ადგა, რაბი ელეაზარს თვალებში გამგმირავად შეხედა. მერე მწარედ ჩაიციხა, შებრუნდა და სახლის კარისკენ წავიდა. რაბი ელეაზარი მიჰყვა.

უცხომ გაალო კარი. კართან ორი სალდათი იდგა. მას ხელები გაუკრეს და ნაიყვანეს. გზიდან მან რაბი ელეაზარისკენ თავი მიაბრუნა და წამოიყვირა: „გაგინყრეს ღმერთი, შენ ბოროტო სულიო!“

ელვის სისწრაფით გავრცელდა ჰუდერიაში<sup>4</sup> ამბავი, რომ რაბი ელეაზარმა თემი გადაარჩინა, და როცა ის სალამოს წირვისთვის სინაგოგაში შევიდა, ყველა „ჩვენ ელეაზარმა თემი გადაარჩინა, და როცა ის სალამოს წირვისთვის სინაგოგაში შევიდა, ყველა „ჩვენ მსხნელს“ უწოდებდა, აქებდა მის სამართლიანობას. მჭმუნვარე სახით ისმენდა რაბი ელეაზარი ამ ხოტბას; ყოველი სიტყვა მის გულს ლახვარით ესობოდა. წირვა დასრულდა. ხალხი უკვე სახლში წასასვლელად ემზადებოდა, ერთმანეთს ემშვიდობებოდა, როცა რაბი ელეაზარი ადგა და თებასთან მივიდა<sup>5</sup>. მისვე შეწყდა ლაპარაკი. სინაგოგაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

„უფალო“ - სიჩუმეში რაბი ელეაზარის ხმა მეხის გრიალივით ისმოდა, - „ნუ შერისხავ თემსა ჩვენსა, მონისა შენისა ელეაზარისა დიდი ცოდვის გამო. და ნუ დასჯი ადამიანებს ჩვენსას, გადარჩენის სიხარულით შეპყრობილთ, რომ დაივინყეს ადამიანი, მათი გადარჩენისთვის მსხვერპლად შეწირული.“

ნუ გულისწყრომითა შენითა, უფალო, გვაძლიე ჩვენ, ნუცა

რისხვითა შენითა გვსწავლი ჩვენ, არამედ გვინყალე ჩვენ დიდითა წყალობითა შენითა, რამეთუ უძლურ ვართ“.

დამუწვებელი იდგა ხალხი, ვერავინ ბედავდა ხმის ამოღებას. რამდენიმე წუთი ასე იდგნენ, მერე ჩუმად დატოვეს სინაგოგა.

ამ დღიდან რაბი ელეაზარმა იგრძნო, რომ რაღაც გატყდა მის სულში. თუმცა ის თემს ისევ მართავდა, ისევ მიდიოდა მასთან ხალხი რჩევისთვის. მაგრამ რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ხშირად ჩასემოდა მას უცნობის სიტყვები: „გაგინყრეს ღმერთი, შენ ბოროტო სულიო!“ ასეთ წუთებში მას დიდი ეჭვი ეუფლებოდა ყველაფერში, რასაც აკეთებდა. უცნობის ხმა, მისი ფერმკრთალი სახე ძილშიც ელანდებოდა.

ერთ დღეს ამბავი მოვიდა, რომ სალდათებს გადაცემული უცხო ლტოლვილი ინკვიზიციის ტრიბუნალის განაჩენით კოცონზე დაწვეს. როცა რაბი ელეაზარმა ეს გაიგო, იგრძნო, რომ მას სულიერი ძალა გამოეცალა.

მეორე დღესვე მან თემის უხუცესები თავის სახლში მოიხმო და გამოუცხადა, რომ ერთი თვით ბურგოსში, რაბი მოსე ბენ აბრაჰამთან უნდა წასულიყო და მისი არყოფნის დროს კი თემის მართვა მათ დაევალებოდათ. იმავე ღამეს რაბი ელეაზარი თავის ოჯახს გამოეთხოვა და გზას გაუდგა.

გავიდა იანვარი, თებერვალი - რაბი ელეაზარი არ დაბრუნებულა. მარტის ბოლოში მოვიდა ამბავი, რომ ის ბურგოსშიც არ ყოფილა ჩასული. შიშმა მოიცვა სარაგოსელი ებრაელები; მათ გაიხსენეს რაბი ელეაზარის სიტყვა სინაგოგაში თემის გადარჩენის დღეს.

გადიოდა დრო, და სარაგოსელ ებრაელებს შორის თანდათან გავრცელდა რწმენა, რომ რაბი ელეაზარი მისი ღვთისმოსაობისთვისა და სამართლიანობისთვის უმნიშვნელოთა სასუფეველში მოხვდა. ზოგიერთმა თითქოს თავისი თვალთაც იხილა თუ როგორ გაილო ცის კარი და უზარმაზარმა ჩახჩახა ხელმა რაბი ელეაზარი ცაში აიყვანა.

ყოველ წელს, ესპანეთიდან ებრაელების განდევნამდე, სარაგოსელ ებრაელთა თემი განსაკუთრებული წირვით აღნიშნავდა რაბი ელეაზარის ქალაქიდან წასვლის დღეს. დროთა განმავლობაში მისი სახელი მთელ ესპანურ ებრაელობაში ცნობილი გახდა - როგორც ადამიანისა, რომელმაც თავისი ხალხი სამიწელ უბედურებას გადაარჩინა. უცხო ლტოლვილი, რომლის სიცოცხლე ამ გადარჩენას შეეწირა, ხალხის მესსიერებიდან გაქრა.

<sup>1</sup> ქალაქის პოლიციის უფროსი / სასამართლოს აღმასრულებელი ძველ ესპანეთში  
<sup>2</sup> ქალაქი სარაგოსას მახლობლად  
<sup>3</sup> ებრაული რელიგიური კანონის ერთერთი უმნიშვნელოვანესი წყარო.  
<sup>4</sup> ჰუდერია (juderia) - შუა საუკუნეების ესპანეთში ქალაქის ნაწილი, სადაც ებრაელები იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ.  
<sup>5</sup> „თება“ - ამალღებული ადგილი მაგიდით თორას საკითხავად

### ვარდო დევაძე

შობის ღამეს ცის ცხრა კარი როცა გაიღება,  
 უფლის მადლით უკუნეთი, როცა გაბრწყინდება,  
 კაბის კალთას დაგიკოცნი უბერებელ დედას,  
 მრავალ ახალ წელს, სამშობლოვ, ისევ გაგიბედავ.  
 ქალ-ვაჟები მოგიმრავლოს, როგორც ცის  
 ვარსკვლავი,  
 უღვეველი ღბინი მოგცეს, ყანები სამკალი.  
 რა მომწონს ან რა მახარებს, გითხრათ  
 ყველაფერი?  
 თოვლიანი მყინვარების თეთრი ფატიფერი,  
 გაზაფხულის მობრძანება, იის სარეცელი,  
 საპოუნელა ყვავილები, განა საცეცები.  
 ზაფხულის მწველ მზის სხივებთან, რომ ვარ  
 ღმობიერი,  
 მახსოვს ზღვის რომ მეშინოდა და ფეხს  
 მოვითრევედი.  
 შემოდგომა წითელ-ყვითელ ფოთლებს  
 როცა მჩუქნის,  
 ერთხელ მითხრეს, გაჩუმდიო და რომ არ  
 გაჩუმდი,  
 გულცივ ზამთარს რომ შევიჩვილო,  
 ისიც გაიგონებს,  
 შეჭირვებულ მავანთა ხმას ნულარ გავიგონებ.  
 თვალზე ცრემლი რად გიბრწყინავს  
 თამარ მეფის დედას,  
 დავითი ცხენს მოაჭენებს წარსულიდან, ვხედავ,  
 გაიხარე, იავნანას ისევ მღერის დედა,  
 შობა-ახალ წელს გილოცავ, ხვალაც გაგიბედავ.

### მარინა ყიფიანი-მაისურაძე

#### როდესაც...

როდესაც ღამეს ათენებ თეთრად,  
 როდესაც ებრძვი ნაწამებ ფიქრებს,  
 როცა ყურს უგდებ შენ გულის ფეთქვას,  
 არ დაიჩოქო, გაუძლო იქნებ.  
 როდესაც სულში იბუდებს სევდა,  
 მონატრებისგან ხორცები გენვის,  
 შენ ბილიკს როცა ცრემლები სდევდა,  
 როს ხიდი გქონდა გავლილი ბენვის,  
 მითხარი, მაშინ ყველაზე მეტად,  
 ვინ მოგაშველა ძლიერი ხელი,  
 არ მიგატოვა, ეულად, კენტად,  
 გული გაგიტბო ფიქრებით მწველი.  
 როდესაც სხვისი გახდი მორჩილი,  
 უსიტყვოდ დასთმე ღირსება შენი,  
 სხვის მონობაში გამონრთობილი,  
 ვინ გაგიკაფა ცხოვრების გზები.  
 როდესაც ტკივილს ღმილით ხვდები,  
 მოთმინება იმედი ხვალის,  
 დღეში ფიქრისგან ათასჯერ კვდები,  
 თვალებს გისველებს ცრემლების ღვარი.  
 რა გაძლებინებს, რა გატანინებს,  
 რით ებრძოლები უძილო ღამეს?  
 უფალი ფეხქვეშ ბილიკს დაგიგებს,  
 დაგამეგობრებს ფიქრიან მთვარეს.  
 მოითმინეო, ყურს ჩაგჩურჩულებს,  
 მხრებზე შეგახებს ჯადოსნურ ხელებს.  
 შენში უფალი ღოცვით ჩურჩულებს.,  
 გჩუქნის სიცოცხლედ მზის ათას ფერებს.  
 გახსოვდეს, გულში როცა სიყვარულს,  
 ყველაზე მეტად დაუთმობ ადგილს,  
 ვერ მოგერევა უძილო ღამე  
 და ვერც ამ ღამაზ გრძნობისგან დაგცლის.

### თინა ჭეჟია

\*\*\*

თქვენ მიყვებოდით ფიფქებზე ზღაპარს,  
 თოვლს და ახალ წელს მიფერადებდით,  
 თქვენი ლექსებიც მახსოვდა დიდხანს,  
 მე გავიზარდე, თქვენ კი დაბერდით.  
 ახლა სადა ხართ ან ვის უყვებით  
 ამბებს, რომელთაც მე ვერ მოვისმენ,  
 ყოველთვის ასე მახსენებთ თავს და  
 მერე სადღაცა უჩინარდებით.  
 თოვლი ისედაც უნდა მოვიდეს  
 და ისევ ისე მოვრთავ ნაძვის ხეს,  
 საით წავიდნენ თეთრი ზღაპრები,  
 რომლებიც, ალბათ, უნდა მომიყვებ.

### ქეთი ბეროშვილი

#### ჩემო დიდო სიხარულო!

ჩემო დიდო სიხარულო,  
 ჭირთა ტკბილო მალამო,  
 მრავლის მთქმელო, იდღეგრძელე,  
 ქართველის დიდო ალამო...  
 უკვდავების კარიბჭესთან  
 დაჩოქილი ავალო,  
 იდღეგრძელე, საქართველოვ,  
 შოთას დიდო კალამო...  
 შენი დროშა, ფერნათელო,  
 წინ-წინ მიექანება,  
 სიკისკასე სიყვარულის  
 არ ელევა შენიანს,  
 ნირი ველარ შეგვიცვალონ  
 მოარულმა ქარებმა,  
 გვეყო, რაც შენს ბედ-იღბალზე  
 ცრემლი უხვად გვდენია.  
 მზე გვირგვინად დაეხურა  
 საქართველოს მიწა-წყალს,  
 სურს სხივებით მის მთა-გორებს  
 თბილად მიესალამოს,  
 შენს მიწაზე ვხეტილობ,  
 ფიქრით ვზომავ კაბადონს,  
 იდღეგრძელე, საქართველოვ,  
 უკვდავების მალამოვ!

### ია ეკელი

#### შობა...

შემოდოდა შობა ქუჩაში,  
 ჭიშკართან ჩონგურს ბავშვი  
 უკრავდა...  
 მაშინ არ იყო თვით ხავსი ჯამში  
 და ერთმანეთი ყველას უყვარდა.  
 ჩვენ ვაგროვებდით მამასთან ხურდებს  
 და სიხარულით მათკენ გავრბოდით,  
 მერე სიცილით ვისროდით ქუდებს,  
 „არლეკინივით“ დიდხანს  
 ვმასხრობდით.  
 შემოდოდა შობა ქუჩაში,  
 ალილოს ისევ ისეთად ვხედავ...  
 სადღაც წასულა სხივი უბანში,  
 რადგან არ არის მთავარი... დედა.

### მაია ხოფერია

#### გვირილები

დაგიკრიფე გვირილები,  
 გულყვითელა ღმილები,  
 ბრდღვიალებენ თეთრ ღარნაკში,  
 გიხსენებ და ვიღიმები...  
 ერთს ფურცელი მოვაცილე,  
 გულში მინდა დავითვალო,  
 „გიყვარვარ თუ არ გიყვარვარ“,  
 გვირილებმა დამითვალოს...  
 მოდი, კიდევ გავიპაროთ,  
 დარდი ღამეს გავატანოთ,  
 კოჯრის ტყეში ბილიკები,  
 ჩვენი ნახვით გავახაროთ...  
 სიყვარულში გამოვუტყდეთ,  
 ერთმანეთის ფიქრი ვთვალოთ,  
 მერე სახლში კოცნის კვალი,  
 სულ ცალ-ცალკე დავითვალოთ...  
 დაგიკრიფე გვირილები,  
 ო, რა თბილად იღიმები,  
 იქნებ, ჩემთან ყოფნა გინდა,  
 მაგრამ თითქოს მიფრთხილდები.  
 როგორ მიყვარს ეს ქათქათა ,  
 გულყვითელა ღმილები,  
 შენი ეზოს ღობის ძირში  
 ამოსული გვირილები.

### ალექსი ბოლქვაძე

#### გამარჯობა

საამო და სანატრელი,  
 თითქოს აფრქვევს თან სურნელს,  
 სიტყვას სხვას ვერ მოიგონებ  
 ამ სიტყვაზე სასურველს.  
 რა ჯობია გამარჯობა  
 ჩვენ რომ გვესმის მრავალი,  
 გამარჯობა - ჯანმრთელობა  
 მზეა ამომავალი!  
 გამარჯობა გვაძლევს ძალას,  
 იტყვი, თითქოს ამაღლდი,  
 გამარჯობა უთხარ შემხვედრს,  
 ერთ სიტყვას ნუ ამადლი!  
 გამარჯობა, თუმცა გზაზე  
 არ დაგიგებს ხალიჩებს,  
 მაგრამ იგი ამავე დროს  
 შენს გულსაც ახალისებს.  
 გამარჯობა, კი ბატონო,  
 ის არ არის ხეხილი,  
 მას არ დაიშურებს კაცი  
 შემხვედრი და კეთილი.  
 იგი არც სასმელი არის  
 და არც არის ჭამადი,  
 გამარჯობა უთხარ შემხვედრს -  
 ერთ სიტყვას ნუ ამადლი!  
 გამარჯობა არის სიტყვა  
 თბილი, ტკბილი, ვით რთველი,  
 ამ სიტყვაში სიკეთეა  
 ენით გამოუთქმელი...  
 ახლა რასაც გეუბნებით  
 სიმართლეა სრულიად,  
 გემრიელი ეს სიტყვაა  
 თუ ბავშვისგან თქმულია.



აკაკი გვიშვილი — 80

80 წლისა შესრულდა გორში მოღვაწე ცნობილი ქართველი პოეტი აკაკი ივანეს ძე ბიძინაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო აკაკი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან მსოფლიოში მოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო სარბიელზე 1956 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი ლექსი „შენ იყავი“. მას შემდეგ თქვენი ლექსები და მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგნებად. ქართველი მკითხველი მოწონებით შეხვდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „ყური დამიგდე“, „ეს ორი ცრემლი“, „შენს თითებზე“, „ირაო“, „მე ახლა ისეთ სიმღერას ვმღერო“, „ლირიკა“, ერთომეული... მოწონება კი იმ ვაჟკაცურმა სულმა, თავისუფლების დაუოკებელმა წყურვილმა, სიყვარულის და ერთგულების დიდმა ნიჭმა განაპირობა, რაც თქვენს კრებულებში შესული ლექსებშია აღბეჭდილი. თქვენი ლექსების ლირიკულ გმირს სათვალავი არევი და უჭირს გარჩევა, მისი საესავი და სათაყვანო სამშობლო გოლგოთაზე კიდევ ერთხელ ადის თუ იქიდან ბრუნდება. პირგამებულა იმის შემხედვარე როგორ დაქრის სამაჩაბლოში სიკვდილი ყორანივით და საგულდაგულიოდ შლის ქართველთა ნაკვალევს, უჭირს იმასთან შეგუება, თუ როგორ გადაშვებულა ძაძვებით გადახედილი ნუში. მაინც არ ნებდება, მაინც საბრძოლველადაა შეყაყული, ისე თავისუფალია, რომ ამ თავისუფლებილა არნივებსაც კი შეშურდებთ. მშობლიური ენის მეციხოვნეა და ქართული დედის ღმირს აგონებს, ქართული ენა — სიცოცხლის წყარო... დიდი სიყვარულისთვის დაბადებულს მტკიცედ სწამს, რომ ამ უღიადეს გრძობას ღერწამის ყელი აქვს, რომლისთვისაც ნატვრის ხეზეც კი შეიძლება თავის ჩამოხრჩობა...

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია რუმინულ, ბულგარულ, გერმანულ, რუსულ, ოსურ ენებზე.

თავადაც ჩინებულად თარგმნეთ პიერ ბერანსეს, ვასილ შუკოვსკის, ევგენი ბარატინსკის, აპოლონ მაიაკოვის, კოსტა ხეთაგუროვის, იანკა კუპალას, ალიონა რუცკაიას, ალგიმანტას ნიკუტას ლექსები.

წლების განმავლობაში აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით დაგვამახსოვრეთ თავი, სადაც კი იმუშავებთ, ყველგან სიკეთისა და სათნოების მაგალითს აძლევდით თანამოძმეთ, ყველგან სამშობლოს სასიკეთოდ ირგებოდით.

ბატონო აკაკი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ირაკლი კენჭოვილი — 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ირაკლი აკაკის ძე კენჭოვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ირაკლი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან მრავალნახნაგოვან შემოქმედსა და ლიტერატურისმცოდნეს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენი დებიუტი სამწერლო ასპარეზზე 1957 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნეთ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი „ილია ჭავჭავაძე და ქართული შექსპირიანა“. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევიან და თქვენი ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე ნიგნებად.

თქვენი პირველი ნაბიჯებიდან ცხადი შეიქნა, რომ ქართულ კრიტიკაში და ლიტერატურისმცოდნეობაში მოდიოდა ნიჭიერი შემოქმედი, დაკვირვებელი, ღრმადგანსწავლელი, ერუდირებული მკვლევარი, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნდა, გამხდარიყო ღირსეული წევრი ქართული ლიტერატურის მკვლევართა რაზმისა.

ამიტომაც შეხვდა ქართველი მკითხველი ცხოველი ინტერესით თქვენს ისეთ ნიგნებს, როგორცაა „გალაკტიონ ტაბიძე და ევროპული ლიტერატურა“, „გალაკტიონ ტაბიძის პოეტიკა“, „ქართული ლიტერატურის მკვლევართა რაზმისა“.

თქვენს კალამს ეკუთვნის უაღრესად საყურადღებო სტატიები, როგორც ქართული (შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, სიმბოლისტები), ისე საზღვარგარეთული (უილიამ შექსპირი, მიგელ სერვანტესი, უილიამ ბლეიკი, თომას ელიოტი, ჟერმზ ჯოისი, ერნესტ ჰემინგუეი) ლიტერატურის კლასიკოსების შემოქმედების შესახებ.

ქართული სალიტერატურო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა თქვენს მიერ შედგენილი და თქვენივე რედაქტორობით გამოცემული ქართული ლირიკის ანთოლოგია (1765-1825), რომელშიც არაერთი საყურადღებო პოეტი შევიდა XVIII-XIX საუკუნეებისა. ასეთივე რეზონანსი ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებების აკადემიურ გამოცემას, რომელიც თქვენი დიდი რუდუნებითა და სიყვარულით შეიქმნა.

ჩინებულად თარგმნეთ ენტონი ბერჯესის „ერნესტ ჰემინგუეი და მისი სამყარო“, თომას მაინრის „ოკეანეში დაკარგულები“, ერნესტ ჰემინგუეისა და სომერსეტ მოემის მოთხრობები.

ფართოა თქვენი საზოგადოებრივი ინტერესების სფერო. სხვადასხვა დროს მუშაობდით კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის რედაქტორად, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად და კომპარატივიზმის განყოფილების გამგედ, ჟურნალ „კრიტიკიუმის“ მთავარ რედაქტორად... არჩეული იყავით საქართველოს პარლამენტის ორი მოწვევის დეპუტატად, თბილისის საკრებულოს წევრად, ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად, ჟურნალ „სჯანის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად...

ბატონო ირაკლი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით ნინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ზვიად ლომაჯანიძე — 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი ჯემალ ევგენის ძე დობორჯგინიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ჯემალ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან საინტერესო კოლორიტულ პოეტს და გილოცავენ დაბადების 75-ე წლისთავს.

თქვენი პოეტური ნათლობა 1961 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „გურიას“. თქვენ ხომ გურიის — საქართველოს ამ უმშვენიერესი კუთხის მკვიდრი ბრძანდებით და ბუნებრივია, რომ თქვენს ლექსს გურული იუმორი და შემართება დაედარა იმთავითვე.

ქართველი მკითხველი უპირველესად გიცნობთ, როგორც ჩინებულ საბავშვო პოეტს, რომელსაც არაერთხელ გაუხარებია პატარები მათთვის საკადრისი ლექსებით. „გვირილა“, „შავი შაში ჩიოდა“, „ჭიბიტო და ჭაბიტო“, „დედულეთის ზაფხული“, „კესოს ნიგნი“, „ცისარტყელა“, „ბათოს ცხენი შავრა“... — აი, იმ საბავშვო პოეტური კრებულების არასრული სია, რომლებიც შეიყვარეს ნორჩებმა...

საინტერესო ლირიკოსი ბრძანდებით და ამის დასტურია თქვენი ნიგნები „იის გორა“, „იის გორიდან მოვიდვარ“, „აღსარებები და საგალობლები უფლისადმი“.

თქვენი ლექსები თარგმნილია რუსულ და ლიტვურ ენებზე.

თქვენი თარგმანებით გაცნო ქართველი მკითხველი ალექსანდრე პუშკინის, მიხეილ ლერმონტოვის, სერგეი ესენინის, ბორის პასტერნაკის პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს...

წლების განმავლობაში მუშაობდით სოფელ მამათის კულტურის სახლის დირექტორად, ლანჩხუთის მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორად, ლანჩხუთის ხალხური შემოქმედების განყოფილების გამგედ, ვალოდია ნულაძის სახლის მეცნიერ-მუშაკად.

მონიჭებული გაქვთ საბავშვო მწერლებისთვის ყველაზე ძვირფასი ჯილდო — შიო მღვიმელის პრემია.

ძვირფასო ჯემალ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



შოთა ჯავახია — 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე შოთა მიხეილის ძე ქავთარაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო შოთა!

ჩვენო ერთგული მეგობარი და თანამოკალმე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი კოლეგები გულმხურვალედ მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედსა და მამულიშვილს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი მწერლური ნათლობა 1961 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ პირველი ლექსები გამოქვეყნეთ. პირველივე პუბლიკაციებმა ცხადყო, რომ თქვენი სახით ჩვენს სამწერლო ოჯახს კიდევ ერთი ნიჭიერი პოეტი შეემატა, სამშობლო ქვეყნის კიდევ ერთი გულანთებული მეციხოვნე. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები — ლექსები, მხატვრული თარგმანები, პუბლიცისტური სტატიები თუ მხატვრული ნარკვევები სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე ნიგნებად.

ქართველი მკითხველი მუდამ ინტერესით ხვდებოდა თქვენს ისეთ პოეტურ კრებულებს, როგორცაა „ორწყალი“, „მეორე დღეს“, „მთვარის სოფელი“, „მზეთუკან“... არცაა გასაკვირი. ამ კრებულებში შესულ ლექსებს გულწრფელობა, უშუალობა, თამამი, გაბედული პოეტური ძიებანი, სიღრმე და განცდათა სიმძაფრე გამოარჩევს. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი იმ ქედუხრულ არაგველთა ღირსეული შთამომავალია, ვისთვისაც საქართველო ყველაზე დიდი ტკივილიცა და ყველაზე დიდი სიხარულიც.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია უკრაინულ და რუსულ ენებზე.

თავადაც დიდებული მთარგმნელი ხართ. ქართველი მკითხველი სწორედ თქვენი თარგმანებით გაცნო ჰაინრიხ ჰაინრის ლექსებს, ჯეიმს კრუსის „თიმ ტალერი“, ანუ გაყიდული სიცილს“, კლასიკურ ესპანურ ეპიგრამებს.

თქვენი მხატვრული ნარკვევები და პუბლიცისტური სტატიები აქტუალობითა და პრობლემების არსში ზუსტი წვდომით გამოარჩევა.

მართლაც რომ საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლეთ. სხვადასხვა დროს მუშაობდით სენესისა და ხეცურეთში გერმანული ენის მასწავლებლად, ხელმძღვანელობდით ნიგნით ვაჭრობას კოოპერაციის ხაზით, რედაქტორობდით მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ გაზეთ „ლომისს“. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად...

გულით გვახარებს, რომ ძველებური სიყვარულითა და ჟინით ემსახურებით ქართულ ლექსს, ქართულ პოეზიას. გულგაუტყველი ვაჟკაცი არარად აგდებთ თავს დატყეხილ პრობლემებს, ვერც ავადმყოფობა გაშინებით და ისე ცხოვრობთ, როგორც ჭეშმარიტ რაინდებს სჩვევიათ.

ბატონო შოთა!

კიდევ ერთხელ გულწრფელი სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

მინიშნება



კონსტანტინე გამსახურდია მიგვა-ნიშნებს მარად გვახსოვდეს თარაშ ემხვარის ხვედრი.

„თარაშ ემხვარს გადანყვებილი აქვს, თბილისს ჩასვლის უმაღვე აუდენცია სთხოვოს ბერიას და პირ-დაპირ ეტყვის მას:

მრავალ გზებზე მიყალია, მრავალ გზაჯვარედინზე მიყოყმანია და ბო-ლოს ავირჩიე გზა სტალინისა“.

ღმერთო, შენ მიშველე და სრულიად ახალგაზრდა კაცი, ამ სტრიქონებს რომ ვკითხულობდი წერილი დიდი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას“ მთვარის მოტაცები-დან“, ადიდებულ, თავანყვებილ ენა-ურის პირას მდგარ საყვარელ და მისა-ბაძ გმირის თარაშ ემხვარის ფიქრთა სრბოლას რომ წარმოადგენენ, ცივი ოფლი მასხამდა და აცხცხებულ ეშფოთავდი - ნუთუ ევაც... და როს თარაშ ემხვარი ენგურში დაიხრჩო, თავისუფლად ამოვისუნთქე, ამოვი-სუნთქე და წამს მიფუხვდი სიტყვის დიდოსტატს ჩანაფიქრს - წამს მი-ვუხვდი. დიდი მწერალი ამით გვაფრ-თხილებს, ვინც ამ გზას, ბოლშევიკთა გზა რომ ჰქვია, დაადგება, რაიც რუ-სეთუემობის ტოლფასია, იგი თუნდაც თარაშ ემხვარისნაირი უბადლო ვაჟ-კაცი იყოს, დასალუბად განწირულია, რადგანაც ეს გზაა გზა ეშმაკისა, გზა ჯოჯოხეთისა და გზა ერის ღალა-ტისა, ამიტომაც ვერ გადასცურავს ის აქაფებულ მდინარეს, რომელშიც სამშობლოს ავბედითი სულისკვეთე-ბა იგულისხმება. რამ გამახსენა ახლა ეს სცენა ამ ბრწყინვალე რომანიდან?

რამ და, დღესაც ვატყობ ზოგ ვაჟ-კაცს მჭმუნვარება შეპარვია და ფიქრ-ში უელვებს, ხომ არ დაადგეს თარაშ ემხვარის გზას, იქნებ... არ გაბედო, არ გაბედო მასე ფიქრი, ნუ გაიმეტებ თავს მარადიული კრულვისათვის, რო-მელიც ფიზიკურ დალუპავზე უარესია, გესმის ჩემი, ჩემო „თარაშო“ - მე შენ ამისთვის არ მემეტები და საქართვე-ლოსაც სჭირდები შენ. ამიტომაც გი-მეორებ - არამც და არამც არ გაბედო!

წოდარ კომპარნიძე  
ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი

„ზღვარის გამაყრუებელ ხმაურში“ ...

დალიდა ბედიანიძე

ბოლო ხანებში ჩვენი წიგნის თარო-ები არაერთი კარგი ახალი წიგნით შეივსო. მათ შორის არის ახალგაზრდა პოეტის რატი (ტატო) ნინუას სრული კრებული „ზღვარის გამაყრუებელ ხმაურში“. წიგნის რედაქტორი რუ-სუდან ჭანტურიშვილი წინასიტყვა-ობაში აღნიშნავს: „მიუხედავად იმისა, რომ რატის შემოქმედება, წინამდებარე კრებულის ჩათვლით, უკვე მეშვი-დედ გამოიცა, ფართო საზოგადოები-სათვის იგი ჯერ კიდევ უცნობია. ეს უთუოდ იმის ბრალია, რომ მისი წიგ-ნები საჩუქრებად დარიგდა და წიგნის მაღაზიებში არ შესულა, მკითხველამ-დე არ მისულა. მკითხველთა ფართო წრემ ეს უდროოდ წასული, ჭეშმარი-ტად მშვენიერი პოეტი ამ კრებულის უნდა გაიცნოს“.

რატი (ტატო) ნინუამ 2000 წლის 10 მაისს თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე და მისი ლექსების კითხვი-სას უნებლიედ გვაგონდება შექსპირის ერთ-ერთი სონეტის ფრაგმენტი:

*„მათი მკითხველი ნუ იქნები  
მსაჯული მკაცრი,  
თქვი - ჩემს მეგობარს ზრდა რომ  
უფრო დასცლოდა მეტი,  
მეტს წარმოქმნიდა სიყვარულით  
გამთბარი აზრი  
და დადგებოდა ისიც მარჯვე  
მგოსანთა გვერდით“.*

რატი პოეზიაში თავიდანვე უნა-ტიფესი, თვითმყოფადი პოეტური ხელწერით მოვიდა; ამავე დროს, იგი გატაცებული იყო თარგმანითაც და პროფესიულად თარგმნა პუშკინის, ესენინის, ბაირონის ლექსები, იულუმ სლოვაკის ერთი სონეტი, ივან ბუნი-ნის მცირე მოთხრობები, ოსკარ უაილ-დის სამი ზღაპრი. გარდა ამისა, იგი წერდა მოთხრობებსაც.

რატი (ტატო) ნინუას ლექსები იბეჭ-დებოდა ჟურნალ-გაზეთებში: „ნო-ბათი“, „თბილისი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „ალაზანი“, „ხიდი“, „ვე-ჩერნი ტბილისი“, „ლიტერატურული საქართველო“, „აჭარა“, „ნერგი“ და „გუშაგი“ (პარიზის ქართული სათვის-ტომოს ჟურნალი). რატი (ტატო) ნი-ნუას შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, ოტია იოსელიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, როსტომ ჩხეიძე, ეთერ თათარაიძე, ამირან არაბული, დათო ტურაშვილი, რატი ამალაშვილი, მაყ-ვალა გონაშვილი, ბალათერ არაბული, იკა ქადაგიძე და სხვა ცნობილი ქარ-თველი მწერლები და საზოგადო მოღვა-ნეები.

ტრაგიკული ბედით აღბეჭდილი მისი ხანმოკლე ცხოვრება ერთგვარად შე-ჯამებულია 1987 წელს დაწერილ ლექ-სში „ღამით თბილისში“:

*„ღამით თბილისში და მის ქუჩებში  
წყვიდადი სუფევს,  
ეს ცხოვრების გზა უფრო მოკლეა  
და სადღაც უხვევს.  
შეისიმომგვრელი ქარი ზუზუნებს,  
ძვალ-რბილში ატანს,  
მე ცხოვრებისგან თითქმის  
არაფერს,  
თითქმის არაფერს მოველი ახალს...  
დადუმდა ქუჩა,  
ძილს მიეცა და სიზმარს ხედავს,  
ეს ძალაა თუ  
სამუდამო სიკვდილი ნეტავ?“*

რატის შინაურობაში ტატო ერქ-ვა და მისი დედულეთი იყო სოფელი რუისი. ქარელის რაიონის სოფელ რუისის მრავალრიცხოვანი მოსახ-ლეობის შუამდგომლობით, სოფლის საკრებულომ (თავმჯდომარე ბატონი ზურაბ ბალიაშვილი) დააკანონა ახალ-გაზრდული სახალხო დღესასწაული „ტატობა“, ყოველი წლის 16 მაისს, ხოლო ქარელის რაიონის გამგეობამ (გამგებელი თენგიზ რაზმაძე) სოფელ რუისში მცხოვრები გივი პაპა სულ-ხანიშვილის ნაბოძებ კარ-მიდამოში დააარსა რატი (ტატო) ნინუას სახე-ლობის სახელმწიფო სახლ-მუზეუმი თავისი საშტატო ერთეულით. რატის ხსოვნას მის მშობლიურ თბილისშიც მიაგეს პატივი. იყო ხსოვნის საღამო-ები, სატელევიზიო და რადიოგადა-ცემები, დაინერა მრავალი წერილი, ლექსი, რომელიც მას მიეძღვნა და მის წიგნებშია დაბეჭდილი. იმედია, ქარ-თველი მკითხველი ღირსეულად შეაფა-სებს და შეიყვარებს ამ „მარადჭაბუ-კად“ დარჩენილ პოეტს - აღნიშნავს რუსუდან ჭანტურიშვილი, რომელიც რატის შემოქმედების დიდი მოამაგეა.

კრებული „ზღვარის გამაყრუებელ ხმაურში“... იწყება ვრცელი ლექსით „იესოსადმი“ (ლოცვის მაგიერ), რო-მელშიც მორწმუნე სულის აღსარე-ბაა გამოხატული და მოსალოდნელი, მოახლოებული აღსასრულის წინათგ-რძნობაა.

*„შენ არ გამწირე, თუ ჩემი თავი  
ან საბოლოოდ მე გამწირავს,  
მომე სამარე და მიწა შავი,  
სად თვით უცოდველ  
ბავშვებსაც სძინავთ...  
...არ მითხრა, არა, რომ გვიანია,  
რომ ჩემი შრომა არის ამაო,  
მე ვინანიებ, მე ვინანიებ,  
მე ვინანიებ - ტკბილო მამაო“.*

(1999 წლის 11 აგვისტო)

საქართველოს კათოლიკოს-პატ-რიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ამ ლექსის წაკითხვის შემ-დეგ ტატოსთვის წესის აგების ნება დართო.

რატი (ტატო) ნინუა უპირველეს ყოვლისა ღირიკოსია. მისი ღირიკა თემატურად მრავალფეროვანია, გამ-ჭვირვალეა, მსუბუქია, გამოირჩევა ორიგინალურ ფერთა შეხამებით, მდი-დარია მხატვრული სახეებით, ნათელი განწყობილებით და მღერადი, მუსიკა-ლური ფრაზებით:

*„ცა მუჭში იმწყვდევს დალილ მთვა-რეს და თვალებს ვხუჭავ,  
ხელში მიჭირავს გაქვავებულ წვიმე-ბის ბლუჯა“.*

(„ფიქრები წვიმიან ღამეში“, 1989 წლი სნოემბერი)

ლექსი „გადამწვარი ღრუბლები“ (1991 წლის 22 დეკემბერი - 1992 წლის 10 იანვარი) გამოირჩევა პატ-რიოტული სულისკვეთებით, როგორც რატის სხვა არაერთი ლექსი, მიძღვნი-ლი მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსა-ხურდიას ნათელი ხსოვნისადმი:

*„დაიზრდებიან ლეკვები ალგეთს,  
ისევ აღდგება ივერთ დიდება,  
ამაყი სისხლის არწივის მართვეს  
ამაყ ძარღვებში აუყვილდება...  
კვლავ იხმინანებს  
რუსთველის სული  
და ნაგმირული ილიას ქნარი,  
გალაკტიონი - ცამდე ასული,  
ბუბუნნი ვაჟას მთისა და ბარის“.*  
1989 წლის 8 თებერვალს დაწერილი

ლექსი „მე ლექსებს არ ვწერ“, რომე-ლიც ტიცინან ტაბიძის პოეზიით არის შთაგონებული, ასე იწყება:

*„მე ლექსებს არ ვწერ, მათ ძერა  
მინერს,  
თმაგანენილი,  
ფრთებთეთრი ძერა...“*

და უიმისოდ ალბათ ვერ შევძლებ ორსიტყვიანი სტრიქონის წერას“...

ძერა არა ერთგზის გვხვდება რატი (ტატო) ნინუას ლექსებში, როგორც მუზა, შთაგონების წყარო და ის უთუოდ ადამ მიცკევიჩის „ფორისით“ უნდა იყოს ნაკარნახევი. ამ ლექს ვერც ერთი თარგმანით დაინტერე-სებული ადამიანი გვერდს ვერ აუვ-ლის და ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც. ძერა ადამ მიცკევიჩთან საბედისწე-რო ფრინველია, ისევე, როგორც ედ-გარ პოს ყორანი და ბარათაშვილის „თვალბედითი, შავი ყორანი“. ძერას გამოყენება რატის ლექსებს სიღრმეს ანიჭებს და ორიგინალურობას მატებს (იხ. ლექსები: „რა გამოლევს ფიქრებს თოვლიანს“, „ჯერ კიდევ მწყალობს ბებერი ძერა“, 1989 წ. სექტემბერში დაწერილი უსათაურო ლექსი „მანც მტკივა თეთრი ღამე, ცრემლებად დაღვრილი“ - „ოლონდ შენ არ მიმატო-ვო, ფრთავრძეულო ძერავ!“ და სხვა).

ასევე, რატი (ტატო) კარგად იცნობ-და მარინა ცვეტაევის ლექსს „Мне нравится, что вы больны не мной“ და მისი პოპულარული დასაწყისი ოსტა-ტურად, ორიგინალურად გამოუყენე-ბია თავის ერთ უსათაურო ლექსში:

*„ავად ვარ შენით, ავად ვარ შენით,  
ჩემ სნებას ჰქვია შენი თვალები,  
სულში ჩამოდგენ უხმო მოწყენით  
გაფითრებული თებერვალები“.*

მარინა ცვეტა... მოტივი ამდიდ-რებს რატის ლექსს და მიგვანიშნებს პოეტის მდიდარ თვალსაწიერზე.

რატის ზვიად გამსახურდიასადმი მიძღვნილი ვრცელი ლექსი ასე მთავ-რდება:

*„ყოველ ახალ წელს  
ჩემს ნაძვის ხეზე  
სათამაშოებს შორის ერთი  
ჰკიდია ცრემლი“.*

აი, რას აღნიშნავს ამ სტრიქონებთან დაკავშირებით პოეტი მაყვალა გონაშ-ვილი: იცოდა შვილმა საქართველოზე უზომოდ შეყვარებული მამის ჭალა-რის ნათელის ფასი, იცოდა საქართვე-ლოს სევდის ფასი... ფასი ცრემლის და ტკივილის... ჭაბუკი იყო და ყოველივე იცოდა მანც.

რა დაგვრჩა. რატი (ტატო) ნინუას უმშვენიერესი ლექსები და თარგმა-ნები. ვინძლო მათ მანც მოვუფრთ-ხილდე თ ღირსეულად (27 თებერვალი, 2005 წ.).

და ბოლოს, ლექსს „ფრიდრის ნიც-შეს მონოლოგი“ რატი (ტატო) ნინუა ასე ეხმაურება:

*„ახლოა ჟამი ჭრილობათა  
მოსალბუნების  
ბედნიერება ჩემს სულშია  
ღვთით დათესილი,  
და ნაცვლად ხორცთა  
გასაძლომი ბილწი ცთუნების,  
მე სიხარული ზეციური მელის  
მზე ესლი!...“*

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდ-როს რატი (ტატო) ნინუას ზეციურ საქართველოში და ნუ მოაკლოს ზეცი-ური სიხარული იმ გრძელ ქვეყანაში. დღევრძელი ყოფილიყოს მისი შემოქ-მედება.

მადონა კალანდია

საკოვნიელა

დამიბრუნეთ  
საქართველო

მე ქალად გავჩნდი, ბატონებო,  
მონად კი არა,  
მკერდს მამჩნევია  
ჩემი ქვეყნის  
ყველა იარა.  
არა, არ მინდა  
ეს ქვეყანა  
უსამარბლოდ,  
არა, არ მინდა  
ეს ქვეყანა  
უაფხაზეთოდ...  
ქართველებო,  
დამიბრუნეთ საქართველო,  
დამიბრუნეთ საქართველო,  
დამიბრუნეთ საქართველო  
მთლიანად!

\*\*\*

ფუძენართმეულს და  
სახლიდან გადვებულს  
სიმდიდრედ  
ორი რამ მამბადია:  
ქედმოუხრელი ქართველი  
ვარ და  
სახელად მქვია  
მადონა კალანდია.

სირცხვილით ვინვი...

სირცხვილით ვინვი, მამულო,  
რომ ვერ ვთქვი სიტყვა მჭექარე,  
მტერს შუბი ველარ ვაძგერე,  
ფარად ვერ გადაგეფარე.  
და ველარც ხმალი ვიშიშვლე,  
ველარ შევძელი გმირობა,  
აფხაზეთს ველარ ვუშველე,  
ვერ გავუნე შევილობა.  
როცა მუხლებზე დავეცი,  
შევიძელი, ფეხზე ავდექი,  
თუმცა, რად გინდა, მამულო,  
შვილად ვერ გამოგადექი.  
სირცხვილით ვინვი, რაღა ვქნა,  
ველარ შევიცვლი ხასიათს,  
უაფხაზეთოდ ჩემს ყოფას  
ნამდვილად ჩალის ფასი აქვს.

დაიხსომა...

დაიხსომა: სანამ იტყვი  
სიტყვას ტკბილ ან მწარეს,  
ჯერ ის სულის ლაბირინთის  
ცხრილში გაატარე.

არ მოიქცე, შენ არ გინდა  
რომ მოგექცნენ ისე,  
თორემ ბევრჯერ, ბევრჯერ  
მოგტყნის  
ეს ცხოვრება კისერს.

სადა ხარ?

ერთხელ განგებამ  
ჩემი სულის უნაზეს ველზე  
მოურიდებლად დაახატა  
შენი სახე და ზედ დაანერა:  
უნდა გიყვარდეს!  
სიკვდილამდე  
უნდა გიყვარდეს!  
ამ კაცს შენი სიყვარული  
ჰქვია სახელად.  
ვერ ამოვშალე  
შენი სახელი  
სულის ველიდან  
და ველარ ვუძლებ  
ისრის ჩხვლეტას,  
გულის იარებს,  
თუ მართლა  
ჩემი სიყვარული  
გქვია სახელად,  
მაშინ სადა ხარ,

სიყვარულო,  
რად იგვიანებ?!

მობრძანდით და  
ისეირნეთ

მობრძანდით და ისეირნეთ  
ჩემი სულის ხეივანში,  
გზაზე ია-ვარდს დაგიფენთ,  
სკამზე ლექსის სუფრას გავშლი.  
ქარი გიტარას დაუკრავს  
სიყვარულით დამწვარ გულში,  
ნუ ეცდებით, ვერ მაჯობებთ,  
ვერ მაჯობებთ სიყვარულში.  
ზეციდან მზეს ჩამოვიტან  
და ჩაგისვამთ ყველას თვალში...  
ისეირნეთ, ბატონებო,  
ჩემი სულის ხეივანში!

თაობებს უნდა  
ასწავლოს...

პოეტს რა უნდა და კალამი,  
პოეტს რა უნდა და ფურცელი,  
სული უნდა ჰქონდეს ალალი,  
გული უნდა ჰქონდეს უცვლელი.  
ხელთ უნდა ეპყრას მახვილი  
მას გასაგმირად მტრებისა,  
უნდა ახსოვდეს, უფლისგან  
პოეტის ბედი ეღირსა  
უნდა უყვარდეს სიმართლე  
გულს ჰქონდეს გრძობა ფარული,  
თაობებს უნდა ასწავლოს  
მან სიყვარული მამულის.

ქალს სიყვარულს ნუ  
მოაკლებთ...

ქალებს არა აქვთ ასაკი  
ისე, ვით სიყვარულს, მენდეთ...  
ეს ასე იყო აქამდე  
და ასე იქნება მერეც.

მამაკაცებო, გახსოვდეთ,  
ქალი ცხოვრების ღერძია,  
იმას ნარ-ეკლებს კი არა  
ია და ვარდებს ესვრიან.

თუ აგრძობინებთ სიყვარულს  
დაემსგავსება თაიგულს,  
დრო-ჟამი ვერას დააკლებს  
ვერ დააბერებს ქალის გულს.

მამაკაცებო, გახსოვდეთ,  
ესეც ცხოვრების წესია,  
ქალებს ლალაბით არ კლავენ,  
ქალებს ტყვიას არ ესვრიან.

ქალს სიყვარული სჭირდება,  
აჩუქეთ ტრფობის ალები...  
თუ გეყვარებით, არასდროს  
არ დავბერდებით ქალები.

ცაში მყოფო ღმერთო...

ცაში მყოფო ღმერთო,  
გადმოგვხედე ციდან,  
დაიფარე, შევთხოვ,  
მხარე ერთი ციდა.  
გაუნათე გონი  
მტრებისაკენ მზირალთ,  
ნუ ააცდენ მოძმეს,  
ღმერთო, შენი გზიდან!  
რომ არ უმტრონ მამულს,  
ალარ დასთმონ განძი,  
შეახსენე მოძმეს  
თავის მიწის ფასი!  
არ ჩატეხონ ძმებმა  
ერთგულების ხიდი,  
ამორე კაენის  
ცოდვა დიდზე დიდი.

რაულ ჩილაჩავას პოეზია ახალ ფოკუსში:  
მომავალი წიგნიდან „დახატული  
სახლი“...

ავანგარდისტული ფანტასმაგორია მართლაც ძალზე უჩვეულოდ  
ალიქმება ტრადიციული ლექსთწყობის ფორმით გადმოცემული და  
სრულიად მოულოდნელი შინაარსით, რაც მკითხველში იმ დამაბნეველ  
ეფექტს იწვევს, რომლის მიღწევაც, როგორც ჩანს, პოეტ რაულ ჩილა-  
ჩავას გაცნობიერებულ განზრახვას შეადგენდა. ამგვარი მიზნის შესა-  
ბამისად უჩვეულოა მისი პოეტური სამყაროც: ის სიზმრად ხილულსა  
და ცხადში გახსენებულ კომმარს წააგავს, მაგრამ ლექსების დაკვირ-  
ვებული აღქმისას ნათელი ხდება, რომ ერთი შეხედვით შეუთავსებადი  
სახეები ერთიან ასოციაციურ კონტექსტში მხატვრულ მთლიანობას  
ჰმნიან.

ლექსების ციკლის მთავარი სათქმელი მომავალი წიგნის სათაურში-  
ვე გამოხატული, თუმცა მისი ყველა ასოციაციური ნახნაგის გაცნობი-  
ერება მხოლოდ პოეტური ნაწარმოების მთლიანად გაცნობის შედეგად  
ხდება შესაძლებელი. პოეტი თითქოს უტოვებს მკითხველს ლექსების  
თავისუფალი ინტერპრეტაციის საშუალებას, მაგრამ მისი პოეტური  
ციკლის საფუძვლიანად გაცნობის მსურველი სულ მალე წაანყდება  
ზედმინენით ანონილ ავტორისეულ ჩანაფიქრს. ლექსების შინაგანი  
აზრობრივი ნყობა უსასრულოდ რაციონალურია, მისი „პოეტური პრაგ-  
მატიკა“ გამომსახველობით საშუალებათა უკიდურეს ეკონომიას გუ-  
ლისხმობს, ხოლო ასოციაციურ ქვეტექსტებზე თამაშის დონე თითქმის  
სრულყოფილებას აღწევს, ამიტომაც რაულ ჩილაჩავას პოეზიის ნაკით-  
ხვის „თავისუფლებას“ მოჩვენებითია; პოეტი მკაცრად განსაზღვრავს  
ლექსების აღქმის მიმართულებას და საბოლოოდ თვითვე მიუძღვება  
მკითხველს თავისივე პოეზიის ლაბირინთში.

„დახატული სახლი“, რომელიც სიმბოლური ხატია ლექსების ამ ციკლ-  
ში, როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ ხსნას ელოდება; „გამქრალ სახლებ-  
თან“ დაკავშირებული სასონარკვეთილება კი პოეტისთვის სულიერი  
განახლების წინაპირობაა: „ამ კედლებს შორის მე აღვსდგები, როგორც  
ლაზარე“... სულიერ საწყისებთან ზიარება მძაფრად მანიშნებელია იმი-  
სა, რომ სახლის სიმბოლო-სახეს ბერძნულ მითოლოგიასთან ერთად  
ბიბლიური არქეტიპიც უდევს საფუძვლად და პოეტი მას თანამედრო-  
ვეობას უკავშირებს, თავის მსოფლმხედველობობას გამოხატავს:

„დახატულ სახლში, არც ლამდება, აღარც თენდება,  
მსგავსი შენობა სხვაგან არსად არ ამენდება“.

რაულ ჩილაჩავას „დახატული სახლი“ – ამავე დროს მისი მითო პო-  
ეტური ტოპოსია: „დრომ დაამტკიცა, რომ ქვიტიკირზე უმტკიცესია,  
სახლი, რომელიც ვერ ავაგე, მაგრამ დავხატე“, რაც შეუმზადებელი  
მკითხველისთვის საკმაოდ რთული აღსაქმელია, რადგან ლექსში უკი-  
დურესად იკუმშება აზრობრივ-ემოციური ინფორმაცია და იზრდება  
სახე-სიმბოლოთა მრავალფეროვნება:

„ის შეიყვარა ანგელოზმა, ვით ეკლესია“.

პოეტის ლექსების ეს ციკლი, იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ ხში-  
რად გროტესკი პოეტური ნაწარმოების მთელ მხატვრულ ქსოვილს  
მსჭვალავს და მასში საგანგებოდ შოუს ელემენტები ვლინდება, თუმცა  
პოეტი აქაც ზომიერებას იცავს და მისი მაღალი გემოვნება უტყუარი  
ესთეტიკური ალლოთი გამოიხატება. „ცხოვრების გზაზე ვერ ვპოვე  
„ზებრა““.

ის ხაზს უსვამს იდუმალ, ირაციონალურ და დამანგრეველ ინსტინქ-  
ტთა მოზღვავებას და ამით ახდენს თანადროულობის ჩრდილოვან მხა-  
რეთა პერსონიფიკაციას: „ამ წუთისოფლის იპოთეკას არა აქვს ფსკერი,  
ეპიტაფიას დაამგვანეს წარწერა ყდაზე“.

რაულ ჩილაჩავას პოეზიის გააზრებისთვის, წიგნის ერთ-ერთ ლექსს,  
რომელსაც ჰქვია „ოდიში“, დიდი აზრობრივი დატვირთვა აქვს. აქ პო-  
ეტის „ზნეობრივი ნეიტრალიტეტი“ ლიტერატურული და ღვთისმეტყ-  
ველური ტრადიციის გაგრძელებად წარმოგვიდება: „მე გული მიგრძ-  
ნობს, რომ შემეძლო სინათლედ ქცევა“.

ჭეშმარიტი ყოფიერების გაცნობიერება პოეტისთვის მისტიკური თა-  
ვისუფლების უკვე შემდგარი რეალობაა და მხოლოდ დროის მარნუხე-  
ბიდან თავის დახსნის შედეგად არის შესაძლებელი:

„მაინც აქა ვარ, მაინც აქ მსურს, მაინც აქ მინდა,  
მე სხვა სიტყვები არც მახსოვს და არც მახსენდება  
მოჩვენებებით სავსე სახლში ჩუმად თენდება“.

რაულ ჩილაჩავას მომავალი წიგნი „დახატული სახლი“ უდავოდ ცხად-  
ყოფს პოეტური გარდასახვის მაღალ საფეხურს, რადგან აქ ძლიერი და  
მომავალზე ორიენტირებული პოეზია პროვოცირდება.

მიმოზა კვიციანი

დოდო დანელია

ნიკო ფიროსმანს!...

ჭვარტილიან სარდაფში
სინესტე ჟონავდა,
რეკვიებს უკრავდნენ -
განაჩენს ელოდა...

ფაეტონს ჩაეველო,
კენესოდა ორლანი
და ვარდის უბანში მზე
უკვე მნათობდა...

მტკვარი რატომღაც დღეს
ჩანდა მორჩილი...
და რძისფერ ტილოზე ფუნჯები
ეყარა,

რა დიდი ყოფილხარ,
რა უზარმაზარი,
შენი სიდიადე ვერავინ ანონა,
ცოცხალი იყავ, მიუსაფარი,

წვიამა დამიმართოსნელა!...

წვიამა დამიმართოსნელა,
სულ თვალეები მიფუფუნა...
მეგონა, რომ შევუყვარდი,
მაგრამ თურმე დამინუნა...

წავიდა, სხვას მიეფერა,
ნაზად შემოხვია ხელი...
თმებზე, მხრებზე ეალერსა,
დაუკოცნა ბროლის ყელი.

გული დამწყდა, ნეტავ რატომ,
სილამაზით სხვა მჯობს განა?!
ნუთუ გავხდი დასანუნი
სევდამ, ძრწოლამ ამიტანა.

ამ ფიქრში ვარ, ვხედავ მანვიმს
და ავტირდი როგორც ბავშვი...
ყველა წყენა ჩამომრეცხა
ლოცვაც დამანია გზაში.

ვფიცავ, ხილვა არ ყოფილა...
განუწული ვიდექ კარში,
ყველა დარდი მომაშორა
და არც გადამცვალა სხვაში...

ხოდა ღირს ყოფნა!...
(ჩემს შვილიშვილს, მარიამს)

შენს მოლოდინში სულის
საოხად,
ცას შეველაღებ,
მურიცხ ხალიანს...

ქარს ავედევნე, ზღვას
გავეჯიბრე...
დილის ცისკარი, თუ მზეა
მწველი,

შენ მყავხარ ქვეყნად, ხოდა
ღირს ყოფნა,
კვლავაც გელი და უფრო
ვხალისობ,

მთებს შევეჭიდო მგონია
ლამის,
ვიფიქრო ცუდზე, სადა
მცალია...

ნეტავ შვიკა რაშია?!

მინდა ზეცით ავმალდე,
რადგან სული ცაშია...
სხეულს როგორ მისუსხავს,
ყორნის ფერი არშია...

მომენატრა ძველი დრო,
ვიგონებ და ვლონდები,
წლები გადის და წარსულს
სულ დღითიდღე ვშორდები...

რა ყოფილა საწუთრო,
ღამდება თუ თენდება,
დარდი ისე გამოგხრავს,
თავზე დაგათენდება.

ფიქრი მიქრის თითქოსდა,
გახედნილი რაშია...
ვერ უნამლა დრომ ტკივილს
ცრემლი ყელში გამჩრია.

მინდა ზეცით ავმალდე,
რადგან სული ცაშია...
ამ წუნუნით გავბეზრდი
ნეტავ შვიკა რაშია?!

არ დააყოვნო... (პაპა ბერდია გიგაურს)

ჭიუხვებს შაჰყვე მნადია,
სურვილ ასრულდეს ნეტაი...
ვუარს ვინ გეტყვის გაკვალო
ფეხშეუდგამი ქედაი...

საჯიხვეს ჯოგი მოსულა
ბარად გაშლილა ნადირი,
ბერდიაჲ! ნადირთ უგრძნიათ
ბებერი გულის წადილი...

არ დააყოვნო, წამოდექ,
არ გშენის ტყვილა ქადილი...
თორემ ჯიხვთ ააფრიალეს
ზავის ნიშნად მანდილი...

ჯემალ ინჯია - 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ჯემალ ნიკოლოზის ძე ინჯია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისაღება გაუგზავნა. მისაღებაში ნათქვამია:

ქვირფასო ჯემალ!
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმებიან ჩვენი სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ დიდებულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

ექვს ათეულ წელზე მეტია, რაც გრძელდება თქვენი უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ლიტერატურული ცხოვრება, ძიებებით, მიგნებებით, დიდი ადამიანური ტკივილებითა და სიხარულით რომ არის გაჯერებული.

შორეულ 1955 წელს აღმანახ „ლიახვიში“ გამოქვეყნეთ პირველი ლექსები და მას შემდეგ არასოდეს გილატიათ ერთხელ არჩეული გზისა და კრედოსთვის - ყოფილიყავით ქრისტესავით ჯვარცმული სამშობლოს ჯარისკაცი, მისი მეციხოვნე...

თქვენი პოეტური კრებულები „ლიახვი თქვა“, „კალენდარი“, „ლირიკული დღიური“, „სილუეტი“, „ლირიკა“, „თავთავები“, „ნამუსის ქუდი“, „ასი ლექსი სიყვარულზე“, „დავნიწყებული ვალსები“, „სონეტების გვირგვინი“, „ასი ლექსი“, „რჩეული“ ნიშნავს ქართველი მკითხველის სულსა და გონებას და, ამავე დროს, მშობელი ერის უებრო მსახურების ერთ მშვენიერ მაგალითს წარმოადგენს.

თქვენს პოეზიას სილაღე და მელიოდრომა, ვერსიფიკაციული მრავალფეროვნება და ორიგინალური ხედვები გამოარჩევს. უფრო მეტიც, შეიძლება თამამად ითქვას, რომ თქვენ ქართულ სინამდვილეში ერთ-ერთმა პირველმა შექმნით კლასიკური მოდელი ისეთი ურთულესი პოეტური ფორმისა, როგორცაა სონეტების გვირგვინი.

თქვენი პოეზიის ლირიკულ გმირს მტკიცედ სწამს, რომ ყინვისის ტაძრის ჩრდილად არ ღირს მთელი ამქვეყნიური დიდება, სწამს ხარის რქებზე დანთებული სანთლის მადლისა და დაუძინებელი მტერია სახედაკარგული მატადორებისა, რომლებიც მის საესავ სამშობლოს შუბლში უშიზნებენ დაშნას...

თქვენი ლექსები თარგმნილია უკრაინულ, ინგლისურ, ლიტვურ, უზბეკურ, ფრანგულ, სომხურ, რუსულ, ოსურ, რუმინულ ენებზე.

ჩინებულად თარგმნეთ ა. ბლოკის, ვ. მაიაკოვსკის, მ. ლუკონინის, ნ. ტიხონოვის, ს.მარშაკის, რ. ასაევის პოეზიის ცალკეული ნიმუშები. ამ თარგმანებიდან გამორჩევით აღსანიშნავია ის ღვანლი, რაც დასდეთ სერგეი ესენინის ქართულად ამეტყველებას. ბოლო



წლებში ქართველ მკითხველს პორტუგალიური პოეზიის კლასიკოსის ლუის დე კამონისის მსოფლიო მნიშვნელობის რენესანსული ეპიკური შედევრი „ლუზიადები“ გააცანიო. ყურადსაღებია თქვენს მიერ თარგმნილი ლიტველ პოეტთა მცირე ანთოლოგია „ლიტვური პოეზიის გაზაფხული“...

მართლაც რომ გამორჩეული საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. 1981 წლიდან თავკაცობთ მწერალთა კავშირის გორის ორგანიზაციას და ფასდაუდებელი წვლილი შეგაქვთ გორის დიდი კულტურული ტრადიციების განვითარებაში. სხვადასხვა დროს მუშაობდით გორის კულტურის საქალაქო განყოფილების გამგედ, გაზეთ „გამარჯვების“ განყოფილების გამგედ, შიდა ქართლში საქინფორმის საკუთარ კორესპონდენტად, გორის განათლების მუშუემის დირექტორად, გაზეთების „ქართლისა“ და „ლიტერატურული გორის“, ჟურნალ „ქართლის“ მთავარ რედაქტორად. არჩეული ხართ მწერალთა კავშირის გამგეობისა და ჟურნალ „განთიადის“ სარედაქციო საბჭოს წევრად.

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა გალაკტიონ ტაბიძის, ფრიდონ ხალვაშის სახელობისა და მწერალთა კავშირის პრემიებით აღინიშნა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით.

ჩვენო ჯემალ! გვახარებს, რომ ჯერც არ შემოგკლებიათ პოეტური საფანელი. ამის დასტურია ის მშვენიერი პოეტური კრებულები, რომლებითაც ბოლო წლებში გაანებიერეთ მკითხველები - „რჩეული“, „მწამს, ანუ მიყვარს“, „გორს და გორელებს“. მოგონებების კრებული „ფარული ჩანაწერები“ ბევრ საინტერესო ლიტერატურულ მოვლენას გაგვახსენებს. კამონისის „სონეტები“, მაიაკოვსკისა და ესენინის პოეტური კრებული თქვენი პოეტური ძალმოსილების ჩინებული დასტურია.

კიდევ ერთხელ გულმზურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ქვირფას მეგობარს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი პოეტური მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

Table with 3 columns: ჯემალ ინჯიას ცად წყვილი ქორი, ზღვაზე მსურდა ნახვა, and ჯემალ ინჯიას ნიჭი. The table contains various poetic lines and names like ნოდარ ხუნდაძე, მურმან ძვილაძე, and მურმან ძვილაძე.

# ფოტოგრაფია



დემიკო ლოლაძე გამორჩეული ფოტოხელოვანი და ჟურნალისტიკა, გამორჩეული არა მხოლოდ ნიჭიერებითა და ოსტატობით, არამედ – არჩევანის მნიშვნელობით: მან მოინდომა და შექმნა ქართული კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა ფოტოენციკლოპედია, რომელიც მუდამ გაახსენებს მომავალ თაობებს ჩვენს მღელვარე დღევანდელობას. გთავაზობთ ინტერვიუს დემიკო ლოლაძესთან.

- ბატონო დემიკო, სულ ახლახანს გამოვიდა თქვენი ახალი წიგნი „დრო და ადამიანები“, მესამე ნაწილი, რომლის წარდგინებაც ახლახანს მწერლის სახლში მოეწყო. ეს ძალიან საინტერესო გამოცემაა, როდესაც მას გადაშლი, მიხვდები, რომ თქვენ ტრიალებთ საქართველოს სინამდვილეში, ყველაფერი ის, რაც ხდება თქვენ ამის ფოტომატიანეს ქმნით.

- ეს არის 59-ე წიგნი. ათი წლის წინ გადავწყვიტე, რომ ის ფოტოები, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვიღებდი, შემიკრა და დამომეცა. წინა ალბომები არის თემატურად დალაგებული: მწერლობა, მეცნიერება, ჟურნალისტიკა, სპორტი, კინო და სხვადასხვა ოჯახიდან აღებული ფოტოები. მინდა, რომ ახალგაზრდებმა, ახალმა თაობამ იცოდეს, ვინ ქმნიდა საქართველოს ისტორიას მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. მესამე ნაწილი სხვანაირად გაკეთდა. აქ ძირითადად ცნობილი ადამიანების საიუბილეო საღამოებსა და მნიშვნელოვან ღონისძიებებზე გადაღებული ფოტოებია. მინდა გითხრა, რომ მეოთხე ნაწილისთვისაც მაქვს უამრავი მასალა და ვაპირებ გამოცემას.

- ფაქტიურად თქვენ ხართ მემკვიდრე საქართველოში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების. ეს ძალიან საინტერესო ფოტოგალერეაა.

- ფოტოები დარჩება ქვეყანას, დავითვალე და ამ ალბომში არის ორი ათასი ფოტო.

- გამომხმაურება თუ არის შესაბამისი?

- იმაზე მეტი გამომხმაურება რა უნდა იყოს, რაც მწერალთა კავშირში იყო ამ წიგნის პრეზენტაციაზე. მაღლობელი ვარ მწერალთა კავშირის, მაყვალა გონაშვილი ჩემს გვერდით იყო და მთელი თბილისის ცნობილი საზოგადოება, ყველა ის, ვინც იმ ალბომს ამშვენებს და სოსო სიგუამ ეს ალბომი რომ ნახა, აღნიშნა: ეს არის მთელი ისტორია გაცოცხლებული. კიდევ არ დამავინყდება, ჯანსუღ ჩარკვიანი და მითხრა: ბევრი რამ მაქვს ნანახი და უნდა გითხრა, რომ ეს ჩემს ცხოვრებაში პირველად არის, წიგნი ვნახე, სადაც არაფერი წერია, მაგრამ ყველაფერია ნათქვამი. ბედნიერად ვთვლი თავს და ამას ვარ, რომ მე მწერალთა კავშირის, ამ ორგანიზაციის წევრი ვარ და ამას ძალიან ვაფასებ, ჩემთვის ეს არის ძალიან დიდი პატივი, დიდ სიბრძნის ვგრძნობ ხელმძღვანელობისგან.

- ბატონო დემიკო, ფოტოგრაფია თქვენი ჰობია?

- ჰობია. თავის დროზე ერთმა მეგობარმა მაჩუქა ფოტოაპარატი „სმენა“. ამ აპარატით არის გადაღებული ბევრი უნიკალური ფოტო.

- თქვენ თვითონ ამყლავნებდით?

- აი, ეს იყო ნამდვილი საქმე, როცა ჩაიკეტებოდი, წითელ შუქზე ამოკრეფდი ულამაზეს ფოტოებს და გასაშრობად გაფენდი, ეს იყო ფოტო. დღეს ისე განვითარდა ტექნიკა, ისე გამარტივდა, მაგრამ მინდა გითხრა, რომ ის სულ სხვა რამ იყო, იმას ვერ აღვწერ, ის ვისაც არ გაუკეთებია, ოთახში არ ჩაკეტილა და ფოტო არ დაუბეჭდია, ამას ვერ გაიგებს, იმან ფოტოს გემო არ იცის. ეს ჩემი ჰობია და ძირითადი პროფესია ფილოლოგიური ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და მე რე იურიდიული დავამთავრე. 30 წელი განათლების სამინისტროში ვიმუშავე, სხვადასხვა თანამდებობებზე და თითქმის მთელი საქართველო შემოვიარე.

- ბატონო დემიკო, რამდენადაც ვიცო, თქვენი, თუ შეიძლება ასე

ითქვას, კიდევ ერთი ჰობია ფეხბურთი და მრავალი წიგნი მიუძღვენით მას.

- დიას, ვარ ერთადერთი ადამიანი, ვინც 1981 წლის 13 მაისს გადაიღო დიუსელდორფში თბილისის „დინამოს“ გამარჯვება. მთელი საბჭოთა კავშირიდან არც ერთი ფოტოკორესპონდენტი არ ყოფილა. იქ იყო მხოლოდ ერთი ჟურნალისტი მოსკოვიდან. სტადიონი ნახევრად ცარიელი იყო, იმიტომ, რომ ინტერესი არ იყო, ნეიტრალურ მოედანზე იყო თამაში. ისე მოხდა, რომ მე სტადიონზე შევედი, ეს ყველაფერი გადავიღე, ჩამოვიტანე ეს ფირები...

- ფაქტიურად უნიკალური ფოტოებია.

- დიას, ასეა და გულითკივილით მინდა ვთქვა: გუშინ იყო ვიტალი დარასელიას დაღუპვის დღე და ამის შემდეგ წავიდა ქართული ფეხბურთის საქმე უკან და სადა ვართ ახლა, საერთოდ ქართულ ფეხბურთზე ლაპარაკი არ მინდა. 50 წიგნი მაქვს გამოცემული ფეხბურთსა და ფეხბურთელებზე, სადაც მათზე მასალების გარდა ბევრი ფოტოცაა. წიგნს როცა აიღებს მკითხველი, ფოტოთი შეიძლება იმდენად დაინტერესდეს, რომ ამ ფოტოს ხათრით და ინტერესით წიგნიც წაიკითხოს. ამიტომ ფოტოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს, რა თქმა უნდა, დღევანდელ დღეს უფრო საშუაო საქმეა, როცა წიგნისადმი ინტერესი, ახალგაზრდების მხრიდან, ძალიან დაკნინებულია. ეს არის ტრაგედია.

- ბატონო დემიკო, საკმაოდ მრავალფეროვანია თქვენი ინტერესთა სფერო: ფოტოგრაფია, ფეხბურთი, მუსიკა და მე ვიცო, კიდევ ერთი, ეს არის მხატვრობა, საკმაოდ კარგი და საკმაოდ საინტერესო.

- დიას, მხატვრობა ეს უფრო მოყვარულის დონეზეა. 2010 წლის ივლისი იყო, ზაალ სულაკაურს ვესტუმრე, უნდა დაესაბუთა ერთი ჩემი მეგობარი, მოგესხენებათ ის შარუებს ხატავს და მე მეხმარება ხოლმე, სურათს მივუტან და ხატავს. მეგობრის დაბადების დღე იყო თელავში და უნდა წავსულიყავი და მივედი. ვხედავ, ხატავს რაღაცას. მხატვრობა ძალიან მიყვარდა, თითქმის ყველა გამოფენას ვნახულობდი, ჯოკონდა რომ გავიგე მოსკოვში ჩამოიტანეს, გადაფორინდი და ვნახე. იმპრესიონისტების ნახატებს რომ ვნახულობდი, ვფიქრობდი, რა უნდა ამ კვადრატის დახატვას, რა უნდა ამას, მაგრამ ვერ ვრისკავდი. ზალიკოს ვუთხარი, მომიტანე ერთი ფუნჯი. მომიტანა და იმისი დახატული გადავხატე ჩემებურად, გაგიჟდა, მეორე დღეს მივედი, მესამე დღეს კიდევ გაკეთილი ჩამიტარა და ახლა თავისუფალი ხარო, წადი, ვან გოგო და ალბომები ათვალე, მეტი შენ არაფერი არ გინდაო. მას მერე ვხატავ ნატურმორტებს, ძველ თბილისს. ეს ნერვების დასაწყნარებლად ძალიან მეხმარება. ხატვა მამშვიდებს. და მერე ყველაზე დიდი სიამოვნებაა, როცა ჩუქნი შენს ნახატს, ბევრი მაქვს გაჩუქებული.

- თქვენ წლების მანძილზე განათლების სამინისტროში მუშაობდით, დღეს მეტად მტკივნეულია ახალგაზრდების დამორება წიგნთან, ისინი ხომ კომპიუტერთან მეგობრობას ამჯობინებენ. რა თქმა უნდა, ოჯახის წვლილი დიდია, მაგრამ განა განათლების სისტემა არ არის პასუხისმგებელი ყოველივე ამაზე? მე მახსოვს, გასულ საუკუნეში, ეროვნული სკოლის კონცეფცია მუშავდებოდა და ამაზე კონკურსიც იყო გამოცხადებული, დღეს ამის ინტერესიც არა აქვთ, ეროვნული სკოლის კონცეფციის შემუშავებას არ ფიქრობენ, დაკარგულია ამის ინტერესი საერთოდ.

- გეთანხმები, როცა ეროვნულს უარყოფ, შეამცირებ, როცა გოგებაშვილის დედა ენიდან გადაუხვევ სხვა გზაზე, შედეგიც არ დაიგვიანებს. განათლების სამინისტრო უნდა იყოს დაკომპლექტებული ეროვნული კადრებით. მაგრამ სამწუხაროდ ახლა გრანტებს იმიტომ იღებენ, რომ ეროვნულობა არ იყოს. გამოსავალი მხოლოდ ეროვნული ღირებულებების და ფასეულობების დაბრუნებაშია. დღეს კატასტროფის წინაშე ვდგავართ ჩვენ.

- და ბოლოს, ბატონო დემიკო, პოზიტიურ ნოტზე რომ დავამთავროთ ჩვენი საუბარი, სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი.

- ამ წელს რამდენიმე წიგნი გამოვეცი, ძალიან დამეხმარა „რუსული კლუბი“, ასევე ახლა მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ასევე „რუსული კლუბში“ ბატონ რევაზ მიშველაძის რომანის „ციცი ბორბალში“ რუსულად გამოცემა მიველოცო მას და ამასთან დაკავშირებით ბატონი რევაზი ნობელის პრემიაზე წარადგინეს, რაც მთელი საქართველოსთვის და ქართული მწერლობისთვის ძალზე სასიხარულოა და გულითადად ვულოცავ მას და გამარჯვებას ვუსურვებ. ამჟამად ვმუშაობ მიშა მესხის 80 წლისთავის საიუბილეოდ წიგნის გამოსაცემად, მაგრამ ვინ დამიბეჭდავს, არ ვიცი. მომავალ წელს ასევე არის შოთა იამანიძის 80 წელი, ბარქაიას 80 წელი...

- ფაქტიურად ქართული ფეხბურთის მემკვიდრე ბრძანდებით. დიდი მადლობა საინტერესო ინტერვიუსთვის და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

ესაუბრა მანანა ბორბიშვილი



ლევან ხაჩიკაშვილი – 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ლერი ანატოლის ძე ჩანტლაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო ლერი! მართლაც რომ მრავალფეროვანია თქვენი შემოქმედებითი ინტერესების სფერო, ერთნაირი ძალმოსილებით იღვნი ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობასა თუ მეცნიერებაში, მაგრამ ყველგან ადამიანის სულს, მის რაობას იკვლევთ, ყოველთვის ცდილობთ გაერკვეთ სიკეთისა და ბოროტების არსში, ჩანვდეთ ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1965 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „მნათობში“ პირველი მოთხრობები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი მოთხრობები, ლექსები, იუმორისტული ნაწარმოებები, პიესები, კინოსცენარები, მეცნიერული მონოგრაფიები, პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე...

ფართო საზოგადოებისთვის თქვენ, უპირველეს ყოვლისა, ღრმად განსწავლული და ერთდირებული ფილოსოფოსი ბრძანდებით. დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა თქვენს როგორც საკანდიდატო („შემოქმედების პრობლემა ნიკოლაი ბერდიაევის ფილოსოფიაში“ – 1972 წ.), ისე სადოქტორო („ყოფიერების ჰორიზონტი“ – 2002) ნაშრომებს. მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს ისეთ ფილოსოფიურ წიგნებს, როგორცაა „ეგზისტენციალიზმი და შემოქმედებითი პრობლემა“ და „ყოფიერების საზრისი“.

თქვენი რომანები „ხათრიანი კაცი“ და „ბოთე“, მოთხრობები, ბიოგრაფიული ნოველების კრებული „ლამის სტუმარი“ ინტერესით მიიღო ქართველმა მკითხველმა.

თქვენი პოეტური კრებული „იქნებ“ კიდევ ერთი სევდიანი და ტკივილიანი დაფიქრებაა ადამიანურ ყოფაზე, ნუთისოფლის გაუტანლობაზე...



ქართული თეატრების სცენაზე და ტელევიზიაში დაიდგა თქვენი ისეთი პიესები, როგორცაა „საათი“, „რას მიქვია ტკიბილი სიტყვა“, „მუცელა“, „ოჯახი“, „სოლომონ ისაკიჩი“...

სხვადასხვა დროს მუშაობდით სატელევიზიო სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ოქროპირის“ რედაქტორად, ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელ მდივნად და ლიტერატურულ რედაქტორად, გაზეთ „ახალი ქართული გაზეთის“ რედაქტორად. არჩეული ბრძანდებით საქართველოს ფილოსოფიური აკადემიის აკადემიკოსად.


ბატონო ლერი! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მწერალს, მეცნიერს, ერისკაცს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

# წარდგენილია ნობელის პრემიაზე



ვაკოტაძე!



რევა მიშველადის რომანი „ციყვი ბორბალში“ (გამომცემლობა „მაცნე“. 2016 წელი) წარდგენილია 2017 წლის ნობელის პრემიის მოსაპოვებლად. რომანი უკვე გამოქვეყნდა რუსულ ენაზე და ამჟამად ითარგმნება ინგლისურ, შვედურ და სომხურ ენებზე.

## საქართველოს მწერალთა კავშირი




\*\*\*

5 დეკემბერს მწერლის სახლში გაიმართა ბალათერ არაბულის ახალი წიგნის „ხევსურული საგა“ პრეზენტაცია, რომელსაც უძღვევოდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ამირან გომართელი. წიგნი გამოიცა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით. საღამო გახსნა რევა მიშველადემ. სიტყვით გამოვიდნენ: ჯანსუღ ჩარკვიანი, ბაკურ გულუა, გენო კალანდია,

\*\*\*

22 დეკემბერს მწერალთა სახლში შედგა რეზო ადამიას წიგნის „წმინდა ნინო“ პრეზენტაცია, რომელიც მოაწყო საქართველოს მწერალთა კავშირმა. დარბაზში გამოფენილი იყო მხატვრის ნამუშევრები, როგორც ორიგინალები, ასევე ლიტოგრაფიები წიგნში განთავსებული ხატებისა და ხედვები იერუსალიმის, კაბადოკიის, ფარაენის ტბის, მაცხოვრის საფლავის და წმინდა ნინოს ჯვარი. წმინდანების ხატებთან მთელი საღამოს მანძილზე სანთელი ენთო. პრეზენტაციას უძღვევოდა მარიამ ბაგრატიონი. მაყვალა გონაშვილი და მსწრე



საზოგადოებას აცნობა, რომ რომან „წმინდა ნინო“ ავტორი მწერალთა კავშირის სამდივნომ გადაწყვიტა წმინდა ილია მართლის პრემიით დაეჯილდოებინა და პრემია მწერალს გადასცა რევა მიშველადემ. სიტყვით გამოვიდნენ: მიმოზა ცანავა,

სოსო სიგუა, თემურ ჩალაბაშვილი, ზაალ ბოტკოველი, ანდრო ბუაჩიძე, თამარ გელიტაშვილი, დალილა ბედიანიძე და სხვები. წელს რუსთაველის 850 წლისთავისადმი მიღწეულ ყოველწლიურ „მოთაობის“ კონკურსში, სადაც 70-ზე მეტი ავტორი მონაწილეობდა, ჟიურის გადაწყვეტილებით სპეციალური პრემია მიენიჭა ბალათერ არაბულს. სიტყვით გამოსვლებმა მიულოცეს პოეტს ეს გამარჯვება და შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს. საღამო მუსიკალურად გააღამაზა მარინა კოლხიდაშვილმა. ბოლოს ბალათერ არაბულმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და წაიკითხა ლექსები.

ბადრი ქუთათელაძე, ერეკლე საღლიანი, ლევან ღვინჯილია, ია ბაგრატიონ-მუხრანელი, ვან ბაიბურთი, ანაიდა ბოსტანჯიანი, დავით შემოქმედელი, ცისანა მჭედლიძე, ბელა ალანია, ნაირა მარშანია, ოთარ ურუშაძე, ბადრი ცერცვაძე, ზუკა ლატარია, ლამპირა შეყილაძე, ელდინო საღარაძე... საღამო სიმღერებით გააღამაზეს მანონი ყუბანეიშვილმა, ენრიკო ჯანელიძემ, კომპოზიტორ ჯემალ ადამაშვილის ჩოხოსანთა ანსამბლმა და იზო ფიფიამ. დასასრულს რეზო ადამიამ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

## ნომადი ბართაია

\*\*\*

ცხოვრებას განვილილს რომ გავყურებ, ხან ნისლიანს და ხანაც მზიანს, გაოგნებული ვრჩები ხოლმე - რამდენი შეცდომა დამიშვია!

უკან მიხედვის მეშინია, როგორ მივლია მე ამ გზაზე, ასაკში ვიყავ თუ უასაკო, შეცდომას ვუშვედი შეცდომაზე.

ასეთი კერპი რამ გამხადა, ვფიქრობ და ველარ გამიგია, არავის რჩევა-დარიგება არასდროს ყურად არ მიღია.

ნეტა ვის ვედექი ასე ჯიბრში, რატომ ვიყავი ასე ხელი, ჩემი გამქონდა ყოველთვის და ვიყავი ამით ბედნიერი.

წამში დავუშვებდი შეცდომას და მერე სინანულით ვბრუნდებოდი, მთელი ცხოვრება შეცდომების გამოსწორებას ვუნდებოდი.

ცხოვრება მიდის ძველებურად, მაგრამ ვერაფერში ვხედავ ნუგეშს, ვფიქრობ და ველარ გამიგია, ამდენ შეცდომას რატომ ვუშვებ?

მოდით და მოდოთ, შეცდომებო, კვლავ არ მოხვიდეთ, ნუ ქნას ღმერთმა, რა კარგები ხართ, რომ იცოდეთ, მოგროვილები ყველა ერთად.

საქართველოს მწერალთა კავშირი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტის გივი ძნელაძის მეუღლე **ლამარა კაკაბაძე** და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

\*\*\*

26 დეკემბერს მწერალთა სახლში გაიმართა ახალგაზრდა პოეტებისა და მხატვრების მიერ შედგენილი კრებულის „დრო ჩვენი პაემანისა“ პრეზენტაცია და ნახატების გამოფენა.



პროექტის ავტორი ივანე კეზუა, რედაქტორი ანა ბოჭორიშვილი. წიგნის გამოცემაში ახალგაზრდებს მხარი დაუჭირა დავით ქრელაშვილმა, ნათია გონაშვილი და ზაზა გამგებელმა. ახალგაზრდებმა ღონისძიებაზე მოინვიეს ცნობილი ქართველი ხელოვანები და მწერლები: ოთარ მხეიძე, ჯემალ ჭკუასელი, რევა მიშველადე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გუჯა ბურდული...